„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ — გიორგი ლეონიძე

# ლიტერატურული მესხეთი

№10 (226)
ოქტომბერი
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეცხრამეტე წელი — "LITERATURULI MESKHETI" — "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

ავთანდილ ივანიძე

## თბილისიდან ვარძიამდე







არ მიზიდავს სხვა გზა ასე,
მართლა, კი არ ვაზვიადებ, —
ჩემთვის საყვარელი გზაა
თბილისიდან ვარძიამდე ...

და როდესაც გზად ჩავუვლი
მცხეთის ჯვარს და სვეტიცხოველს,
ვგრძნობ, რომ რწმენის სიმტკიცეს და
საქართველოს დაცვას მთხოვენ.

აი გორიც, ვიცი მტერი,
აქ მოსული, რომ დაიხევს,
როს შეხედავს გორიჯვარს და
ცად აზიდულ გორის ციხეს.

და ბორჯომიც ... თვალს რომ ვავლებ,
სიხარულის ცრემლი მომდის,
რომ ღვთისმშობლის წილხვედრია
საქართველოს ეს წალკოტი.

წინაპართა სახსოვარი
განძი, რაც რომ გვაბადია:
ხერთვისია, თმოგვის ციხე,
აწყური და რაბათია ...

და ვარძია, — ღვთის ქალაქი, —
არ უჩნდება გუმბათს ბზარი,
მჯერა, თამარს აქ მიართვა
შოთამ „ვეფხისტყაოსანი“.

არცერთი გზა არ მეგულვის,
რომ სიამეს მგვრიდეს ამდენს, —
ჩემთვის საყვარელი გზაა
ვარძიიდან თბილისამდე!







# ბაგრატიონთა გადარჩენა – სულა კალმახელის ჯაყელთა 1000 წელი

**კახაბერ ჯაყელი**

დიდი მთავრის ლატავრა ჩორჩანელისა და მისი გმირი მეუღლის მირიან ბაჰლაუნდის შვილთაშვილს, კალმახის ციხე და ქვაბულების დაბლობი ერგო. ციხე კალმახი, პაპის დროს გზაგასაყარზე იყო აღმართული. ასი წლის წინ ამ ადგილს ვაჭართა ქარავნები უფრო დიდი მონდომებით ეტანებოდნენ, ვიდრე ეხლა. მეტად ქვიანი იყო არე-მარე კალმახისა. დიდ სარჩოს ვერ იძლეოდა. განსაკუთრებით სამხედრო ცხენებს ვერ ჰკვებავდა.

სულა „შავი“ კალმახელი, ისევე როგორც მისი მამა იოანე „ხაზარი“, სამეფოს ქართველთა კავალერიას სარდლობდა. მისმა მამამ მესხეთის ცხენოსანი ჯარი, ხაზართა კავალერიას მიამსგავსა და უფრო მოქნილი გახადა. ხაზარების მსგავსად, გაწვრთნილი მესხები, გამოქანებულ ცხენებს უფსკრულის პირას გააშეშებდნენ ხოლმე, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ამგვარი ცხენოსანი ჯარი, შემოჭრილ მტერს დაქსაქსავდა, დაღლიდა, ტყეებში და ხევებში გაიტყუებდა და საბოლოოდ ჰოროლზე წამოაგებდა.

მაგრამ კალმახის საერისთავო უკვე ველარ კვებავდა მეფის ცხენოსნებს.

სელჯუკთა გამოჩენის შემდეგ სულა კალმახელი სწრაფად ჩაწვდა ომის ახალ ხერხს, რომელსაც სირდარიის სანაპიროდან გადმოხვეწილი თურქმანები იყენებდნენ. ისინი მთავარ ცხენოსან ძალას მთებში გადამალავდნენ და შემდგომ, უეცრად, დაძრავდნენ, მტრისათვის მთავრი დარტყმის მისაყენებლად.

— „კავალერიის გამოსაკვებად, ზეგანი, მთებით შემორტყმული ველი



ახალქალაქის ციხე

მჭირდება“, — უჩურჩულა ერთხელ სულა IV კალმახელმა ოშკის ტაძარში, ჯვარცმის წინ დამხობილ ბაგრატ IV კუროპალატს. ბაგრატმა თანაგრძნობით გადახედა თავის ერთგულ სპასალარს, მხრები აიჩეჩა და პასუხის ნაცვლად ტუჩები გამობუშტა.

სელჯუკთა საფრთხე კარს იყო მომდგარი, როდესაც ლიპარიტ ბაღვაში ტყვეობიდან დაიხსნა ბიზანტიის იმპერატორმა და წითელწვერა ვარანგებთან ერთად საქართველოში გამოისტუმრა. სელჯუკებს ელოდა სულა. მათთან საბრძოლველად ემზადებოდა და ამიტომაც მცირე ამალით დაძრწოდა იგი მესხეთისა და ქართლის მთებში, კლდეკარსაც ხშირად ეწვეოდა, რადგანაც კავალერიის გამოსაკვებად ნოყიერი ბალახით სავსე ზეგანს ეძებდა.

მანგლისი მიათვალიერ-მოათვალიერა კალმახის ბატონმა, თითქოსდა მოეწონა ეს ადგილი, ჯარის დასამალავად, მაგრამ მაინც სხვა, უფრო დიდი მინდორის ძებნაში ქარლის გორაკზე ავიდა და ზევიდან დაუწყო ცქერა კლდეკარის სამფლობელოს მიწებს.

საღამო ხანს იქვე მიიძინა კალმახელმა. როდესაც გამოეღვიძა, მთისკენ მომავალი, უჩვეულო რაზმი შენიშნა. გამთენიისას ნისლი დაბლა იწევს, ამიტომაც რძისფერ საბურველში გახვეულმა, გადაწყვიტა სტუმრების ახლოდან შეთვალიერება სულამ და თავისი რაზმით ერთ-ერთ „ღრუბელში“ შევიდა.

როდესაც ის და აბუსერი დაბლა ეშვებოდნენ, ოციოდე კაცი უმაგრებდა მათ ზურგს. ჩავიდნენ დაბლა და გაოცებული შედგნენ, როდესაც უჩვეულო ენაზე მოლაპარაკე, წითელ წვერიანი, ბუმბერაზი მამაკაცები შეამჩნიეს. მაშინვე ამოტრიალდნენ მთის თხემისაკენ. იქვე გადამალულ ცხენებზე შეჯდნენ და ტაოსკენ გაჭენდნენ. ბაგრატ მეფეს, ტაოს ნასახლარში დაედო ბინა. როდესაც მეფეს მოახსენეს, კალმახელი გეწვიაო, ბაგრატ კურაპალატი სადილად იჯდა. მაშინვე წამოდგა მეფე, სატრაპეზოდან გამოვიდა და მეხრმლესთან ერთად დარბაზში შევიდა.




— წითელწვერა, უცხო მეომრები დგანან მანგლისს, მეფეო, დიდი ჯარით, ხელთ ნაჯახები უპყრიათ, წელზე გრძელი ხმლები შემოურტყამთ, შუბები მანდიკურად გადაუკიდიათ, იცინიან და მღერიან, ისე იქცევიან, თითქოს სახლში იყვნენ, გამთენიისას ვნახეთ, — თქვა სულა კალმახელმა.

— ლიპარიტ დიდი ბაღვაში გახლავთ! ვარანგთა რაზმი მას ახლავს, ეხლავე უნდა შეტევა. რამდენი კაცის შეკრებას შესძლებთ შენ და აბუსერი? — დაღლილი მზერა მიაპყრო ბაგრატ მეფემ თავის სარდლებს.

— კალმახის კავალერიას სრულად გამოვიყვან, ხვალვე დავეცეთ. გამთენიისას ბაშს ვიქნები, აბუსერიც ჩაგვერთვება. ორი ათასი ვიქნებით — მტკიცედ თქვა კალმახის ერისთავმა.

— დავეცეთ! ბაშს ვიქნები მეც, გამთენიისას. სწრაფად იმოქმედეთ, ჩემო სარდლებო, — ბრძანა ბაგრატ კუროპალატმა და საუბრის დასრულების ნიშნად, მარჯვენა ხელი ზე ასწია.

„და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თან აშჳდასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ ვარანგთა მესხნი ვერ-ღა-რა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი. და ომსა ამას-ვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანი-ცა დიდებულნი მისთანა, ვერ-ღა-რა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათ საპურსა უკაზმიდეს; და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს.„

1047 წელს პირველად სასირეთის ჭალას გამოცადეს ქართველთა სიმხნე და სიმტკიცე სკანდინავიელმა მეომრებმა. ინგვარი ჰუბერდი სარდლობდა ვიკინგებს. უჩვეულო სისწრაფით წამოვიდნენ სკანდინავიელი მგლები. შემჭიდროვდნენ და ხმლის ფორმა მიიღეს. ფარები იფარეს და ბაგრატ მეფის ჯარს ზათქით შეეტაკნენ.

ორად გაანგრიეს ბაგრატის ჯარი ინგვარის ვარანგებმა. გატყდნენ ქართველნი და ბაგრატმა ლიხს იქეთ გადასვლა გადაწყვიტა. მაშინ მარტო დარჩა სულა კალმახელი საკუთარ მამულში. კლდეკაროსანთა მიერ გარშემორტყმული.

იმ წელს თოვლმა და სულა კალმახელის დიდმა შრომამ იხსნა ის და მისი ოჯახი განადგურებისაგან. სულამ ცხენოსნები იმერეთში გადამალა, თავად პირადი დაცვის ამარა დარჩა. კალმახის ციხე გაამაგრა და ჩაიკეტა.

***

ვეება, ოთხკუთხა ლოდზე შემდგარი ვარანგთა ათასისთავი — ინგვარ (ინგმარ) მოგზაური კლდეს დაბლიდან შეჰყურებდა და იდუმალი მოძრაობებით, მთებისა და მწვერვალების უკვდავი სულის გამოძახებას ცდილობდა. ინგვარს თხისა და ჭაბუკის სისხლით ჰქონდა შემკული შუბლი, თხემი, მკერდი და სასქესო ორგანო. იდგა შიშველი და ტუჩებს ილოკავდა.

მეორე ლოდზე კალიმაქოსი იდგა — ჟღალთმიანი ბუმბერაზი, მასაც სისხლით შეემკო მკლავები, თითები და სასქესო ორგანო. უცხო ბგერებს გამოსცემდნენ სკანდინავიელები. მათი ზმუილი, თითქოსდა შეერწყა კიდევაც ბაკურიანის მთების კლდოვან თხემს, ჩამოშლილ ლოდებს და სპეციალურად მოჭრილ კვადრატული ფორმის სამსხვერპლო ქვებს.

თითქოს სისხლი სდიოდათ ქვებს. მოშავო ფორმის ცხელი სისხლი მოედინებოდა ქვაზე ამოჭრილი უძველესი ღარებით და ჩაედინებოდა ვარანგთა მიერ თხის ტყავისაგან შეკერილ ჩანთაში.

დაბალტანიანი ქართველი ათისთავი, უგრძნობლად იდგა ლოდების გვერდით და მისი გული ძრწოლას მოეცვა. უძველეს სამსხვერპლო ქვაზე, რომელიც უცხოელებმა ბაკურიანის მთებში აღმოაჩინეს ვარანგებმა მათთვის ნაცნობი სიმბოლოები — რუნები იხილეს და გაოცდნენ.

— რა სწერია ამ ქვაზე, ათისთავო? - ჰკითხა ინგვარმა კლდეკაროსნების მეთაურს და როდესაც გაიგო, რომ იგი ამ წარწერებს არათუ არ იცნობდა, არამედ პირველად ხედავდა, მის მიმართ ზიზღით განიმსჭვალა.

— წმინდა წარწერაა, ქვა წმინდაა - ჩაილაპარაკა კალიმაქოსმა და ათრთოლებულ ათისთავს გაეცალა.

შიშის ზარი დასცეს ვარანგებმა თორის მცხოვრებლებს, როდესაც სამსხვერპლოდ რამდენიმე ჭაბუკი შეიპყრეს და მყესები გადაუჭრეს, რომ არ გაქცეულიყვნენ.

ჩურჩულით ლოცულობდა ათისთავი კლდეკაროსანთა და კანკალებდა. ინგვარი და კალიმაქოსი სიცილით კვდებოდნენ, მათ გარშემო ორმოცი ვარანგი იდგა და სისხლით იპოხებოდა.

— მოვძებნით სულასა და აბუსერს, მივგვრით მათ კეთილ მამას, ლიპარიტ დუკას! — საზარელი ხმით გაჰყვიროდა კალიმაქოსი და ტყავის ჩანთიდან სისხლს ყლუპ-ყლუპად სვამდა.

— სულას და აბუსერს კლდის სულს შევწირავთ — ამბობდა ინგვარ მოგზაური და ისიც ტყავის ჩანთიდან სისხლის შესმას მიელტვოდა.

ლოდების გარშემო, შუბებითა და ნაჯახებით ხელში, როკავდნენ წრეში ჩამდგარი ვარანგები და სკანდინავიურ სამსხვერპლო სიმღერას მღეროდნენ.

მართკუთხა, თითქოსდა კაცის მიერ გათლილ ვეება ლოდზე, ძარღვებ გადაჭრილი ოციოდე წლის ქართველი ჭაბუკი იწვა და სისხლისაგან იცლებოდა. მისი უბედობის შემცნობელი სოფლები ფეხზე დამდგარიყო თორის ხეობაში, ქალები გაჰკიოდნენ, კაცები დრტვინავდნენ, მაგრამ ვარანგებს ვერ უახლოვდებოდნენ შეშინებულნი.

***

კალმახის ქვაბულებს უახლოვდებოდნენ ვარანგნი. სულა კალმახელის ვაჟი იოანე შემოეგებათ მათ. ინგვარ ჰუბერდმა ცხენიდან ჩამოსვლა სთხოვა სულას ვაჟს. იოანე არ დაემორჩილა სკანდინავიელს, მაგრამ, უეცრად, ალყა შემოარტყეს მას გამოცდილმა ვარანგებმა. იოანე ტყვედ იქნა აყვანილი. ვარანგმა ბორკილები დაადო იოანეს, ჩამოჰკიდა ძელს და ამგვარად გაიძღოლა იგი წინ.

გამაგრებულ კალმახის ციხეს შეუთვალა ჰუბერდმა: — „თქვენი ბატონიშვილი ძელს მყავს დაკიდებული, არცერთი ისარი არ გვტორცნოთ, გამოვიდეს ბატონიშვილის მამა და იმწამსვე გამოვუშვებ მის ვაჟს, მხოლოდ სულა მჭირდება დღეს“!

მზის ჩასვლისას ველარ გაუძლეს ქართველთა. ამოქმედდა საჭე კალმახის ციხის კარიბჭისა. კარი გაიღო და თეთრწვერა სულა კალმახელი, უიარაღო გამოვიდა.

იმ წამსვე ჩამოხსნეს იოანე სულას ძე ძელიდან და დაემშვიდობნენ მას სკანდინავიელნი.

— ან კალმახის ციხე უნდა გადმომცე, ან ტყვე ხარ ჩემი, პატრიციების შთამომავალო! — უთხრა ინგვარ ჰუბერდმა სულა კალმახელს.

— ამ მხარის მფლობელ წინაპრებისაგან მაქვს დარჩენილი ეს ციხე, ისევე, როგორც მამის ხმალი, ვერ გავცემ — ყრუდ ჩაილაპარაკა კალმახელმა.

— გაუგონრად გაწამებ, პატრიციების შთამომავალო, ციხესაც დასთმობ და ხმალსაც! — მტკიცედ თქვა გოლიათმა ინგვარ ჰუბერდმა და თეთრწვერა ტყვეს მოულოდნელად გაუღიმა.

***

— მე და ჩემს სიძეს ინგვარმა ხორცი აგვაჭრა, წმინდა ბერო — კვნესოდა აბუსერი და უკიდურესად დასუსტებელი მიწაზე დამჯდარიყო.

მედიცინაში განსწავლული ეფრემ ბერი, აბუსერის ჭრილობებს ათვალიერებდა, თავს აქნევდა და იქვე კოცონზე მიფიცხებულ სპილენძის ჩაფხუტზე ეჭირა თვალი, სადაც ოსპის შეჭამადს ადუღებდა.

— ტყვეობაში ნამყოფი თქვენი ჩოხა ძონძებად ქცეულა, ერისთავო, გამოიცვალე და ჭრილობა კარგად დამანახე, მალამო მინდა გაცხო, — ფუსფუსებდა ეფრემი.

— პატრონო, მაინც საიდან მოვიდნენ ეს წარმართნი? ვინ მოიწვია ეშმაკეულნი საქართველოში? — იკითხა უეცრად ციხისჯვრის მკვიდრმა მწყემსმა, ვარამმა, რომელთანაც სტუმრობდნენ ლიპარიტის ტყვეობიდან გამოქცეულნი.

— სახელი ვარანგი მოდის მგლიდან, „ვარგ“ მაგათ ენაზე მგელს ნიშნავს, — ჩაახველა აბუსერ ტბელმა და კოცონში შეაგდო ძონძებად ქცეული თავისი ჩოხა.

— კარგად კი ომობენ „მგლები“, 979 წელს მაგათ მეშვეობით თავადმა ვლადიმირმა ხელში ჩაიგდო დიდი და სახელგანთქმული ქალაქი კიევი, — თქვა ეფრემ ბერმა, შეჭამადი შეამზადა ოსპის და სულა კალმახელს მიაწოდა, რომელმაც იუარა წვნიანი. მაშინ ეფრემმა აბუსერს შესთავაზა, მაგრამ აქაც წინააღმდეგობას წააწყდა და თავად შეუდგა საკუთარი ხელით გამზადებული ოსპის ჭამას.

— ზუსტად ოცი წლის წინ, არაბებთან საბრძოლველად მოიწვია კეისარმა „მგლები“, სიცილიაში გადასხა ისინი. ქალაქი ოტრანტო ძლიერად დაიცვეს მაგათმა, — ჩაიბუტბუტა გათოშილმა აბუსერ ტბელმა და ხარის ტყავში გაეხვია.

— კარგად მახსოვს, მაშინ ქალაქ ტრაპეზუნტში ვიყავი, კაპადოკიელი მეუფის მიერ მიწვეული, როდესაც პირველად მომესმა ნაპირთან ახლოს მცურავი დიდი ნავის მენავეთა სიმღერა, ყური მივუგდე და მომეწონა, ვიკითხე მეთევზეებში, — ვინ არიან-მეთქი ეს უცხოელები და ერთმა მიპასუხა: — არც ჩვენ ვიცით, მამაო, წითელ წვერათა ენა, — გაიხსენა ეფრემ ბერმა.

— რომელი წელი იყო? — დაინტერესდა გაციებული აბუსერი და კოცონთან უფრო ახლოს მიჩოჩდა.

— შემოდგომა იყო, მახსოვს, კლარჯული ყურძნის კამეჩის ხელა მტევნები მახსოვს ტრაპეზუნტის მისადგომებთან, მაგრამ წელი არ მახსოვს, — თავი გაიქნია ეფრემ ბერმა.

— ჩემს სიძეს ვკითხოთ, მაგას ემახსოვრება, — როდის ჩამოვიდნენ ეშმაკეული ვარანგნი საქართველოში, სულავ? — პირდაპირ ჰკითხა მხცოვანმა აბუსერ ტბელმა თავის სიძეს — სულა კალმახელს და დაიკვნესა, როდესაც ეფრემმა, ოსპის წვენი, ძმარში აურია და დაფნის ფოთლებზე წაცხებულ მალამოსთან ერთად დასახიჩრებულ მხრებზე შეაწება აჭარის ერისთავს.

— ლიპარიტის გასამეფებლად 1047 წელს საქართველოში გამოაგზავნა წითელ წვერა მეომრები დიდმა კეისარმა, — ჩაერია საუბარში სულა V კალმახელი და ისიც კოცონის გარშემო დაფენილი ფიჩხის გროვაზე მიწვა.

სამივენი დუმდნენ. აბუსერი შიმშილს ებრძოდა, ეფრემ ბერი — ძილს, ხოლო სულა კალმახელი — სულიერსა და ხორციელ ტკივილს, რომელიც მას გულსა და ღვიძლს, შუბლსა და ყვრიმალებს უწვავდა. სულა დუმდა, კალმახის ერისთავთა დინასტიის მეხუთე თაობის წარმომადგენელი, წინაპრის, სულა I-ის მსგავსად. უსიტყვო კაცი იყო. სხვა ნაკლებ მოუბარი კაცნიც უნახავს ეფრემ ბერს, მაგრამ ეს სულ სხვა გახლდათ. ამბობდნენ — სულა მე-V კალმახელი არავის ენდობაო.

მართლაც ასე იყო. სულა იოანეს ძე, არავის ენდობოდა, არცა მეფესა და არცა ეპისკოპოსს, არცა ბრძენსა და არცა ბერს. როგორც დაუნდობელი მგელი, ისე იცავდა იგი მამა-პაპისაგან დანატოვარ მიწა-წყალს, მაგრამ ვარანგების მიერ დატყვევებულს, კალმახის ციხის დაკარგვის შიში რომ ჰქონდა, იმიტომაც ურევდა იგი ტვინს ლიპარიტ ბაღვაშს, რომელმაც საბოლოოდ ვარანგებს გადასცა იგი და აბუსერი — სატანჯველად.

კაცის სიცოცხლეს არაფრად სთვლიდნენ ვარანგნი, მათთან შედარებით სელჯუკებიც კი კაცთმოყვარედ მოსჩანდნენ. ამიტომაც, როდესაც ნანადირევი ტახივით, ხელ-ფეხ დაბორკილი და ძელზე გასმული, საკუთარ ბარაკში წაიღეს იგი და მისი სიმამრი ვარანგებმა, მაშინ კი უხმოდ იტირა კალმახელმა და სიკვდილისათვის გაემზადა.

ჩორჩანელთა ნიშასთან, ქვაბულში, შეამწყვდიეს ერისთავები სკანდინავიელებმა. ულმობლად აწამეს, ხანჯლით ხორცი ააჭრეს და საგვარეულო ციხესიმაგრეების დათმობა მოსთხოვეს.

— რას მაძლევთ კალმახის სანაცვლოდ? — იკითხა დაშანთულმა ერისთავმა.

— სიცოცხლეს! — უპასუხა ვარანგი ჯალათის კლდეკაროსანმა თარჯიმანმა და სულა კალმახელს მიაფურთხა.

ამოიგმინა ერისთავმა, ფეხზე წამოიჭრა და კლდეკაროსანს კისერში წვდა. შემოვარდნენ ვარანგები და მოცელეს კალმახელი. თვალებგახელილი სულა მის თავზე დატრიალებულ ცას ხედავდა და კისერზე ყულფს გრძნობდა.

შემდგომ, როდესაც ორმოში ჩააგდეს, იწვა კალმახელი და უკვირდა, კიდევ რომ ცოცხალი იყო. მის გვერდით სიმამრის გვამი რომ ეგდო, იმასაც გრძნობდა, მაგრამ, უეცრად, ეს გვამი მოულოდნელად გაცოცხლდა და სულას ზემოდან დახედა: — ხომ ცოცხალი ხარ, კალმახელო? — ეკითხებოდა დასისხლიანებული აბუსერი საკუთარი ქალიშვილის მეუღლეს

— კალმახის ციხე ჯერაც ჩემია, — ამოიჩურჩულა სულამ და ორმოს პირთან მოსეირნე ვიკინგს ახედა.

— ვარანგნი თავად წავიდნენ, დაცვად დაგვინიშნეს ერთი ბუმბერაზი კაცი, ალბათ, საღამოს დაბრუნდებიან, — ჩაილაპარაკა აბუსერმა.

— ეს ვარანგი უნდა მოვკლათ, აბუსერო! — აღმოხდა დაიმედებულ კალმახელს და ტბელს ხელზე ხელი გაცეცხლებულმა და დაიმედებულმა, ათმაგი ძალით მოუჭირა.

— როგორ? — გაოცდა აბუსერი და ტკივილისაგან თვალები გაუფართოვდა.

— ღმერთი დიდია, ამ ეშმაკეულთ დაგვამარცხებინებს, აბუსერო! — თავის ტკივილისაგან გაბრუებულმა წამოიწია სულამ, მაგრამ უეცრად მოწყდა და თხრილის ფსკერზე დაეშვა.

განწვიმდა. ორმოში ჩაგდებულთა ტალახში ჩაფლულ სხეულებს სკანდინავიელმა მეომარმა გადმოხედა, გაიცინა და დააფურთხა: — „სკალიარ ოსკალდ“, ანუ სასიკვდილოდ განწირულებო, მალე მოკვდითო, — დასძახა სულასა და აბუსერს ვარანგმა.

— ტალახში ჩაფლული მოვკვდებით, ჩემო სულავ, — ჩაუჩურჩულა აბუსერმა და თვალები დახუჭა;

— „სკალდიკ“, — ამოიკვნესა სულა კალმახელმა და

→

# მიერ ლიპარიტ დიდი ბალვაშის შეპყრობა

საპასუხოდ სკანდინაველის მიმართულებით გადააფურთხა.

ვარანგი იცინოდა, იბერიელის მიერ მიყენებული შეურაცხოფის საპასუხოდ ქამრის გახსნას და შარვლის ჩახდას შეუდგა.

— რას სჩადის ეს წითელი ეშმაკი? — ჩაიჩურჩულა აბუსერმა და სახეზე მიკრული ტალახის მოწმენდას შეუდგა.

— იცის, რასაც სჩადის, უნდა რომ ჩვენს თავზე მოშარდოს, ეს ითვლება მტრის დამარცხებად, მაგათ ტომში.

— ლიპარიტ, კაცი მეგონე და ნაგავი ყოფილხარ, — შეუკურთხა აბუსერმა სკანდინაველების საქართველოში ჩამომყვანს, მაგრამ ამ დროს ვარანგი ორმოს პირას იდგა და, სიცივის მიუხედავად, თავის სარცხვენელს მოსაშარდად აგულიანებდა.

— შარდი შეეკრა მგონი, მოშარდვა უჭირს, — „სკალდიკ“ — კიდევ მიაძახა კალმახელმა სკანდინაველს და კვლავ სასულის დასტვენით, კიდევ ერთხელ სისხლნარევი ნერწყვი გადააფურთხა მისკენ, დამიზნებით.

— „ახ, სკალიაროსკალდ.....სკალიაროსკალდ“! — გაცოფებული აყვირდა სკანდინაველი, რომელსაც, როგორც ჩანს, ყინვისაგან შარდი მართლაც შეუკავდა და სიბრაზისაგან, თუ სხვა რამ ავადობისაგან, აცახცახდა.

— შემოიგლიჯა ყვინჯი წითელმა ეშმაკმა, ვინძლო სულ მთლად გადავრიოთ, მართლა უჭირს რაღაც, — ჩაუჩურჩულა აბუსერმა, მაგრამ სულა უკვე ფეხზე წამომდგარიყო და ვარანგის საწინააღმდეგოდ უჩუმრად, დაგორგლილ ტალახის ჭურვს, დაკუნთული მარჯვენით ზილავდა და სკანდინაველს უყვიროდა.

— „სკალდიკ, შენი, ....უუჰჰჰჰჰ, მოჰკვდი ეშმავ“! — და... ელვის სისწრაფით სტყორცნა სულა მე-V კალმახელმა ტალახის ბირთვი ყვერებში, ვარანგს, რომელსაც, ეტყობა, უეცრად ნასროლი ბირთვი მეტად მწარედ მოხვდა, რადგანაც იგი ტკივილისაგან შებარბაცდა, ორმოს პირას მდგარს, უეცრად ფეხი დაუცურდა და მის ფეხებს შორის მიწა დაიძრა.

— ვარდება წყეული, სულავ, სულავ, მიდი, მოჰკალ ეგ ეშმაკი! — ყვიროდა აბუსერი, მაგრამ ამ დროს, ტალახში ამოსვრილი, ზე წამოჭრილი და კუნთებდაბერილი სულა უკვე მომზადებული ელოდა ორმოში დასრიალებულ ვარანგთან შებმას და იგი ავაზას მოქნილობითა და ხარის ძალით კისერში უნდა სცემოდა სკანდინაველ გიგანტს, რომელიც გაფართოვებული გუგებით ელოდა მასზე დაბალი ბერიელს. როგორც ყოველ ვარანგს, მასაც, ალბათ, ეგონა, წიხლის ერთი ჩარტყმით დავაგდებ ამ გამხმარ კაცსო და ამიტომაც იყო, რომ სკანდინაველი შეშინებული სულაც არც ჩანდა. როდესაც სრიალ-სრიალით ორმოში ჩავარდა, ვარანგს სახეზე გაუგონარმა სიმამაცემ გადაჰკრა და იგი უეცრად დამშვიდდა. ასეთთან შებმა რომ რთული გახლდათ, ეს იცოდა სულამაც და აბუსერმაც. სკანდინაველი ორმოს ძირში გასწორდა, — „სკალდებს“ მუშტით გავუსწორდებიო, — იფიქრა და მისკენ დაძრულ სულა კალმახელს ვეება მჯიღი გულმკერდში დაატაკა.

ადრე მრავალ ორთაბრძოლაში გამოცდილი იყო სულა, ბაგრატ მე-IV-ის ცხენოსანი ჯარის მთავარსარდალი და კალმახის ერისთავი, რომელიც, როგორც ყველა ცხენოსანი, მსუბუქ წონიანი გახლდათ და, ამიტომაც, მისი ვარანგთან შებმა დავითისა და გოლიათის ორთაბრძოლას უნდა დამსგავსებოდა, რომ არა ერთი გარემოება, ორმოში ჩაგდებული აბუსერი, რომელიც ცდილობდა სიძეს მიხმარებოდა, ჭრილობის გამო ფეხზე ვერ დგებოდა და დაჩოქილი ცდილობდა ვარანგთან მიახლოვებას.

მოატრიალა თავი ვარანგმა აბუსერისკენ, შემდეგ ერთი ძალუმი წიხლი ამოსცხო მუცელში და აბუსერი უმალ მოცელა, შემდეგ თავსაც გაუჩეჩქავდა აბუსერს, რომ არა კალმახელი, რომელიც ვარანგს მიეჭრა და მკლავებზე ჩამოეკიდა.

— „სკალდიკ“, — ამოიხვნეშა ვარანგმა და კალმახელი ორმოს კედელს მიანარცხა. სულას მჯიღით ბრძოლა ნაკლებად ეხერხებოდა, მაგრამ მუშტის მუშტზე გარდაჭდობით შექმნილი „ძალაყინი“ დაატრიალა და ყბებში ამოჰკრა სკანდინაველ გოლიათს, რომელიც სულას ზევიდან ურტყამდა.

ამ დროს კვლავ წამოიმართა აბუსერი, მიხოხდა ბრძოლის ასპარეზთან და კბილებით ჩააფრინდა სკანდინაველს, მოყმისათვის სამარცხვინო ილეთიც იხმარა, და წვივზე ისე მაგრად უკბინა, რომ ამ უკანასკნელმა საშინლად იღრიალა, ხოლო გრიგოლ აბუსერმა კაცის სისხლი პირველად გასინჯა.

აღრიალებულ სკანდინაველს ტუჩებში წიხლი ჩაჰკრა ორმოს კედელზე მიყრდნობილმა სულა კალმახელმა და ეს გოლიათი უეცრად დაგორდა, მას მიჰყვნენ სამკვდროსასიცოცხლოდ შებმული ქართველნი.

იწურებოდა 1054 წელი...

თოვლი როდესაც დადნა და ბილიკი გამოჩნდა, ეფრემ ბერი ეწვია ტყვეობიდან განთავისუფლებულ კალმახის ერისთავს და ეშმაკურად გაუღიმა:

— ამბავი მომაქვს, ერისთავო, რომელსაც საწყენიც ახლავს და სასიხარულოც, — ბრძანა ეფრემმა, როდესაც ცხელი ღვინო „თაფლუჭი“ მოსვა და გაყინულ მკერდში თბილი სითხე შეიგრძნო.

— სიკვდილს ველოდი მთელი წელი, მამაო, ვერსად გავხიზნე ოჯახი და ამიტომაც დავემსგავსე გამომწყვდეულ ცხოველს, რომელზედაც მონადირე ამახვილებს მზერას მისსას — ამოიოხრა სულამ.

— ვერ ვხედავ გაუტეხელ სულს ჩორჩანელთა — ჩაილაპარაკა ეფრემ ბერმა და ბუხართან მიმდგარი, ცხელი ღვინით სავსე თასი მოიმარჯვა.

— კალმახისა და უღელტეხილების გამაგრება სისხლის ფასი დამიჯდა, ეფრემ ბატონო, შვიდასი კაციდან ნახევარი სუროვანდისაგან მომიკვდა და ნახევარი კი ზვავში მოჰყვა. მხოლოდ ოცნი გადავრჩით, — ცრემლი მოადგა კალმახელს და თავი ჩაქინდრა.

— ოჯახი ხომ კარგად გყავს, ერისთავო? — იკითხა ბერმა.

— უმრწესი ვაჟი ზვავში მოჰყვა, გადავარჩინეთ, მაგრამ ჯერ ვერ დადგა ფეხზე, ქალიშვილს — ლატავრას, ციება შეეყარა, თანამეცხედრე ჩემი და მე ჯერაც ვართ ჯანსაღნი, მამაო — ამოიგმინა კალმახელმა.

— ამბავს გეტყვი და კიდევ ერთხელ გაგიმეორებ, საწყენიც ახლავს მას და სასიხარულოც, საიდან დავიწყოთ, კალმახელო? — ჩაიცინა ბერმა.

— საწყენიდან, მამაო!

— ქართველთა-სომეხთა-ბერძენთა ჯარი დამარცხდა კაპუტრუს ბრძოლაში. სელჯუკებმა გაგვანადგურეს, ერისთავო! მოწყდა უამრავი მოყმე და ვაჟკაცი.

— სამწუხაროა, — თავი ჩაქინდრა კალმახელმა და ბერს შეხედა, — ეხლა რას მეტყვისო?

— სასიხარულო კი ის გახლავს, რომ, მტერი შენი, ლიპარიტ დიდი ბალუაში, ტყვედ ჩაიგდეს სელჯუკებმა. მათთან ტყვეობა კი, კარგად იცი, რასაც ნიშნავს, კალმახელო!

— სამწუხაროა ესეც, მამაო, — ჩაილაპარაკა სულა ერისთავმა და ბერს თვალის გუგებში ჩააცქერდა.

— კალმახის ციხის კარიბჭეზე წითელთმიანი ვარანგი მეომრის მოჭრილი თავი მიგიჭედავთ, ერისთავთ-ერისთავო, რაც ქრისტიანისათვის მომაკვინებელი ცოდვა გახლავთ, უბრძანეთ, მიწას მიაბარონ, უცხოელი! — მტკიცედ თქვა ეფრემ ბერმა.

— ოხ, ბერო!.. რას მთხოვ!.. — პასუხად ამოიგმინდა სულა კალმახელმა და მგლური მზერით თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა ეფრემ ბერი.

***

ლიპარიტ ბალვაში ტყეობიდან განთავისუფლდა და საქართველოსკენ გამოემგზავრა. ბაგრატ კურაპალატის ქართულმა იმპერიამ უსწრაფესი რღვევა დაიწყო. რაც უფრო უახლოვდებოდა საბერძნეთში „გმირად“ შერაცხული ლიპარიტ დიდი ბალვაში კლდეკარს, მით უფრო მცირდებოდა საბრალო მეფის სამბრძანებლო.

— ბოლოს ამ კარავსაც აღარ დაგიტოვებს კლდეკარის მხეცი, წადი ბიზანტიაში, დაუჩოქე იმპერატორს და გადაირჩინე თავი, — ჩასჩურჩულა მეფეს ყურში მისმა მეუღლემ, — ბორენა დედოფალმა.

— გამომემვიდობე, შესაძლოა, უკანასკნელად ხედავ შენს მეფეს! — თქვა ცრემლმორეულმა, გადაფითრებულმა ბაგრატმა და თეთნულდივით თეთრ ბორენა დედოფალს ლოყაზე აკოცა.

ლიპარიტი ქართლს შემოდგა და ბაგრატი ბიზანტიაში გაიხიზნა, სადაც ბიზანტიის იმპერატორის საპატიო ტყვეობაში ცხოვრობდა. ბაგრატის მცირეწლოვანი შვილი — გიორგი მეფედ აკურთხეს და „მზრდელად“ ლიპარიტი დაუნიშნეს, ხოლო „პატრონად“ ბაგრატის და გურანდუხტი.

ქვეყანა იღუპებოდა...

რომ არა სულა კალმახელი, ქართველთა გაერთიანებული სამეფო, კლდეკარის საერისთავოდ გადაიქცეოდა და ბაგრატიონებს სულ მალე ბალვაშები შეცვლიდნენ.

***

ჯავახეთს, დლივს დგას „კლდეკარის მხეცი“, ციხეშია ჩაკეტილი და ნადიმობს, კლდეკაროსნები 500 კაცი ახლავს, აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ კურთხევისათვის ემზადება, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორის თანხმობას ელის. საიდუმლო კაცსაც ელოდება ალფ-არსლანისაგან. — რას ჩხიბავს, ვინ იცის! უფლისწული ალასტანს ყავს დატოვებული, იქვე ინგმარის ნაჯახოსნები დაუბანაკებია. თუ მათ გამოიძახებს, შემდეგ გასჭირდება საქმე! — მოახსენა იოანემ მამას.

— დლივი, ღრტილა, ბოჟანო, ალასტანი... — ჩაიჩურჩულა სულა კალმახელმა და ცას ახედა. ფოლადისფერი გადაკვროდა ცას და ალაგ-ალაგ იისფერი ღრუბლები შავ ფერს იძენდა.

— ითოვებს, მამი! — თქვა იოანემ.

— ითოვებს და მერე როგორ, — დაიჩოქა და მიწა ამოიჩიჩქნა სულა კალმახელმა, შემდეგ მიწას გემო გაუსინჯა. მიწის კარგა გვარიანი კვიწი რომ ჩაკბიჩა და გადმოაფურთხა, მაშინ კი გაიკვირვა იოანემ და განცვიფრებული თვალებით შეხედა მამას:

— დღეს მიწა ყინულივით მაგარი და მინასავით მსხვრევადია, შვილო, დაიმახსოვრე, სარდალმა მიწას უნდა გაუსინჯოს გემო, სანამ ბრძოლას გადაწყვეტს — შვილს თვალი-თვალში გაუყარა ჩორჩანელ-ბაჰლაუნდთა მემკვიდრემ და გააგრძელა:

— ამ შეტევზე დგას ჩვენი გვარის ბედი, შვილო. ხვალ თუ არ ვიმარჯვეთ, ლიპარიტი ჩვენს გვარს შესჭამს ისე, როგორც ლომი კანჯარს.

— ვიცი მამი —დაუდასტურა იოანემ.

— გაამზადე „რჩეულიანნი“. დავეცეთ დლივს.

***

საბერძნეთსა თუ სელჯუკთა იმპერიაში „გმირად“ შერაცხულ ლიპარიტ ბალვაშს, იმ ღამეს, ვერც „დამეგობრებულმა“ ბიზანტიის კეისარმა და ვერც „ძმადნაფიცმა“ სულთანმა თოღრულ-ბეგმა უშველა.

სულა კალმახელმა მისებრ ერთგულ მესხ აზნაურებთან ერთად მოახერხა დლივის ციხის გოდლების უსწრაფესი აღება.

რადგანაც შეუწყვეტლივ თოვდა, მეციხოვნეები გოდლებზე არც კი იდგნენ. რადგანაც ბაგრატ მე-IV კურაპალატი ჯერ კიდევ ბიზანტიაში ეგულებოდათ, ტახტის მოცილე არავინ ეგონათ ბალვაშებს.

ალბათ, ამიტომაც, ლიპარიტის ერთგული გოლიათი ვარანგები ალასტანში ღრეობდნენ, მაშინ როცა ბალვაშთა ბუმბერაზები, რიგ-რიგობით ეცემოდნენ სულა კალმახელის რჩეულ მოიერეშეთა ხელით.

ბოლოს თავად სულა კალმახელმა ხმლით განგმირა მის წინააღმდეგ მებრძოლი კლდეკარელი მეომარი — ქველი უტიელი, რომელიც ჯერ კიდევ ოქროს ბარძიმით ხელში მპყრობელ, ღვინით გადამთვრალ, განცვიფრებულ ბალვაშს მკერდით იცავდა.


ვიკინგები

— რომელი ხარ, რომ ჰბედავ ლიპარიტ ბალვაშთან შებრძოლებას! — შეჰყვირა საქართველოს უგვირგვინო მეფემ და თავადაც იშიშვლა ხმალი.

— სულა ვარ, კალმახის ერისთავი, ბალვაშო, არ გირჩევ ჩემთან შებრძოლებას! — შეჰყვირა კალმახელმა და წინ გამოსული კლდეკარის ერისთავი შეათვალიერა.

— შემებრძოლე, თავხედო, აბა გაბედე და დამკარ ხმალი!.. — საასპარეზოდ გამოსულ რაინდს ჰგავდა გაოგნებული ლიპარიტი.

სულამ წინ წადგა ფეხი, თავისი მოკლე ხმალი გაჰკრა ლიპარიტის ორლესულ მახვილს და როდესაც ბალვაშმა მას უმძლავრესად მოუქნია თავისი სახელგანთქმული იარაღი, სულას ნიშანზე მესხებმა დიდ და სახელგანთქმულ ერისთავს, ლოქოს დასაჭერად განკუთვნილი, სამფა ბადე გადააფარეს.

— ამას ვინ ბედავს, ტყვეობაა?.... ცოცხლად გინდათ ჩამიგდოთ ხელთ?! კი, მაგრამ, ვისთვის? თუ მოკვლა გინდათ, მომკალით, მაგრამ შემებრძოლეთ, მომერიეთ... ჯერ დამიმტკიცეთ, რომ გამარჯვების ღირსნი ხართ! — ყვიროდა ლიპარიტ დიდი, რომელსაც მესხი აზნაურები ბადეში ხლართავდნენ და ხელიდან ვეება მახვილის წართმევას ცდილობდნენ.

— დატყვევებული ხართ, კლდეკარის ერისთავო, ლიპარიტ! დამთავრდა ბალვაშთა მოდგმის ბოგინი. დღესვე მიგგვრით მეფეს და იმან გადაწყვიტოს შენი ბედი! — მკაცრად თქვა სულა კალმახელმა და მესხებს უბრძანა, — გაცოფებული კლდეკარელის დარბაზიდან გატანა.

— შემებრძოლეთ... შემ... — ყვიროდა გაუგონარი დამარცხებისაგან განცვიფრებული ლიპარიტ დიდი ბალვაში, რომელსაც იქვე მდგარ ჯორზე აკრავდნენ, რადგანაც მესხებს, ელვისებური სამხედრო ქმედების შემდეგ, უსწრაფესად ჰქონდათ გადაწყვეტილი უკან დახევა.

***

გავიმარჯვეთ, ჩემო დედოფალო, სულა კალმახელმა ბრწყინვალე სამხედრო ჩანაფიქრი ზუსტად განახორციელა, თავს დაეცა დლივში მყოფ ლიპარიტსა და მის ვაჟს ივანეს. ორივე შეიპყრო და კალმახში ჩაიკეტა! — სიხარულს ვერ მალავდა ბიზანტიიდან ფარულად დაბრუნებული ბაგრატ IV ბაგრატიონი და თეთნულდივით თეთრსა და მომხიბლავ ბორენას შუბლზე კოცნიდა.

— ლიპარიტის მესამე ვაჟი რა იქნა? — იკითხა ოვსთა მეფის ტანმაღალმა ასულმა.

— მესამე ვაჟი — ნიანია ბალვაში, კლდეკარს გაქცეულა, მაგრამ იქაც არ შეუშვიათ მესხებს და ეხლა ანისის მიმართულებით მირბოდეს იქნება...

— გილოცავ გამარჯვებას, გვირგვინ-კურთხეულო ჩემო მეუღლევ, დიდება ბაგრატიონებს! — აღფრთოვანებას ვერ მალავდა ბორენა ოვსი და ბაგრატ მეფეს თმის დალალებს უკოცნიდა.

ეხლა უნდა ვიჩქაროთ, ჯავახეთს მივიდეთ და ლიპარიტი გავასამართლოთ! — ბრძანა მეფემ.

უმალ შეიკრიბა ბაგრატიონთა


დედოფალი ბორენა

სახლი. ტაძრეული, პატრიარქითურთ ჯავახეთს დაიძრა.

1057 წელს სულა კალმახელმა ბორკილგაყრილი ლიპარიტი და მისი უფროსი ვაჟი ივანე ახალქალაქის ციხე-დარბაზში დაბრძანებულ მეფე ბაგრატს წინ დაუგდო. ტყვე ლიპარიტმა ტახტთან მიფორთხება შესძლო და ბაგრატს წითელი წუღები დაუკოცნა.

დარბაზის ერი კიდევ ერთხელ განცვიფრდა, როდესაც სულა კალმახელმა განაცხადა:

— დიდო მეფეო, გადმოგცემ ლიპარიტისაგან ჩამორთმეულ კლიტეებს არტანუჯისას, ყველის-ციხისას, უფლისციხისას და ბირთვისისას.

მეფის ფერხთით, ქვეყნის მთავარი ციხეების კლიტეთა შემყურე ბაგრატ IV ბაგრატიონი ტახტიდან წამოდგა, სულა კალმახელთან მივიდა და მოწიწებით მდგარ ერისთავთ-ერისთავს გადაეხვია.

ბორენა დედოფალი და მისი სეფე ქალები ატირდნენ. დარბაზის ერმა მეფისა და სულა კალმახელის წინაშე დაიჩოქა. სამეფო მომღერლებმა მრავალჟამიერი დააგუგუნეს. საქართველო კვლავაც აღსდგა.

მადლიერმა მეფემ უხვად დააჯილდოვა სულა კალმახელ-ჩორჩანელ-ბაჰლაუნდი. „უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრხე ბოდო-კლდითა და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღვდელთ-მოძღურონი, და რაიცა უნდოდა.„

ყველა ამ საჩუქართაგან სულამ ციხისჯვარი გამოარჩია. გამოცდილი სარდალი ხვდებოდა, რომ მომავლის ომებში, მაღალ მთაზე არსებული დიდი საძოვრები, მრავალრიცხოვანი ცხენოსანი ჯარის შენახვის საფუძველი იყო. ბაკურიანისა და ციხისჯვარის ველები — ხუთიათასი ცხენის მთაში გადამალვასა და გამოკვებას უდრიდა. მოდიოდა ის ეპოქა, როდესაც ერთი ცხენოსანი ბრძოლის ველზე ათ ქვეითს უტოლდებოდა. შესაბამისად, ხუთიათასი ცხენოსნის საშუალებით, სულა მომავალში ორმოცდაათიათასი ფეხოსნის განადგურებას შესძლებდა. სულას გამჭრიახობით მისი შვილთაშვილებიც ისარგებლებდნენ და ისარგებლეს კიდეც. ისტორია გვაუწყებს, რომ ამ მოვლენებიდან ორასი წლის შემდეგ შემოსეულ მონღოლებს აუღებელი დარჩათ მხოლოდ ციხისჯვარი, საიდანაც მათ სულას პირდაპირი შთამომავალი სამცხის მთავარი — სარგის ჯაყელი ებრძოდა.

ამიერიდან ლიპარიტ დიდი ბალვაშის დამტყვევებელი სულა კალმახელი უკვე ციხისჯვარელია. ასევე იწოდებოდნენ ციხისჯვარელებად მისი შვილები მანამ, სანამ სულას შვილთაშვილს, დიდ მეომარსა და სარდალს ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელს, წმინდა თამარ მეფემ პირადად არ უბოძა ჯაყის ციხე, რომლის ფლობითაც, სულა კალმახელის ნაშიერი ივანე-ყვარყვარე ჯაყელი-ციხისჯვარელი გახდა.

# მერაბ ბერიძე

## ახალციხის ციხის ძირას

ახალციხის ციხის ძირას
ბევრი ხმალი დამსხვრეულა.
ორციხშუა წარსულს სძინავს, –
დედაციხე დგას ეულად.

ახალციხის ციხის ძირას
წყალი მოდის ახალციხის,
ოსმალომ რომ შეგვიწირა,
ღალატის ხმა ახლაც ისმის.

ელინთ კარი ულეწიათ,
მოტყუებით შემოსულან,
ვისთვის ახლაც სულ ერთია,



ლოცულობენ ისევ ყურანს.

ახალციხის ციხის თავზე
რუსის ხიშტიც აღმართულა,
გაუცვლიათ ბრძოლა ზავზე
და აღმდგარა კვლავ ქართულად.

ახალციხის ციხის კედლებს
მოსდგომია ქარავანი,
აქ სომხებმაც შეავედრეს
არზრუმი და ახტამარი.

ლეკს ყიჟინა დაუცია,
ტყვეში ფული უშოვია,
გურჯი ვერცხლში გაუცვლია,
უნაგირზე უცხოვრია.

წასვლა-მოსვლის დიდოსტატებს,
სინაგოგა ისევ ელის,
წარსული დღით რაბათს ავსებს
მონატრება ებრაელის.

ახალციხის ციხის ძირას
ნატვრა ახდა არნახული,
შემოდგომამ შემომცინა,
დამავიწყა გაზაფხული.

***

კალმახს ვუთვლიდი წინწკლებს
ციმორის ტუჩის ქებით,
მტკვარი იკლებს და იკლებს,
ნაპირს გამოსხდნენ ქვები.

ძეწნებს მოსწყურდათ წყალი,
დარუებული მტკვრისა,
რაც იყო, აღარ არის
მილიონობით წლისა.

პაპის ნაქონი ნავი
ჭერში შემოსდეს წალმა,
მტკვრის ბინადარი წავი
მშრალზე დაგლიჯა ძაღლმა.

აღარც ფაცერი გვინდა,
არც სათხეველი ბადე,
არაფერი გვაქვს წმინდა,
გული ვერ უძლებს ამდენს.

მამის აჩრდილი დამდევს,
გეტყვით მის ნათქვამს ყველას,
თუ კაცები ხართ სადმე,
მტკვარს, მტკვარს უნდაო შველა.

## ახალციხის ციხე

მეჩეთის თავზე ფრიალებდა
ხუთჯვრიანი დროშა,
თოვლი და ქარი
დაიძრა ხეობით,
ციხის ქონგური სილუეტად
დააჩნდა როცა,
ნახევარ მთვარეს მიეძინა
გზად დღესდღეობით.

იმ ღამეს ნათლის სვეტს ელოდა
კოშკი მთავარი,
წმინდა გიორგი დარაჯობდა
თავს გველეშაპის,
იქვე მუჰამედს მოეყარა
მუხლი ჯავარი,
დრო იდგა თითქოს დუალიზმის
და რენესანსის.

გული გულს სცნობდა და
ღონეს ღონე,
მესხეთში იდგა ჟამი ჭიდილის,
აქ ქრისტე ჩანდა ცად ასული
და თავმომწონე,
განკაცებისას თან ეახლა
ზღვა სიმძიმილი.

## სლესის ციხესთან

სლესის ციხესთან დამათენდა
ნისლების ჩრდილში,
მოქცევთან ვხვრიპე წყალი ჩემი
ნაკალმახარი,
კოშკებს ავხედე, დავითრგუნე,
თრგუნვა რაც არი,
ვიდექი, როგორც სამცხის გულში
მტკვარი დამდგარი.
ვიდექ, ვიძლიე, უმთენაროდ
დილა დამეწვა,
დალექილ კედლებს თანაუგრძნობს
ლანდი აწყურის,
პირუბანელი, მურიანი მზეც კი
დაბერწდა,
რიჟრაჟის პირზე დაუკარგავს
ვაზის ნაჟური.
კაკლის ტოტებში გახლართულა
დილა ცრიატი,
ჩემივე კივილს დასწევია
შორი ძახილი,
ამ ოხრობაში მჭირს ტკივილი
იმ განთიადის,
კახპა ქალივით რომ დამდგარა
კაბაახდილი.
არსაიდან ხმა, მხოლოდ ჩუმი
ისმის ვედრება,
რატომ გაგვიცვდა ხმლის პირი და
ვადა გაგვიტყდა?
ვიცი, ხვალ ზევით ეს ყვირილი
დამეყვედრება,
ეშმასთან მივალ საკუთარი სულის
საყიდლად!

P.S.
*რად მებუტები, სლესის ციხის მძიმე ქონგურო,*
*რად დამიმალე საკუთარი შენი ნისლები?*
*ძალიანა გთხოვ, ამ სისხამზე არ დამემდურო,*
*ჩემი დასჯისთვის ასე მკაცრად ნუ გაირჯები!*
*შენთან მომყავდა დილის მზესთან*
*შესავედრებლად*
*ვარსკვლავეთისთვის წილნაყარი გზის*
*ანგელოსი,*
*ურა კვიცებით მოვდიოდით მარად*
*მხედრულად,*
*ფიქრი მოგვდევდა გარდასული*
*საქართველოსი!*

## ჯავახეთის ფერიცვალება

ფერიცვალების თვე დადგა,–
ჯავახეთს ფერი ეცვლება,
ხავსმოდებული ლოდების
მღრღნის უჩვეულო შეგრძნება.

ავაზნის თავზე ბალახებს
გაუჭანგიათ ქვის პირი,
უპატრონობით დაღლილი,
წყარო წინაპრებს მისტირის.

წელში გახრილა დიდპაპა,
დაცალებული დიდედით,
პურის მადლივით ალალთან
ჩვენ სალოცავად მივედით.

ჯერი დამდგარა ზღაპრების,
დევებთან შეჭიდებისა,
ამას კი ვერვინ წამართმევს,
ვერავინ მეცილებისა.

თოკის თავს აბაშიძეთა
ციხენი უშენებიათ,
ხიზაბავრელთა ნადიმი
ერეკლეს ომში ხლებია.

ჯავახთა ნამუხლს გავყევი,
საროს ქვა-ლოდის მზირალი,
შეტოკებული ჩანჩქერი,
ხიზის ხევების ძირ არი.

ობოლეთის ტყის ჩრდილებში,
შიშმა კინაღამ დამძალა,
იქნებ ტაძართან დავკარგე
ის სიყვარულის სამსალა.

რომლისთვის დრონი არ ბჭობენ,
არავის ედავებიან,
ჩემგან წასულად ვფიქრობდი,
ის აქამომდე მხლებია.

ტყეს თაიგული რად უნდა,
მინდორს – ტკბილ-მწარე ჩურჩული,
მისით შეივსო ფერდობი,
თხილნარით გადაბუჩქული.

## სერაპიონ ზარზმელის გახსენება

სერაპიონთან ერთად ვილოცე,
ვანთე სანთელი ღამის ნიავზე,
ვერ მოვიშალე სულის სიმორცხვე,
მუხლთ მეკეცება დილის წირვაზე.

სათახვის ტბაში თახვი მომსპარა,
ნადირს მირეკენ მონადირენი,
ვიღაცამ ღამით წუღა მომპარა,
ყველანი ცოდვით გავიწირენით.

ჩორჩანის ხევებს საზღვრავს გიორგი,
სოფელს დასცქერის ციხე სახიერ,
ველარ გაუძლებს გული სიბორგილს,
ლოცვას აღავლენს მოგვთა მაგიერ.



მერე ვირბინე ბერებთან ერთად,
მასპინძლად დამხვდა ბრძენი იაი,
გლახის სამოსით ამაღლდა ღმერთად,
განგმირული და განუგმირავი.

წარმართსაც თვისი წილი აქვს მადლი,
მონადირეთაც შიათ ნადირი,
იქნებ ბავშვივით მათაც თუ გაზრდი,
იქნებ თუ ექნათ მათაც სადილი,

მაშინ მოსთხოვეთ სულისთვის ზრუნვა,
მაშინ გავუღოთ საჩეხის კარი
და არასოდეს არ განიკურნა
ზარ-ზმა ხეციდან დაუვიწყარი.

ზანავის ციხის ძირებს ვეფერე,
ენძელის ფერი დამიდგა დარი,
აქ წაიჩოქა ჩემმა სიბერემ
და გაზაფხული გულს ჩავიკარი.

ჰა, თებერვალი რიგში ჩამდგარა,
ხვალეც იქნება ნაცნობი ღელვა,
ზამთრის თეთრონი სადღაც გამქრალა,
ზამთარმა ჰუნე ვეღარ აგელვა!

## ჯავახეთის ხევი

ჯავახეთს დასჯდილ ნისლები
მტკვრის ხევში ჩამოუყრია,
მე კი მარტის თვით ვივსები,
აბულს ზამთარი უპყრია.

ლოდთან მიმალულ ენძელას,
აღარ ეყოფა საგზალი,
დაშრა ფარავნის ხევგრძელა,
თევზი დაღლილა ნამგზავრი.

გალმიდან ვიღაც იძახის,
ყვირლად ქცევია ცხოვრება,
განცდა ველური სიმძაფრის
გზას დარდად შემოევლება.

რა უნდა გაზაფხულის მზეს,
რად ტირის ზამთარგავლილი?
ან ეს ლოდკაცა რად მიმზერს?
ქვის გული უდევს ნამდვილი!

პატარა ფიფქი დამყვება,
პატარა ნიავს ნაჩვევი,
ამ სულელს, გიჟს და თავნებას
ცეკვა-თამაშში ავყევი.

… ჯავახეთის ლოდნარებო,
ნანისლო და ნაკარკალნო,
სანამ უნდა მეგარემოთ,
მაციოთ და მაკანაკლოთ?!

## გზა ყანობილის

კოდალას ისე მოსცვეთია რკინის ნისკარტი,
ჭიაყელები სიცილისგან იგუდებიან,
მინდა გავიგო ყანობილის ლაღი ტყის დარდი,
ვერას ამბობენ, სათქმელი კი გულში
სდებიათ.

ხმელ ფიჭვის ტოტებს თავი ხეზე
ჩამოუხრჩვიათ,
მწვანე ძალადობს, გეფერება ნაზი ოცნება,
მოხავსულ ფერდობს გაზაფხული
ველარ უცვნია,
რა სინაზეა, ნაძვებს ფესვი დაეკოცნება.

ტყის კენწეროზე დაჯირითობს ნაზი
ღრუბელი,
მიჭენაობენ დარახტული ლურჯა რაშები,
გაზაფხულს ზამთრის ცოდვა ადევს
განუკურნელი,
მზის სხივთა სხივი დათარეშობს
შეთამაშებით.

მწვადს დასდებია საოცნებო გემო, სურნელი,
მგლის ლეკვს შიმშილით ნერწყვი მოსდის
ჩვენს სიახლოვეს,
ეს სილამაზე როგორ ხდება ავის მსურველი,
მისმა მშობლებმა ასე ულვთოდ რად
მიატოვეს?

თავბრუდამხვევი ზიგზაგები გაშინაურდნენ,
ქვემოთ ოცხურას კალმახისთვის
ულალატნია,
უფსკრულის ხახას დღის ქურდები
ცხვირწინ დაუდგნენ,
სიცოცხლე თითქოს უდღეური ერთი მატლია.

მაგრამ ქარაფი ისე ღრმა და საფრიალოა,
თავის მოკვლა და კლდესთან შერწყმა
მოგენატრება,
თან სიყვარულის და ჩანჩქერის სიამის დროა,
ველურ საწყისებს ერთგულად რომ
უდგას თავდებად.

მერე ჩამოხვალ, გერიდება მთვარის ფერები,
დგას სურნელება წიწვების და ასწლოვან
ქერქის,
ლადოსგან ისმის სისხლიანი დანახველები,
და მურმანისგან პოეტური
„ვეტერანთ ჭლექის“.

# მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი

## (განახლებიდან 50 წლისთავი)

სამცხე-ჯავახეთში თეატრის ისტორია XIX საუკუნის მეორე ნახევარში იღებს სათავეს. 1870 წელს ქალაქ ახალციხეში **ანნა მუსხელიშვილ-ღოღობერიძის** მიერ დაფუძნდა ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა მისივე დაარსებული ქალთა უფასო სკოლის შენახვა. რამდენადაც სკოლას არანაირი სახსარი არ გააჩნდა, საქველმოქმედო საზოგადოება ცდილობდა სხვადასხვა საშუალებებით მოეპოვებინა სახსრები სკოლისათვის. ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენდა სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენების გამართვა. აქედან გამომდინარე ილია მაისურაძე ფიქრობდა, რომ *„ახალციხური წარმოდგენები, რაკი მათი შემოსავალი ქალთა სკოლისათვის იყო დანიშნული, ამ სკოლის დაარსების პირველ წლებშივე უნდა იღებდეს სათავეს 1870-1872 წლებში“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N433).* ამ კუთხის კულტურისა და განათლების საკითხების მკვლევარი დავით კოჟორიძე მიუთითებდა: *„1874 წელს ახალციხეში მანამდე არსებული მომღერალთა მცირე გუნდის ბაზაზე ადგილობრივი პატრიოტი ქართველების: დავით ყარსელიშვილის, მ.დურგლიშვილის, სტეფანე მესხელის, თომა ფაფაზოვის, ეკატერინე ბეთანიშვილის, ევგენია სავანელის, ანნა ღოღობერიძის, დების ანა და დარიკო გამცემლიძეების და სხვების ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით ჩამოყალიბდა პირველი თეატრალურ-დრამატული დასი. მან ახალციხის ძველ ნაწილში – რაბათში დადგა პირველი წარმოდგენა – ზურაბ ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“ (დ.კოჟორიძე, „კულტურა და განათლება სამცხე-ჯავახეთში,“ გვ.55. თბ. 1890)*

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალციხეში, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, ორი თეატრალური დასი ფუნქციონირებდა ქალაქის ახალ და ძველ ნაწილში – რაბათში. მესხეთში თეატრს მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ იგი ემსახურებოდა მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას, ეროვნული ტრადიციების დაცვას, ქველმოქმედებას უწევდნენ ადგილობრივ სამკითხველოს, რაბათში არსებულ დედათა და კათოლიკეთა სასწავლებლებს. როგორც ჩანს, მათი ქველმოქმედება სცდებოდა სამცხე-ჯავახეთსაც.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალციხის თეატრალურ დასებში მოღვაწე მსახიობებს შორის იყვნენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ასევე ამ კუთხეში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სამოღვაწეოდ ჩამოსული ინტელიგენცია, რომელიც თავის ძირითად საქმიანობას უთავსებდა სასცენო მოღვაწეობას. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში – ილია მაისურაძის არქივში, დაცულია ახალციხის თეატრალური დასის სია, სადაც ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ადგილობრივი და ჩამოსული მსახიობები. ჩამოსულთა შორის დასახელებულია: ალექსანდრე ფრონელი, ნიკო მიუკაშვილი, გრიგოლ ექსანაშვილი, ვასილ გამრეკელი, გიორგი ღოღობერიძე, მარიამ გამრეკელი, ანნა მუსხელიშვილი-ღოღობერიძე, ბარბარე ოქროპირიძე. ადგილობრივი მსახიობები: თომა ფაფაზაშვილი, დავით ყარსელიშვილი, ბეთანიშვილი, კონსტანტინე გვარამაძე, ბეზარაშვილი, იაკობ აბულაძე, ოლღა აბულაძე (სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი, ილია მაისურაძის ფონდი N435).

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ფოტო ფონდში ასევე ინახება ახალციხის დრამატული დასის ფოტოსურათი, რომელიც 1901-1906 წლებით თარიღდება. კერძოდ, სურათზე წარმოდგენილნი არიან შემდეგი მსახიობები: **ოლღა აბულაძე, ევგენია სავანელი, იოსებ ბეგთაბეგოვი, ანა მალოზნია (მესხია), ნინო ლაზიევი (ლაზიშვილი), მარიამ გამრეკელი, ბარბარე ღოღობერიძე (გამრეკელი), სამსონ ღოღობერიძე, ბარბარე ოქროპირიძე, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), თუმანიშვილი, პავლე ბუთაკოვსკი, ღვთისაშვილი** (*თეატრალური მოამბე. N5, 1975. ნ. (ი.მაისურაძე,გ.ღოღობერიძე)*)

ქალაქ ახალციხეში თეატრალური დასების მომზადების დონე და მოღვაწეობა შესანიშნავად შეაფასა ალექსანდრე ფრონელმა გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ კორესპონდენციაში. ავტორი მიუთითებდა, რომ ახალციხის ქალთა სკოლის სასარგებლოდ სამოქალაქო კლუბის დარბაზში გაიმართა ჩვეულებრივი წარმოდგენა, მოყვარულთა გუნდმა შეასრულა „გაცრუებული იმედი“ თხზულება აზიანისა. როგორც კორესპონდენციიდან ირკვევა, იგი იყო ერთ-ერთი მაყურებელთაგანი და აღფრთოვანებული წერდა: *„პიესა ისე რიგიანად, მწყობრად, გადაცემით შეასრულეს მოყვარულთ, რომ გამოტეხილი ვიყავი, ხშირად ჩვენ პროფესიონალურ არტისტებსაც გაუჭირდებათ ამ გვარად პიესის თამაში – განა ეს გასაოცარი არ არის საქართველოს მივარდნილ კუთხეში? მარტო ის რადა ღირს, რომ ყველამ როლები შესანიშნავად იცოდა და სიტყვებს და ფრაზებს ისე არ ამახინჯებდნენ, როგორც ამას მიჩვეულია ტფილისის სათეატრო პუბლიკა. უხერხულად მიგვაჩნია გარჩევა თვითეული მოყვარულის თამაშის, მაგრამ იმას კი ვერ დავმალავთ, რომ ზოგიერთის თამაში თითქმის ხელოვნური იყო. სწორედ მოსალოცია აქაური ქართველობა, რომ თავის შორის ასეთი გუნდი მოეპოვება, მერმე, ისიც სიყვარულით გამსჭვალული კარგისა და საეროვნო საქმისადმი“ (გაზ. „ივერია“, 1902, N277, გვ.3. „ახალციხური ამბები“)*

როგორც წარმოდგენილი სტატიიდან ჩანს, ალექსანდრე ფრონელის აღფრთოვანება გამოუწვევია მსახიობთა მაღალ პროფესიულ დონეზე როლების შესრულებას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი ასეთი შეფასება იყო ახალციხის თეატრალური დასის დიდი აღიარება. აღნიშნული დროისათვის მოხსენებულ დასს უკვე სამი ათეული წლის გამოცდილება ჰქონდა და ამ ხნის მანძილზე შეძლო პროფესიული დახელოვნებაც და გარკვეული წარმატებებისათვის მიღწევაც, ყოველივე ამის საფუძველზე კი ქართულ თეატრალურ საზოგადოებაში თავისი ადგილის დამკვიდრება.

XX საუკუნის დასაწყისში ახალციხეში ორი თეატრალური დასი



მესხეთის თეატრის მსახიობები (მე-20 ს. დასაწყ.).






ცენტრში გიგა ლორთქიფანიძე და ნანა დემეტრაშვილი

ფუნქციონირებდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რთული შიდაპოლიტიკური ვითარება შეიქმნა როგორც საქართველოში, ისე სამცხე-ჯავახეთში. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ორივე დასი, მათ არსებობას რეალური საფრთხე შეექმნა. აქედან გამომდინარე, **კონსტანტინე გვარამაძე** მოითხოვდა მათ გაერთიანებას: ***„საჭიროა, რომ რაბათისა და ახალი ნაწილის მოთამაშენი გაერთიანდნენ. მაშინ საქმე ისე გაიჩარხება, სულ მოკლე ხანში სამუდამო დასიც შეიძლება შესდგეს“*** (*გაზეთი „დროება“, N108, 1915*). სამწუხაროდ, კონსტანტინე გვარამაძის იდეა ვერ განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ დასების მუშაობა სისტემატურ ხასიათს არ ატარებდა, XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე მათ უდიდესი როლი შეასრულეს სამცხე-ჯავახეთში კულტურისა და განათლების დაწინაურების საქმეში. მათ მიერ საქველმოქმედოდ გამართული წარმოდგენებითა და დილა-საღამოებით, წლების მანძილზე საარსებო სახსრები არ მოკლებიათ ქალაქ ახალციხეში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს. მათ ხელი შეუწყეს ქართული სიტყვის გაძლიერებას და ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების აღდგენას. ამავე დროს, თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული თეატრის განვითარებაში.

მესხეთში თეატრის არსებობის თითქმის საუკუნენახევარი ისტორია პირობითად შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს: თეატრის დაფუძნებიდან – 1874 წლიდან 1921 წლამდე. შემდგომ 1921-1966 წლები და, ბოლოს, 1966 წელს თეატრის აღდგენა და მესხეთის დრამატული თეატრის არსებობის პერიოდი დღემდე. თეატრის ისტორიაში ჩაიწერა მრავალი დაუვიწყარი მოვლენა და პიროვნების სახელი.

გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველო და განსაკუთრებით მესხეთი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. **1965 წლის 17 იანვარს გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება – 1966 წლის სექტემბერში შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნის შესახებ.** ეს იყო მსოფლიოს მაშსტაბის ღონისძიება.

აღნიშნულმა ღონისძიებამ სასიკეთო გავლენა მოახდინა მესხეთში კულტურის შემდგომ განვითარებაზე. ეს, უპირველესად, აისახა თეატრზე. კერძოდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ **1966 წლის 21 დეკემბერს მიიღო დადგენილება N688 – „ქალაქ ახალციხეში ქართული დრამატული თეატრის აღდგენის შესახებ“,** რომლის საფუძველზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ევალებოდა 1967 წელს ქ. ახალციხეში ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის დაფუძნება, რომელიც მომსახურეობას გაუწევდა მხარის მოსახლეობას. აღნიშნულ დადგენილებას ხელს აწერდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი ჯავახიშვილი** და საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქალაქ ახალციხეში აღდგენილ თეატრს ეწოდა „მესხეთის სახელმწიფო თეატრი“. დირექტორად დანიშნული იქნა **მიხეილ მეძმარიაშვილი,** მთავარ რეჟისორად – **ნანა დემეტრაშვილი.** პირველი მსახიობები იყვნენ თეატრალური ინსტიტუტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულები. ***1967 წლის 23 სექტემბერს*** მესხეთის აღდგენილი თეატრის სცენაზე წარმატებით იქნა წარმოდგენილი **ოთარ ჭილაძის** სპექტაკლი **„თედორე“.** გაიხსნა ფარდა და მისი სახით მესხეთში განახლდა ქართული კულტურის კიდევ ერთი მძლავრი კერა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით **დავით კოჟორიძე** სამართლიანად შენიშნავდა: *„თეატრის დაარსებამ ახალი შინაარსი მისცა ქალაქ ახალციხეს. იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა და ყოველგვარი სიძნელეები დაძლია. მსახიობთა ენთუზიაზმმა, პატრიოტიზმმა, საქმისადმი სიყვარულმა და დიდმა პასუხისმგებლობამ ახალციხის თეატრს სულ მალე საერთო აღიარება მოუპოვა მთელ რესპუბლიკაში“* (*დ. კოჟორიძე, კულტურა და განათლება სამცხე—ჯავახეთში, გვ. 14*),



ნანა დემეტრაშვილი პრემიერაზე

კერძოდ, 1971 წელს მესხეთის სახელმწიფო თეატრს საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა. ამასთანავე, მესხეთის ახალგაზრდა თეატრის მაღალი დონე აღიარა დედაქალაქის მაყურებელმა. 1972 წელს თეატრის დასი საგასტროლოდ იმყოფებოდა თბილისში. მათ სცენაზე წარმოადგინეს **ოთარ ჩხეიძის ,,თედორე“** და **ნოდარ დუმბაძის ,,მზიანი ღამე“.** *„დედაქალაქის მომთხოვნი მაყურებელი აღტაცებით შეხვდა მათ მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებს. ქართული თეატრის დიდი მესვეურნი მოხიბლულნი დარჩნენ. ეს იყო მესხეთის სახელმწიფო თეატრის დიდი ტრიუმფი,“–* წერდა ელენე დიდიმამიშვილი (*გაზ. „წითელი დროშა“, N 34, 1972).*

მესხეთის დრამატულმა თეატრმა დიდ წარმატებებს მიაღწია. მრავალი სახელმწიფო ჯილდო და საპატიო წოდება მიენიჭა თეატრის მსახიობებს. მაღალი შეფასება მისცეს ხელოვნებათმცოდნეებმა, კრიტიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. ნოდარ გურაბანიძემ მესხეთის თეატრს **,,ახალგაზრდული შემართების თეატრი“** უწოდა და, საერთოდ, მისი ვრცელი დახასიათებაც მოგვცა. *,,მაინც რითია განსაკუთრებული ეს თეატრი?* – სვამს კითხვას და იქვე პასუხობს: – *უპირველესად თავისუფლებით, რაც გამოხატულია როგორც რეპერტუარით, რომელიც დედაქალაქის წამხედურობით, მათ მიერ აპრობირებული პიესებით როდია შედგენილი, არამედ დროის, კონკრეტული გარემოს, საზოგადოებრივი ინტერესებისა და საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე სპექტაკლების საერთო ხასიათით, მათი არსით, შინაგანი პათოსით... მესხეთის თეატრის სპექტაკლების საერთო ნიშანი შინაგანი თავისუფლებაა.“* ნოდარ გურაბანიძეს მესხეთის თეატრის მაღალი დონის ერთ-ერთ მაჩვენებლად მიაჩნდა რეპერტუარის მრავალფეროვნება: *,,დრამატული ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრის ნაწარმოები აქვს რეპერტუარში თეატრს – ტრაგედია, დრამა, კომედია, ვოდევილი... სამხრეთ საქართველოში, უძველეს და უმშვენიერეს მესხეთში მუშაობს ქართული თეატრი – შექმნილი სიყვარულით, გატაცებით, ენთუზიაზმით“ (ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, N5, 1973, გვ. 54–64. ნ. გურგენიძე, „ახალგაზრდული შემართების თეატრი“).*

მესხეთის თეატრის ცხოვრებაში ღირსსახსოვარი იყო 1974 წელი, როგორც საიუბილეო წელი. თეატრმა იზეიმა ქ. ახალციხეში თეატრის დაფუძნების 100 წლისთავი და რეჟისორმა **ნანა დემეტრაშვილმა** სცენაზე დადგა **ზურაბ ანტონოვის** კომედია – **,,მე მინდა კნეინა გავხდე“** – 1874 წელს მესხეთის თეტრში დადგმული პირველი სპექტაკლი.

უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთის განახლებული თეატრის წარმატებებში დიდი იყო თეატრის პირველი დირექტორის **მიხეილ მეძმარიაშვილის** წვლილი. იგი ჯერ კიდევ 1944–1950 წლებში იყო თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი. 1966 წელს იგი კვლავ ჩადგა განახლებული თეატრის სათავეში (*გაზ. „წითელი დროშა“, N 79, 1977, „თეატრის ამაგდარი“*). ქალბატონმა ნანა დემეტრაშვილმა კი თავისი ოცწლიანი რეჟისორული მოღვაწებით ეპოქა შექმნა მესხეთის თეატრში და, საერთოდ, ქართული თეატრის ისტორიაში. 2014 წელს, ადგილობრივმა ინტელიგენციამ პატივი მიაგო მის ხსოვნას: აღინიშნა რეჟისორის დაბადებიდან 80 წელისთავი.

მესხეთის სახელმწიფო თეატრის ცხოვრებასა და მის წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე **ლია (ნაზი) სულუაშვილმა.** იგი 1967 წლიდან დღემდე მუშაობს ამ თეატრში. ხუთი ათეული წლის მანძილზე მან ასზე მეტი მთავარი და ეპიზოდური როლი განასახიერა. 1994 წელს იგი დაინიშნა მესხეთის თეატრის დირექტორად და შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული თეატრის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო.

თეატრის დანიშნულების სწორი გააზრების ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენდა ის, რომ 1989 წელს მესხეთის თეატრი მეორე კატეგორიაზე იქნა გადაყვანილი. ცვლილებას წინ უსწრებდა **ჯუმბერ პატიაშვილის** (საქართველოს ყოფილი კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი) სტუმრობა მესხეთის სახელმწიფო თეატრში. თეატრი აღმოჩნდა ქართველ მწერალთა ყურადღების სფეროშიც....

თავისი არსებობის მანძილზე თეატრმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, რაშიც დიდია როგორც მისი დირექტორებისა და რეჟისორების, ასევე მსახიობების წვლილი. მესხეთის სახელმწიფო თეატრი ის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის ხელმძღვანელობა, მსახიობები და თანამშრომლები მუხლჩაუხრელად ემსახურებიან მოსახლეობას. მათ კულტურულ დაწინაურებასა და განათლების გაფართოებას, ეროვნული ცნობიერების განმტკიცებასა და დაცვას.

თეატრის შესანიშნმავ კოლექტივს, რომელიც ღირსეულად აგრძელებს წინა თაობების საქმეს და ერთგულად ემსახურება თავის საყვარელ მაყურებელს, ვულოცავთ განახლებიდან 50 წლისთავს და ვუსურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

**ნატო ყრუაშვილი**

1629 წ. ოსმალეთმა დაიმორჩილა დასავლეთი საქართველო, რომელსაც იმ დრომდე თავისი ავტონომია ჰქონდა და 1590 წლიდამ მხოლოდ ხარკს იხდიდა. მთელს დასავლეთს საქართველოში 13 საეპისკოპოსო კათედრა ითვლებოდა, ერთი მილიონი ქართველობა მარტოდ მესხეთში სცხოვრობდნენ. ოსმალეთმა ყველა ეს ვრცელი ადგილები 24 სანჯაყად გაჰყო და ოთხ საფაშალიკოდ. ასეთი ვრცელი ადგილების დაკარგვით საქართველო დიდათ დაუძლურდა, ეს დაუძლურება ყველასთვის ცხადი შეიქმნა, ყველა გრძნობდა მას და ნამეტურ, მესხეთის და ჯავახეთის ქართველნი. მაგალითებრ, ჩვენ კარგად ვიცით, რომ მე-18 საუკუნის ნახევარს, ახალციხის, ასპინძის და აწყვერის ქევხა კაცებს და იშხანებს დიდათ სურდათ ქართლ-კახეთ-იმერეთთან დაკავშირება და ამისთვის მათ მეფე ერეკლესთან მოლაპარაკებაც ჰქონდათ გამართული საიდუმლოდ.

ისეთ თანამგრძნობ პირებად ახალციხიდამ ხურსიძეები აღმოჩნდნენ და ასპინძას – ზუბალაშვილები. მაშინ ასპინძის ზუბალაშვილები შეძლებულნი იყვნენ, ქევხებად ირიცხებოდნენ და ოსმალთ წინაშე ცნობილნი ყოფილან, ვითარცა მათი ერთგულნი, მაგრამ ნამდვილად-კი ასე ყოფილა: ზუბალაშვილები დიდი თანამგრძნობელი ყოფილან მეფე ერეკლესი, რომლისთვისაც მათ იმედები უძლევიათ ომში საიდუმლოთ დახმარებისათვის. მეფე ერეკლემ სულ ამ ზუბალაშვილების და ასპინძაში მცხოვრებ კათოლიკების დაიმედებით გარდასწყვიტა პირველად ასპინძაზედ მისვლა, ჯერ ასპინძის აღება, მის ციხეში ფეხის გამაგრება და მერე, აქედან, ახალციხის, ახალქალაქის და არტაანის აღებაც. ერთის სიტყვით, 1770 წელს ქართველთ ცხადათ გაიკვლიეს გზა და კვალი, რომ ვიდრე საქართველოს სამეფოს თავის ადგილები არ დაუბრუნდება, მანამდის მის გაძლიერება შეუძლებელი იქნებაო.

მოგეხსენებათ, რომ ასპინძის გამარჯვებით ქართველთ საქმე კარგად ვერ წავიდა: თუმცა გაიმარჯვეს, მაგრამ იქივებიათ. ვინც ასპინძას დარჩენილან, იმათ ცხოვრების საქმე ძლიერ გასჭირვებიათ და ამიტომ ფაშისთვის განუცხადებიათ გათათრების ნატვრა, სურვილი. ფაშას გაჰხარებია და უთქვამს:

– ძლიერ კარგი, აი ახლა-კი გიწამებთ ჩვენს ერთგულებად.

– ნება თქვენი აღსრულდეს, – მიუგეს ზუბალაშვილებმა.




აქაურნი ქართველნი თათრობაზედ კათოლიკობიდგან არიან გადასულნი ასპინძის ომის შემდეგ (1770 წ.), როდესაც მთელს სამცხე საათაბაგოში ქართველთ კათოლიკეთ დევნა ოსმალთაგან მეტათ გაძლიერდა და გაგრძელდა 1780 წლამდის. ამ წელს-კი პაპსა და სულთანს შორის კავშირის პირობა დაიდო და ოსმალეთის საქართველოში ქართველ კათოლიკენი და მათი სამღვდელონი განთავისუფლებულ იქნენ და დაჯილდოებულ იმ პირობით, როგორც იგინი მანამდე იყვნენ.

ვიტყვით იმასაც, რომ შეიძლებოდა ასპინძის ომის შემდეგ, ასპინძაშივე მცხოვრები ზუბალაშვილები და სხვანი არაფერის დევნას მისცემოდნენ, იქნება ოსმალთა წინაშე ზუბალაშვილების არავის რა შაეტყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგანაც იგინი და რამდენიმეც სხვა კათოლიკენი ოსმალთ წინაშე დაბეზღებულ იქნენ იმ დროის ქრისტიანთ სომხებთაგან. სომხების მტრობა გამოწვეულ ჰყო შემდეგმა გარემოებამ: იმ დროის სომეხთ ეჩმიაძინი მთელს კათოლიკე სამღვდელოებას ევედრებოდა, რომ იგინი გრიგორიანთ ტიბიკონს დაკავშირებოდნენ, ნამეტურ ამას ავალებდნენ სამცხე-საათაბაგოს ქართველთ გვარის კათოლიკეთ, რომელთა სამღვდელოებაც სომხის ტიბიკონზე იდგა და ეკლესიებშიც უმეტეს ნაწილათ სომხურათ სწირავდნენ. ეჩმიაძინი ამისთვის ფულსაც ხარჯავდა, მათ კათოლიკის ზოგიერთ სამღვდელო პირნიც შეისყიდეს, იმედი ჰქონდათ დაკავშირებისა, მაგრამ ეს ვერ შეძლეს, რადგან მათ იმავ დროს ჰყვანდათ მოწინააღმდეგენიც, რომელნიც არ ეურჩებოდნენ მათს რჩევას. ასეთ პირებს იგინი მოსაკვლავათაც არ ინდობდნენ. ასეთ მოწინააღმდეგეთაგანი იყო ქართველთ კათოლიკეთ მოძღვარი იოანე გარსევანიშვილი, რომელიც სომეხთაგან მოწამლულ იქმნა 5 თებერვალს 1779 წ., იგი მღვდლობდა შავშეთის სოფელს ოქრობაგეთს. ასევე მოწამლეს შემდეგ დროებში პატრი ალოიზი. 127 წ. [sic!] ოსმალოს მთავრობაც შეისყიდეს და აღდგომის და აღდგომის პარასკევს დღეს ჯავახეთსა და მესხეთში ქართველ კათოლიკეთ 22 მღვდელი დააჭერინეს, ციხეში ჩაასმევინეს, ეკლესიები დაკეტეს და კლიტეები თვით დაიკავესო. აი ასეთი მტრობა ყოფილა დათესილი და ამ მტრობას გამოუწვევია ასპინძელ ქართველ კათოლიკეთ დაბეზღება და მტრობა.

პაპის წყალობა რომ არ მოვლენოდათ კათოლიკებს, უიმისოდ ქართველთ გვარის კათოლიკენი დიდს უბედურებაში ჩავარდებოდნენ, მათი დევნა არასოდეს არ მოისპობოდა და მით მთელს კათოლიკობას გათათრება, ან გრიგორიანებთან დაკავშირება აუცილებლად მოუხდებოდათ. მაგრამ ეს ვერ მოახერხეს მათ და კათოლიკენი თავისუფლათ დაშთენ, ხოლო 1780 წლის შემდეგ, რაც პაპსა და სულთანს შორის კათოლიკობის შესახებ ხელ-შეკრულობა მოხდა, ოსმალებმა კათოლიკეთა დევნას თავი გაანებეს.

# კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი

## ასპინძის ზუბალაშვილები და მათი გათათრება*

დან შორს წასვლა ვეღარ გაბედეს. ბრძოლა ერთის მხრივ საზარალოთ დაშთა, რადგანაც ქართველნი უკან დაბრუნდნენ. ოსმალთ ამ საქმეს გაფაციცებით შეხედეს. ამ დროს მესხეთში ათაბაგების გვარის ფაშა აღარავინ იყო და ახალციხეში ვიღაც ოსმალელი ფაშა იჯდა, უცხო ტომის. ამ ფაშამ მესხეთისა და ჯავახეთის ქართველებს ძლიერ ცუდის თვალით დაუწყო მზერა, ზოგიერთ ქრისტიანებს და ნამეტურ ასპინძის ქევხა კაცებს ღალატი დასწამა, მეფე ერეკლეს მომხრეობა და სხვანი. ომიანობის დაწყნარების შემდეგ, ფაშამ ზოგიერთი ქრისტიანი ქართველები სამართალში მისცა; ამათში მოჰყვნენ სხვათა შორის ასპინძაში მცხოვრები ზუბალაშვილებიც. ფაშა ამათ სწამებდა ღალატს, ქართველთ მეფის მომხრეობას, საიდუმლოდ ქომაგობას. რისხვა და მუქარა ფაშასაგან ძლიერ იყო აზვიადებული. ქრისტიანი ქართველები ფაშის წინაშე თავს მართლულობდნენ, რომ ჩვენ არავითარი კავშირი არ გვქონდა, არაფერი ქომაგობა არ გაგვიწევიაო. ფაშა მაინც არ წყნარდებოდა და მეტის მრისხანებით განსაკუთრებით ასპინძელებს ეპყრობოდა და ნამეტურ შეძლებულთ კათოლიკე ზუბალაშვილებს. ერთ დღეს ფაშასა და ასპინძის ზუბალაშვილებს შორის ასეთი საუბარი მომხდარა ახალციხეში.

– თქვენ თუ მეფე ერეკლესთან არა ვითარი კავშირი არ გქონიათ, მე ამას ვირწმუნებ მხოლოდ მაშინ, როცა თქვენ ქრისტიანობას ჰგმობთ და თათრობას მიიღებთ, – უთქვამს ფაშას.

ზუბალაშვილებს მიუგიათ:

– ბატონო ფაშავ! ჩვენი შიში რათ გაქვსთ, ჩვენ კათოლიკენი ვართ, ჩვენ პაპს ვემორჩილებით, ერეკლე მეფესთან საერთო რა გვაქვს, რომ თქვენ ჩვენ ღალატს გვწამებთ.

– ასეა საქმე. ჩემს საბრძანებელში, დღეის შემდეგ ქრისტიანად დაშთენა აღარავისი არ შეიძლება, კათოლიკეა თუ ქართველი, ყველა უნდა გათათრებული იქნენ, ჩვენ ეს ადრევე უნდა გვექმნა, მაგრამ ვერ ვქენით და ამიტომ ჩვენ დიდათაც ვიზარალეთ. დღეის შემდეგ ასე უნდა შესრულდეს საქმე, თქვენგან ჩვენ ერთგულების იმედი არ გვექმნება, ვიდრე არ გათათრდებითო, – უთქვამს ფაშას გადაჭრით.

– ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ, ამაზე პაპს დავეკითხებით, ჩვენი გათათრება არ შეიძლება, – მიუგეს ზუბალაშვილებმა.

– ორში ერთი ამოირჩიეთ, მე პაპის კითხვამდის არ დაგაცლით, საქმე ასეა, ან გათათრდით, ან აქედან წადით, ან დაიხოცებით. ხვალ ამის მაგალითებს ნახავთ...

მეორე დღისთვის დანიშნული იყო ფაშის წინაშე ყველა ქრისტიან ქართველთ გამოცხადება. ქრისტიანები გამოცხადდნენ. ოსმალეთის სულთანის ბრძანება გამოეცხადათ, რომ დღეის შემდეგ თათრის სამფლობელოში ქრისტიან ქართველების დაშთენა აღარ შეიძლება, ყველა თათრის რჯულს უნდა აღიარებდეს, ასეა ბრძანებაო. ამაზედ დიდი შლილობა მოხდა და 1773 წ. ქრიატიანთ ხოცვა და ჟლეტა უღვთოთ დაიწყეს, ჯერ გლეხებს, ზოგს ხოცავდნენ და ზოგს ათათრებდნენ. საქმე გაჭირდა, ქრისტიანებისთვის დადგა დიდი განკითხვის დღე. კათოლიკებმა პაპთან კაცები გაგზავნეს, ცნობები აუწყეს, ამაზედ მიწერ-მოწერაც გაიმართა, მაგრამ ოსმალნი მაინც არ დაწყნარდნენ. ახალციხის ფაშას კათოლიკებმა დიდი ქრთამიც მისცეს, მაგრამ არც არა ამ ქრთამებით იქმნა რამე, ასპინძის მცხოვრებთ ქევხა კაცებს მაინც სასჯელი არ უმცირდებოდათ, მთავრობის რისხვა უფრო მათზედ ძლიერდებოდა, ღალატს თითქმის მარტო იმათ სწამებდნენ და ზუბალაშვილებმაც ფაშისგან ამიტომ ვერ იხსნეს თავი.

თუმცა ძლიერ მორიდებით-კი, სინანულით, მაგრამ მეტად გაჭირვებულმა და შეწუხებულმა ზუბალაშვილებმა გადასწყვიტეს მუსულმანობასთან დაკავშირება და მით თავის გადარჩენა, უფრო-კი იმ მამულების გულისთვის, რომელიც ქრიატიანობის დროს მათ ამის წართმევა ელოდათ. ზოგნი წინააღმდეგნი გამხდარან გათარებისა, მამულებისთვის თავი დაუნებებიათ და სხვაგან გადასახლებულან, მამულები-კი მეგვარეებისთვის დაუტო-

ზუბალაშვილები მალე გაათათრეს, ერთ კომლს საცხოვრებელ ბინად ახალშენი მისცეს, იქვე ასპინძასთან ახლოს და დანარჩენნი ასპინძაში დასტოვეს. ამ ზუბალოვების გათათრების დროს, სხვა ქართველნი კათოლიკენიც მრავლად გათათრებულან, რადგანაც ესენიც დიდს დევნაში ყოფილან შთაცვივნულნი. მაშინდელ გათათრებულ ქართველ კათოლიკეთ შთამომავალნი დღესაც სცხოვრობენ მესხეთსა და ჯავახეთში. ამ გათათრებულთ გარდა 1773 წ. ოსმალეთის მთავრობამ დარჩენილ კათოლიკებსაც ცუდის თვალით დაუწყო ცქერა და ქრისტიანების სასარგებლოდ მათ თავისუფლად მოქმედების ნებას აღარ აძლევდნენ. კათოლიკობის გავრცელება შეჩერდა, მის შემდეგ იშვიათად-ღა ხდებოდა ამის მაგალითები ქართველთ შორის. კათოლიკის მღვდლებს ბრალი ედებოდათ მასზედ, რომ იგინი სასტიკად ამაგრებდნენ თვით მართლმადიდებელ ქრისტიან გლეხთაც, რომ იგინი არამცა და არამც არ გათათრებულიყვნენ.



გავუკეთოთ: ქუთაისის კათოლიკური ეკლესია

გათათრებულ ზუბალაშვილებს მიენიჭათ ის უპირატესობა, რაც უნდა მიეღოთ მათ, იგინი მიეცნენ განსვენებით ცხოვრებას და ნელ-ნელა ისლამის წესებსაც შეეჩვივნენ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მათ ქართულის ენის მაგიერ ოსმალური ენა შეითვისეს, უკანასკნელ მათმა ქალმა, კაცმა და ბოვშვმაც-კი დაივიწყეს დედა ენა და სრულიად თათრულად იწყეს საუბარი და მოქმედება, ასე რომ, ქრისტიანობისადმი ამათ დიდი მტრობაც ჩაენერგათ გულში და ქართველთ სასტიკად ვნებდნენ. ამათ გადაგვარებას და გადასხვაფერებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ახალციხიდამ ახალქალაქამდე, მტკვრის შეყოლება, სადაც-კი კარგი ადგილები და სოფლები იყო, ოსმალებმა ნახევრამდე ქურთები დაასახლეს. ასევე მოხდა ასპინძაში, სადაც ნახევარზე მეტი ქურთები დაასახლეს, ქართველი მუსლიმანები მათში აირივნენ და მით უფრო გადაგვარდნენ.

ნელ-ნელა ზუბალაშვილებში ფანატიკობა სრულს წერტილამდე ავიდა და 1877 წლის ომის შემდეგ ზუბალაშვილების რამდენიმე კომლი ფანატიკობით ოსმალეთში გადასახლდნენ. ასპინძაში დღეს მხოლოდ ერთი კომლი-ღა სცხოვრობს ზუბალაშვილებისა, ამათ ქართული ენა დავიწყებული აქვთ, შეძლებულ მცხოვრებლათ ითვლებიან, ნამდვილი თათრის ფანატიკები არიან, თუმცა ზეპირ გადმოცემით ის ამბებიც იციან, რომ მათი წინაპარნი ქრისტიანები ყოფილან და ოსმალთა ბრძანებით გათათრებულან. ისიც არის მათში დაშთენილი, რომ ჩვენი მონათესავები თბილისისაკენ სცხოვრობენო. ერთმა ხიზაბავრელმა გლეხმა (ი.მ.) შემდეგი მიამბო:

– მოხუცებულთაგან გამიგონია, რომ ასპინძაში ზუბალაშვილები სამნი ძმანი ყოფილან იმ დროს, როცა მათთვის თათრობა განუცხადებიათ; ერთი ძმა, რომელიც გათათრებულა, ასპინძაში დარჩენილა, მეორე ძმა, რომელსაც თათრობა არ მიუღია, თბილისში წასულა და მესამე გორში. ასპინძის ზუბალაშვილებში ის უკუღმართი ცნობაც არის დაშთენილი, რომ ვითომც ესენი ძველად თათრები ყოფილან და მერე გაქრისტიანებულან. ეს, რასაკვირველია, მოლებისა და ხოჯების პოლიტიკა გახლავთ, ამათის მეოხებით არამც თუ მარტოდ ასეთ გვართა გათათრების ცნობები მახინჯდება და სხვაფერდება, არამედ ამათ თვით ჩვენს თამარ მეფესაც მოჰხვიეს ხელი და ყველა ქართველ მუსლიმანს იმას უმტკიცებდნენ, რომ თვით თამარ მეფეც მუსლიმანი იყოვო. ასეთია ამ ფანატიკების ისტორიული ცოდნა და მათ ჭეშმარიტების ძიება.

სწორედ ამავე დროს გაუთათრებიათ სოფელ ბალაჯორში (ბორჯომის ახლოს) მცხოვრები ქართველთ კათოლიკეთ რამდენიმე კომლი. დღეს ბალაჯორში რამდენიმე კომლი-ღა სცხოვრობს კათოლიკეთა. ამბათ არის დაშთენილი, რომ

### ზუბალაანთ გვარის წევრნი სამეგრელოს მთავრის დადიანის სახლში

რადგანაც ქართველებში ბევრი რამ ნაწერები მტრის მახვილის და ცეცხლის ქვეშ მოისპო, მიტომ ჩვენ დრომდის ვერც რამე ვრცელმა აღწერებმა მოაღწიეს და ვერცა-რა სხვა ძველ სავაჭრო და შინაურმა დავთრებმა. თბილისში მე ვიცნობ ბევრს ძველს მოქალაქეთ ოჯახებს, დავიარე მათში, ვსძებნე რამე ცნობები ძველის აღებ-მიცემის, გასესხების, მაზანდის, სხვა-და-სხვა პირობების და საქმეების შესახებ და უნდა მოგახსენოთ, რომ ძლიერ მცირე ცნობები ვპოვე. ერთის ოჯახის დავთრებში-კი აღმოჩნდა ცნობები შესახებ მე-18 საუკუნის აღებ-მიცემის, საქართველოდგინ ინდოეთისა, ოსმალეთსა და სპარსეთში ვაჭრების წასვლის და საქონლის შემოტანის შესახებ. ამ საქმეს დიდათ ხელს უწყობდა მეფე ერეკლე და ვაჭრებს ყოველ ნაირ შეღავათს ანიჭებდაო. მე-18 საუკუნის თბილისის ვაჭართ და მოქალაქეთ შორის პირველი ადგილი სჭერია ივანე ზუბალოვს, ამის ბიძას გიორგის და სხვათაც.

ჩვენს ძველს მოქალაქეთ ოჯახებში 1820-1870 წლებში, ბევრი რამ ძველი დროის ბარათები იყო დაშთენილი, სიგელ-გუჯრები, სხვა-და-სხვა სავაჭრო ცნობათ ფურცლები და ნამეტურ დავთრები, სადაც იწერებოდა ყველა სავაჭრო ცნობები, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ძველ მოქალაქეთ ახალგაზრდა სომხის პატრიოტ შვილებისგან მთლათ ეს ძველი ქართული დავთრებიც გაჰქრა, ცეცხლს და წყალს მიეცა, რადგანაც მათ ასეთი დავთრების მნიშვნელობისა არაფერი წარმოდგენა ჰქონდათ. შესმენილი ჭკუა ასეთ გულ-გრილობას მწუხრის თვალით შეხედავს და უგრძნობისათვის-კი არაფერია. ასეთი დავთრების მოსპობა რამდენათაც საერთოდ არის საგ-

→

* იხილე „მოგზაური“ NN 6 და 7.

# და მისი გვარის ისტორია

←

ნო და საზარალო ჩვენის ისტორიისთვის, იმაზედ უფრო მეტად უნდა ჩაითვალოს იმ მოქალაქეთათვის, სადაც ეს დავთრები იწერებოდა, ვის გვარს და ოჯახსაც ეკუთვნოდა, ვის ძეთა გონებრივს და აღებ-მიცემის საქმეს შეეხებოდა. ამიტომ ხშირად ჩვენ ჩვენს ისტორიის ნაწილში ზეპირ-სიტყვაობასაც უნდა დავუთმოთ ადგილი და შემოვიტანოთ ყველა ის ზეპირ-გადმოცემები, რაც-კი საყურადღებო იქნება და საზოგადო ხასიათს არ მოკლებული.

აქ შემოვიტან ერთ ზეპირ-გადმოცემას, რომელიც მიამბო ქართველ კათოლიკეთა ვაჭარმა გრიგოლ ანტონის ძე ნალბანდოვმა (ძველი გვარი შოშიაშვილი). ამათ გვარის წევრნი ახალციხელები არიან და აღებ-მიცემას ძველიდგანვე შესჩვევიან, ახალციხიდგან შემდეგ ქუთაისს გადასახლებულან და უკანასკნელ, ბათუმშიაც დაუწყიათ აღებ-მიცემა. ქუთაისში გადასახლებულთ ნალბანდოვებს გაუცვნიათ იმ დროის გამოჩენილი ვაჭარი იაკობ ზუბალაშვილი. ეს გაცნობის ხანა უნდა მიეწერებოდეს 1820 წლებს არა უგვიანეს, როდესაც იაკობ ზუბალაშვილი მთელს იმერეთში ცნობილი პირი ყოფილა და სოლომონ მეფეც კარგად სცნობია. სოლომონ მეფეს ანტონ ნალბანდოვიც (შოშიაშვილი) კარგათ იცნობდა და როცა ეს მეფე ტრაპიზონს გაიქცა, მაშინ ანტონ ნალბანდოვიც სტამბოლში სავაჭროთ მიმავალი თან გაჰყოლიაო. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ სოლომონ იმერთა მეფე ჭკვიანი კაცი იყო, ბრძენი და მასთან მოქალაქეც. იგი თავისს სამეფოს ბევრს ვაჭრებს იცნობდა. ბედშავ მეფეს ბედმა არ გაუღიმა, თორემ მისის მეოხებით იმერეთის დამოუკიდებლობასთან ერთად ვაჭრობაც აღორძინდებოდა. მართლაც მის დროს მრავლად იწყეს ვაჭრებმა მგზავრობა ოსმალეთში. მე-18 საუკუნეს სტამბოლიდამ, ტრაპიზონიდამ და ყირიმიდამაც დიდი ძალი საქონელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ ქართველთ ვაჭრებს, რომლის უმეტესი ნაწილი ქართველი კათოლიკეებისაგან შესდგებოდა.

როგორი პატივისმცემელიც ვაჭრობისა მეფე სოლომონი ბრძანდებოდა, ისეთივე სამეგრელოს მთავარი იყო და გურიისა, სამეგრელოს მთავარი და მისი მეუღლე ეკატერინე, ასული ალექსანდრე ჭავჭავაძისა, იქამდის კარგად იცნობდნენ იაკობ ზუბალაშვილს და საზოგადოთ ვაჭრობას ისე აფასებდნენ ესენი, რომ უკანასკნელმა იაკობ ზუბალოვს სამეგრელოში ვაჭრობის სრული უფლება მისცა, თავისი სასახლის ვაჭრათაც იგი დანიშნა და რაც-კი საჭირო იყო მთავრის სასახლისთვის, ყველა ის საჭირო ნივთები იაკობ ზუბალოვს მოჰქონდა მთავრის კარისათვის. ასეთ სამთავრო სახლის მოვალეობამ იაკობ ზუბალაშვილი იძულებული ჰყო, რომ საქართველოს ვაჭრობის და მრეწველობის გარეშე კონსტანტინეპოლის გზით ევროპის ვაჭრებთანაც აღებ-მიცემა და კავშირი. უნდა ითქვას, რომ ი.ზუბალოვი მთავრის სახლს დიდის თავაზით ეპყრობოდა, არაფერს არ აკლებდა, მთელი საგვარეულო დადიანებისა და თვით მთავარი დადიანიც დიდს პატივს ანიჭებდა ზუბალაშვილს. სხვათაშორის იაკობ ზუბალაშვილს მთავრის სახლის საჭიროების გამო დაახლოებული კავშირი ჰქონდა კონსტანტინეპოლში მყოფს ქართველთ კათოლიკეთ ვაჭარ ნალბანდოვთან, რომელიც სტამბოლიდან ბევრს რამეს საქონელს უგზავნიდა ზუბალოვს და ესეც სამაგიეროთ კონსტანტინეპოლს დიდ ძალს საქონელს გზავნიდა, რაც მაშინ დიდს ფასადაც საღდებოდა. იაკობ ზუბალაშვილი საქართველოდამ გზავნიდა ბამბას, მატყლს, აბრეშუმს, ბზის ხეს, ხოლო იქიდამ მოსდიოდა ფარჩეულობა, შაქარი, ჩაი, ყავა, ძაფეულობა, სარკეულობა და სხვაც ამ გვარნი. უნდა ვსთქვათ, რომ ძაფეულობა და ჩითეულობა საქართველოშიაც იცოდნენ, მაგრამ მთავართა და მეფეთა სახლთათვის უცხოეთისას ხმარობდნენ, რადგანაც უცხოეთის ნაწარმოები უფრო ნაზი თვისების ყოფილა.

როდესაც სამეგრელო რუსის მთავრობას ჩაბარდა, მაშინაც იაკობ ზუბალოვი დიდათ დაახლებული იყო მთავრის ოჯახთან. უკანასკნელ დღემდე, ვიდრე ამ სამთავროს ავტონომია მოიშლებოდა, ზუბალოვი მთავრის დიდ პატივისმცემლათ და ერთგულათ ირიცხებოდა. ზობალოვის ეს ერთგულება მთავრის მეუღლემაც კარგათ იცოდა და როდესაც მთავრის სახლის წევრნი წარსდგნენ რუსეთის მთავარ-მართებლის წინაშე, მაშინ მათ იაკობ ზუბალოვიც თან მიიყვანეს, ზუბალოვიც წარუდგინეს მთავარ-მართებელს და მოახსენეს შემდეგი: – „ეს ვაჭარი გახლავთ იაკობ ზუბალოვი. ზუბალოვები საქართველოში ადრიდანვე არიან ვაჭრობით ცნობილნი და დამსახურებულნი, როგორც ქართლში მეფე ერეკლეს და გიორგის წინაშე, ისევე აქ იმერეთში და ჩვენი სამთავროს წინაშეც. იგი არის სანდო პირი, სწორი, რასაც იტყვის, არას მოგატყუებსთ, რასაც დაგპირდებათ, ყველაფერს შეასრულებს. ამიტომ ვითხოვ, რომ როგორი პატივის-ცემაც ამ პირს და ამათ გვარის წევრთ მეფე ერეკლის, გიორგის და ჩვენის სახლის წინაშე ჰქონდათ, ისეთივე მიანიჭოთ თქვენა და თუ სადმე ვაჭარი კაცები დაგჭირდესთ, ამას მიმართეთ, ეს ყველაფერს შეგისრულებსთ, რასაც თვითონ ვერ მოასწრობს, იმას სხვებს გადასცემს, სხვებსაც გიშოვნისთ, ნამეტურ თქვენს ჯარს ეს დაეხმარება სურსათის გარდმოცემით, „ფოდრატები“-თო. ზუბალოვს შეგიძლიანთ ერთი მილიონის იჯარა მისცეთ, მე ვარ ამის პასუხის მგებელი“.

მთავრის ნიკოლოზ დადიანის სიტყვა მთავარ-მართებელმა მოისმინა, იაკობ ზუბალოვი გაიცნო და იმ დღიდან იგი სანდო პირად იქმნა ცნობილი. პირველის წლიდანვე მას მიანდვეს პურის „ფოდრატი“, პური-კი დიდი ძალი იყო საჭირო. აქ ზუბალაშვილმა დიდი მხნეობა გამოიჩინა და მთავრობას ყველაფერი შეუსრულა, რისთვისაც მან მთავრობისაგან მადლობაც მიიღო და, რაც შეეხება მოგებას, ესეც კარგათ მოუხდა. მან მაშინ კარგა ბევრი ფული მოიგო და იმ დღიდან წავიდა მისი საქმე წინ. რუსების იმერეთში შესვლის შემდეგაც იაკობ ზუბალოვის კავშირი არ მოსპობილა დადიანის სახლთან, ვიდრე სამეგრელოს მთავრის შვილებს რუსეთში გადაასახლებდნენ. ამას ითხოვდა მთავრის ოჯახის პატივისცემა, პურ-მარილი და მიტომაც იყო მათი ერთგული, პატივისმცემელი და მარადის ნატვრით მომგონებელი.



იაკობ ზუბალოვის მამა, ივანე ზუბალოვიც, დაახლოვებული პირი ყოფილა როგორც სოლომონ მეფის, ისევე სამეგრელოს და გურიის მთავრების. ივანე ზუბალოვი თავის შვილებს პატარაობიდანვე ატარებდა იმერეთში, ვაჭრობას და ხალხს აცნობდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ ახალგაზრდა იკობ ზუბალოვი იმერეთში მგზავრობისას ვერ დაიწყებდა და ისე ადრე ვერც სოლომონ მეფეს გაიცნობდა და ვერც სამეგრელოს და გურიის მთავრებს. იმერეთში, ჯერ სოლომონ მეფემ და შემდეგ სამეგრელოს და გურიის მთავრებმაც ისურვეს ზუბალაშვილების აზნაურობით დაჯილდოვება, მაგრამ ზუბალაშვილებმა ეს არ ინდომესო, რადგანაც საქართველოში, მეფე ერეკლეს დროიდგან მოქალაქეებს, ანუ ვაჭრებს მეტი პატივი ჰქონდათ, ვიდრე აზნაურებსაო. მეფე ერეკლეს ოჯახი, სოლომონ მეფის და სამეგრელოს მთავრის სულ აზნაურ მოსამსახურეებით იყო სავსე და მოქალაქე ვაჭარს-კი თქვენ ერთსაც ვერ ნახავდით, ამას მათ ვინ აკადრებდაო, ვაჭარს ყოველთვის მეფე და მეფის ძენი სავარძელზე დასომდნენ და ისე ემუსაიფებოდნენ სავაჭრო საქმეებზედო. აზნაურებიც-კი ყოველთვის კარის კაცებათ იდგნენ და თავს დაჰყურებდნენო. ამიტომაც იყო, რომ ზუბალაშვილები აზნაურობას არ ნდომებდნენო. რამდენჯერაც მიუმართავთ ამათთვის აზნაურობის მიცემის საუბრით, იმდენჯერვე მათ უარი განუცხადებიათ და უთქვამსთ:

მეფეო, თქვენი წყალობა იქამდის უხვი გახლავსთ ჩვენზედ, რომ ჩვენ ამ წყალობაზედ მეტს სხვას არას ვსაჭიროებთ, ოღონდ მეფე ბრძანდებოდეს კარგათ.

სამეგრელოს მთავართ პატივისცემის ცნობები ზუბალაშვილების წინაშე მრავალთ ახსოვთ დღესაც, ბევრნი არიან მის მომგონებელ-მომთხრობნი. მთავართ პატივისცემამ და საზოგადოთ ზუბალაშვილებისადმი ნდობამ თვით ქართველ მეფეებიდამ დაწყობილი რუსეთის მთავრობამდის ისე წაიყვანა მათი საქმე, რომ უკანასკნელი ზუბალაშვილები იმერეთის სამრეწველო ასპარეზზედ ერთს მთავარ მრეწველად აღმოჩნდნენ. ჯერეთ, ვიდრე იმერეთის სამეფო მოისპობოდა, მანამდისაც მრეწველობდნენ ესენი იქ და სამეფოს მოსპობის შემდეგაც აწარმოებდნენ თავიანთ საქმეებს, თუმცა მხოლოდ აქა-იქ, წვრილ-წვრილად, უკანასკნელ-კი, რა-კი საქართველოს გაერთიანება მოხდა და ვაჭრობამ იწყო აღორძინება, იაკობ და გიორგი ზუბალაშვილებიც ერთი ათად წავიდნენ წინ და მათ ბევრი რამ დიდი „ფოდრატები“ აიღეს, ხოლო იმერეთში მამა-პაპურს სამრეწველო საქმესაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს.

„კავკასიის აქტები“ რომ გადავსინჯოთ, იქ ძველ ვაჭრების შესახებ მცირე ცნობებს ვნახავთ, თითქმის სულ არაფერს და აქა-იქ თუ-კი ვინმე მოიხსენიება, იმათში ზუბალაშვილებს შესამჩნევი ადგილი უკავიათ. მაგალითებრ, როგორი მხნე მრეწველიც ივანე ზუბალოვი ყოფილა (1747-1817 წწ.), ასეთივე ყოფილა შვილი მისი იაკობ ზუბალაშვილი, პაპა დღევანდელის სტეფანე ზუბალაშვილისა. კარგათ შევნიშნეთ და ეს ყველასათვის აშკარა უნდა იქმნეს, რომ მე-18 საუკუნის ზუბალაშვილები საკმარისად მოხერხებულ ვაჭარმრეწველად იგულისხმებიან. ჩვენ ქართველთ ასეთი პირების ყოლა დიდს სანარუქო საქმეთ მიგვაჩნია, ჩვენს ცხოვრებაში ამას საკმარისი ადგილი უნდა დაეთმოს, რადგანაც ჩვენ ქართველნი, სავაჭრო ასპარეზს და კარგათ მოწყობილ ენერგიულ ვაჭრებს და ვაჭრობას თითქმის იმ დღიდგან ავსცდით, როცა-კი ჩვენმა სამშობლომ ვრდომა იწყო, როცა აზიის დაგეშილ მუსულმანებმა ჩვენზედ ნავარდობა იწყეს, მაშინ აბა საიდამ-ღა სცალოდა ვაჭრობისთვის, ამის ტრფიალი ვიღას უნდა ჰქონოდა, არავის!.. მაგრამ, არა! გმირ ხალხთა ცხოვრებამ ასე იცის და იგი ყოველ განწირულობის დროსაც-კი არ ჰკარგავს თავის საკუთარ სულის ძალას, ნაციონალურს სიმტკიცეს, აღმატებას და ყველაფერს შეძლების-და გვარად ეკიდება.

სწორეთ ამის უტყუარს ჭეშმარიტებას წარმოადგენს ძველთაგანვე ზუბალაანთ გვარის წევრთა საკმარისის ენერგიით აღვსება, თვალის გახილება, ვაჭრობა, წარმატება და უკანასკნელ ჩვენის გვარის სასახელოდ ვაჭრობის ასპარეზზედ მოქმედება და ჩვენი ავ-კარგიანობის გამოჩენაც. ბევრნი ბრძანებდნენ ხოლმე, რომ ქართველებს არც ვაჭრები ჰყოლიათ, არც ქარხნები ჰქონიათ, ვაჭრობა ხომ სულ არაო, ეს რა მაგათი საქმე იყოვო, იგინი ყველაფერში უქმნი იყვნენ, ამ საქმეებს მათში მხოლოდ სხვა ტომის კაცები აწარმოებდნენო. ამას ბრძანებენ ის პირნი, რომელნიც ჩვენს ქვეყანას სრულობით არ იცნობენ, ან იცნობენ და ამას ჩვენს დასამცირებლათ ბრძანებენ, ჩვენის გვარის უკან მისაგდებად, მტრობით, რათა სხვების წინაშე დაგვამდაბლონ. ასეთმა პირებმა რამდენიც უნდა გვიმტრონ, მაინც ისინი ვერას დაგვაკლებენ, ჭეშმარიტება არ დაეცემა და ნელ-ნელა დრო და გარემოება სხვა ნაირად ახსნის მთელის ერის გვაროვნობის ნიჭიერების საქმეს სამრეწველო ასპარეზზედ. ამ ნიჭიერების დასამტკიცებლად კმარა ჩვენ დავასახელოთ თუნდაც იოანე ზუბალოვი, რომელიც მე-18 საუკუნის ერთ უმთავრეს მრეწველად ითვლებოდა საქართველოში. როგორც მხნე პირათაც მე-18 საუკუნეში იოანე ზუბალოვი სჩანს, ისევე ამის ძე იაკობი მე-19 საუკუნეში. მოკლეთ დახასიათება ამ პირებისა არ იქნება ურიგო, რადგანაც დროსა და გარემოებას ბევრნაირი ცვლილება და პირობები მოაქვს. იოანე ზუბალოვი მრავალ ნაირად ამაღლებული პირია, ნამდვილი სახე ძველი დროის ქართველისა, გავლენიანი პირი არა მარტო წარჩინებულ პირთა წინაშე, არამედ გორის, თბილისის და იმერეთის ხელოსნებსა და ვაჭრებშიაც. გოში ისე რამ სახალხო საქმე ან ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახები კამათი და გარჩევა არ განიბჭობოდა, რომ იქ ივანე ზუბალოვს მონაწილეობა არ მიეღო. იგი იყო მათი მოსარჩლე, მოსამართლე, დამრიგებელი და დახმარების მიმცემიც. ასეთს გავლენას და უპირატესობას ივანეს გარდა სხვა ზუბალოვები არ იყვნენ მოკლებულნი, ყველანი შეძლების-და კვალად ემსახურებოდნენ თავიანთ სამშობლო ქვეყნის უმრავლესობას, ხოლო დღევანდელის მამულიშვილის სტეფანე ზუბალოვის პაპის მამა ივანე-კი მაღლა იდგა და განსხვავდებოდა სხვა იმ დროის ზუბალაშვილებისგან ბევრი რამის გარჩევ-განსხვავებით.



ძმები ზუბალაშვილების მიერ აშენებული სასახლე 1909 წ.

ივანე ზუბალაშვილი საქართველოს ერს, მეფეს, მეფის ძეთა და მთავრებსაც კარგად იცნობდა და ყველგან ჰქონდა მისვლა-მოსვლა, კარგი განწყობილება, თავაზი და გავლენა. მე-18 საუკუნის დასასრულამდე, მთელ საქართველოში, სადაც-კი უნდა გენახათ ვინმე და გეკითხათ ივანეს სახელი, ამის ცნობას ყველა გეტყოდათ. იგი და მისი გვარის წევრნი მხნედ მოგზაურობდნენ და აწარმოებდნენ თავიანთს საქმეებს. დღესაც ბევრს ახსოვს ამათი ვაჭრობის საქმე, თუ ესენი რა ენერგიით აღვსილნი მოქმედებდნენ სავაჭრო ასპარეზზედ და თუ რამდენ ნაირი საქონელი შემოჰქონდათ საქართველოში და მით ამრავლებდნენ ქართველ ხალხში. ჩვენ ვიცით კარგათ, რომ ივანე და ამის მეგვარენიც ძველითგანვე იყვნენ ქართულის მწიგნობრობას შეჩვეულნი, ქართული წიგნების კითხვა და ვარჯიშობა მათს მემკვიდრეობითს ისეთსავე დარგად შესდგებოდა, როგორც სხვა იმ დროის წარჩინებულ ქართველებისას. საუბედუროთ ჩვენის სამთავრო სახლის შვილების ძველმა დავთრებმა, წერილებმა და სხვა-დასხვა ძველ ბარათებმა ძლიერ მცირეთ მოაღწიეს ჩვენამდე, თორემ ჩვენ დრომდე რომ მათ მრავლად მოეღწიათ, მაშინ იქ ივანე ზუბალოვის ნაწერ წერილებში ბევრი რამ საინტერესო ცნობები აღმოჩნდებოდა, მისის საშუალებით ჩვენ ბევრს საინტერესო სავაჭრო მხარეს შევისწავლიდით ძველის ვაჭრობის, მაზანდის და სხვა-და-სხვა საქონლის საჭიროების შესახებ.

განსვენებულის კონსტანტინე ზუბალოვის მამა, იაკობი, იყო ძე ამ ივანე ზუბალოვისა, დაიბადა 1792 წ., ესე იგი, იმ დროს, როცა საქართველოს სამეფო ჯერ კიდევ მკვიდრს საძირკველზედ იდგა, როცა მისი ხსენება აზიაში ბრწყინვით განისმოდა, ქართველთ სამეფოს მფარველობა კავკასიის ყველა დაჩაგრულთ ქრისტიანებს მალამოსაებრ ევლინებოდა, როცა საქართველოში ქართულს ხმაურობას და სულიერებას თავისი კანონიერი ძალოვნება და პატივი ემოსა გარს.

იაკობ ზუბალოვმა ჩვენის მეფობის დროს გაახილა თვალები, იგი თუმც პატარა იქმნებოდა, მაგრამ მაინც მოესწრო პატარა კახის მეფობას, შემდეგ, მის სიკვდილს და ქართლ-კახეთში ბაგრატიონების გვარის გამგეობის დასასრულს და საქართველოს რუსეთთან დაკავშირებას. იაკობი 10 წლის იქმნებოდა, როცა საქართველო რუსეთს დაუკავშირდა.

იაკობი პატარაობის დროს თავის მშობლებთან სწავლობდა, შემდგომ კათოლიკის პატრებთან, ქართული ანბანი და წერა-კითხვის ცოდნა მას ჩვენის მეფობიდგანვე ჰქონდა შესწავლილი. მას პატარაობიდანვე ეტყობოდა საგვარეულო ნიჭიერება, ყველა საქმისადმი ლტოლვა და მისწრაფება. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, პირველი რუსული სასწავლებელი 1802 წ. გაიხსნა, ამ სასწავლებლის გარდა ქართველთ სხვა ძველი სასწავლებლებიც გვქონდა: ოთხი სახალხო სასწავლებელი, ერთი სასულიერო, საექიმო და კათოლიკებისა, 1630 წლიდგან დაარსებული, რომელიც დღესაც არსებობს. იაკობი

გაგრძელება გვ. 9▶

# ტურიზმის განვითარების პერსპექტივები ბორჯომში

ტურიზმის განვითარება დღეს სახელმწიფოს პრიორიტეტია და ამ მიმართულებით მრავალი საინტერესო ღონისძიებაც ტარდება, – დიდი ხანი არაა, რაც საქართველოში ტურიზმი აღიარებული იქნა ეკონომიკის შემადგენელ დარგად. მოკლე ხანში მოხერხდა მიგვეღწია სასიკეთო ძვრებისათვის და მომზადებულიყო ნიადაგი საქართველოში ტურიზმის დაჩქარებული განვითარებისათვის, კერძოდ, ჯერ კიდევ 1997 წელს მიღებული იქნა კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, 1998 წელს – „ სანიტარული ზონების თაობაზე“. კარგახანია მომზადდა საქართველოში ტურიზმის განვითარების კონცეფცია, რომელიც ითვალიწინებს თანამედროვე დონის სასტუმროებისა და ტურისტული ადგილების ინფრასტრუქტურის სრულყოფის სამუშაოების დაჩქარებას.

რესპუბლიკის ტურიზმის სააგენტო მიზანმიმართულად ახორციელებს საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს ტურისტული პროდუქციის გატანის ღონისძიებებს, რისთვისაც მუშავდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მარშრუტები, შეიქმნა კინოფილმები, გამოიცა ილუსტრირებული ჟურნალები, ბუკლეტები და სხვ.

ყოველივე ზემოთ თქმული ხელს უწყობს საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიო ტურისტულ სივრცეში და ერთ-ერთი წარმატებული ტურისტული ინდუსტრიის მქონე ქვეყანა გახდა, რაც მნიშვნელოვან შემოსავალს მოუტანს ქვეყნის ბიუჯეტს.

ყველაზე დიდი მოთხოვნა დღეს საკურორტო ტურიზმზეა. სწორედ საკურორტო მკურნალობით შეიძლება ადამიანის ფიზიკური და სულიერი წონასწორობის აღდგენა, რისთვისაც მნიშვნელოვანია ბუნებრივი ფაქტორების გამოყენება. ამ მხრივ, ბორჯომს უაღრესად დიდი პოტენციალი აქვს, იგი მდიდარია ლამაზი ლანდშაფტებით, რომლებიც დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, ასევე მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რომელიც ადამიანის გაჯანსაღებას უწყობს ხელს.

ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით დიდი მომავალი აქვს ბორჯომის ხეობას. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის პროგრამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემოსავლის წყაროს სწორედაც რომ ტურიზმი წარმოადგენს.

**როგორია ბორჯომ-ბაკურიანის ტურისტული წვლილი ამ წარმატებაში?**

იგი საკმაოდ მრავალფეროვანია, აქ შესაძლებელია განვავითაროთ ტურიზმის სხვადასხვა სახეები. კერძოდ, ეკოლოგიური და ბუნების შემეცნებითი, კულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სათავგადასავლო და სხვა სახის ტურიზმი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოტურიზმის განვითარებას, სამკურნალო და პროფილაქტიკურ, სენიორთა და VIP ტურიზმს, სამთო, საცხენოსნო, ველო, სპორტულ, საავტომობილო ტურიზმს და სხვ.

არსებითია, რომ რაიონის ფარგლებში ტურისტული სეზონური დატვირთვები წელიწადის დროების მიხედვით არათანაბარია. ზამთარში ამ დატვირთვის ძირითადი ნაწილი ბაკურიანზე მოდის, ხოლო ზაფხულში – უმთავრესად, ქალაქ ბორჯომზე.

დღეისათვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები, აგრეთვე საკურორტო ადგილები:

**ბორჯომი**–მინერალური წყლების (ბალნეოლოგიური) კურორტი;

**ბაკურიანი**– სამთო-სათხილამურო კურორტი;

**ცემი, პატარა ცემი, წაღვერი, ლიბანი, ტბა, ციხისჯვარი, ახალდაბა, ჩითახევი** – კურორტები;

**ლიკანი, ტიმოთესუბანი, სადგერი, დაბაძველი, მზეთამზე, დაბა, ახალი უბანი** – საკურორტო ადგილები.

**ვიზიტორთა ძირითადი დაინტერესების ობიექტებია:**

**1.ბორჯომის რაიონის ღირსშესანიშნაობები;**

**2.ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი;**

**3.ვარძია;**

**4. ახალციხე, საფარა.**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 200-მდე ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლია. მათ შორის ოცამდე ობიექტი მეტ-ნაკლებად კარგადაა შემონახული, რომლებიც წარმოადგენენ ტურისტებისათვის მიმზიდველ და საინტერესო დასათვალიერებელ ადგილებს.

ბორჯომს გააჩნია გასართობი და კულტურულ-შემეცნებითი ტურისტული ინფრასტრუქტურა: **ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ბორჯომის თოჯინების თეატრი, კინოთეატრი, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი,** აგრეთვე შემეცნებითი, დასვენებისა და გართობის პარკები: **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, მინერალური წყლების პარკი** და ა.შ.

მიმდინარეობს სასტუმრო კომპლექსების, საოჯახო სასტუმროების, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ოფიციალურად 2001 წელს გაიხსნა.

2007 წლის მდგომარეობით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორია შეადგენს 76. 000 ჰექტარს; იგი ვრცელდება 6 ადმინისტრაციულ – ბორჯომის, ხარაგაულის, ახალციხის, ხაშურის, ადიგენის და ბაღდათის რაიონებზე. ეროვნული პარკი მოიცავს ხელუხლებელი, ველური ტყის, სუბალპური და ალპური მდელოების ზონებს. პარკი ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პირველი ეროვნული პარკია კავკასის რეგიონში.

ეროვნული პარკისათვის საერთაშორისო აღიარება ნამდვილად აქტუალურია, როგორც თვით პარკისათვის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის, რადგან იგი ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ტურისტთა მოზიდვისათვის. აღსანიშნავია, რომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს კარგად იცნობენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი 2007 წელს პან-პარკების წევრი გახდა, რაც ნიშნავს დაცული ტერიტორიების ელიტარულ ქსელს.

2008 წლის სასტუმრო „ბორჯომის ხეობამ“ პან-პარკების სერთიფიკატი მიიღო.

ეროვნულ პარკში რვა სხვადასხვა სართულისა და ხანგრძლივობის ტურისტული მარშრუტი ფუნქციონირებს. ეროვნულ



პარკში ტურისტების სამსახურშია როგორც ერთდღიანი, ასევე მრავალდღიანი ვიზიტის შესაძლებლობა. შესაძლებელია ცხენებით მომსახურება და სხვა.

მიმდინარე წელს ბორჯომს მრავალმა უცხოელმა ტურისტმა მოაკითხა. მათ ღირსეულად დახვედრას სტუმართმოყვრულად ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობა.

ჩამოყალიბდა ტურისტების სტუმართმოყვრულად მიღების ათი მცნება. რომლებსაც ბორჯომელები ძირითადად პირნათლად ასრულებენ.

აი, ისინიც:

**1.სტუმარმა დაიძინოს (მოისვენოს) მყუდრო საწოლში ხელმისაწვდომ ფასად;**

**2.დაიბანოს სუფთა აბანოში;**

**3.გაუმასპინძლდნენ ადგილობრივი მოსახლეობის უბრალო, მაგრამ გემრიელი კერძებით;**

**4.დაათვალიეროს ღირსშესანიშნავი ადგილები (ქალაქები, სოფლები, ბუნების და ისტორიული ძეგლები);**

**5.გაეცნოს ნანახი ადგილის ისტორიას და კულტურას;**

**6.მისცენ აქტიურად დასვენების საშუალება (ფეხით სიარული, თევზაობა, თხილამურები, ცხენით სეირნობა და ა.შ);**

**7.სამახსოვროდ იყიდოს ადგილობრივი ხელოსნების ნაწარმი, სუვენირები;**

**8.საშუალება ჰქონდეს გაეცნოს და დატკბეს ქვეყნის კულტურული ცხოვრების მიღწევებით (მუსიკა, ცეკვა, თეატრი, ხელოვნება);**

**9.შეუზღუდავად მისცენ თავისუფლად სიარულის საშუალება, მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას არ დაემუქროს საფრთხე;**

**10.მოსამსახურე პერსონალი მოემსახუროს ღიმილით და თავაზიანად.**

ტურისტები მიდიან იმ ქვეყნებში, სადაც ეს 10 მცნება სრულდება. მათ ურჩევნიათ კერძო სახლებში ძილი და მოსვენება, ვიდრე მდიდარ აპარტამენტებში.

ადამიანები იმიტომ მოგზაურობენ, რომ სურთ შეისწავლონ და გააცნობიერონ ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია. მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, კულტურა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კეთილი მასპინძლობით მოვხიბლოთ სტუმრები. თბილმა ღიმილმა და გულისხმიერმა მოპყრობამ შეიძლება ბევრი პრობლემა გადაჭრას, ეს უნდა ახსოვდეს ტურისტების მომსახურე პერსონალს.

**რა შენიშვნები მაქვს ჩვენს ხეობაში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით?**

**უკანასკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტის მიერ ქალაქისა და დაბა-სოფლებისადმი გამოჩენილმა განსაკუთრებულმა მზრუნველობამ, მისი იერსახის და ინფრასტრუქტურისადმი განუხრელმა ყურადღებამ შედეგი ნამდვილად გამოიღო, ბევრი რამ გაკეთდა, აშენდა და კეთილმოეწყო. ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ვერ ხედავდეს განახლებულ სკვერებს, ბალ-პარკებს, სანაპიროებს, ფეხით სავალ ბილიკებს, დახაზულ გადასასვლელებს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, სოფლად მოასფალტდა გზები, გაუმჯობესდა მოსახლეობის წყლით, დენით, ბუნებრივი აირით მომარაგება, გარე განათება. შეუფერხებლად მოძრაობს საქალაქო და საგარეუბნეო ტრანსპორტი და სხვა.**

სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება ბაკურიანში სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებისათვის, მაგრამ საკურორტო ზონაში დღემდე განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი არაა ტურიზმის საერთაშორისო დონეზე განსავითარებლად.

თუ ობიექტურად ვიტყვით,. ბორჯომის ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ შორსაა მსოფლიო მნიშვნელობის ტურისტული დონიდან.

ცნობილი მეცნიერები ხაზგასმით აცხადებდნენ, ბორჯომში 10-15 დღით დასვენება მთელი წლით უნარჩუნებდა ადამიანს შრომისნაყოფიერებას და ჯანმრთელობას.

სამწუხაროდ, უკანასკნელი 25 წლის მანძილზე მოიშალა და გაპარტახდა ბორჯომის სანატორიულ-საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურა, განადგურდა სამკურნალო დაწესებულებები.

მომავლის იმედად აშენდა და ქალაქი ნამდვილად დაამშვენა თანამედროვე დონის კერძო სასტუმრო-სამკურნალო დაწესებულებებმა „ქრაუნ პლაზამ“, „რიქსოსმა“, „ბორჯომი-პალასმა“ და სხვა მცირე მოცულობის სასტუმროებმა, რაც საკმარისი ნამდვილად არაა.

მიუხედავად იმისა, რომ წლითიწლობით იზრდება დამსვენებელთა და ტურისტთა რაოდენობა, იგი ჩვენს რეგიონს მხოლოდ 15-20 პროცენტით ტვირთავს.

2015 წელს რაიონში 220 ათასზე მეტი ტურისტი შემოვიდა, ბაკურიანში 300 საოჯახო სასტუმროზე მეტია, ხოლო ბორჯომში მხოლოდ - 21.. ასეთი დისბალანსი არ შეეფერება ბორჯომის საკურორტო პოტენციალს, ამიტომ უნდა დაჩქარდეს საოჯახო სასტუმროების მშენებლობა, რომელშიც კომფორტულად ხელმისაწვდომ ფასად მოემსახურებიან დამსვენებელს და ტურისტს. ჯერჯერობით არც ეს პრობლემაა გადაწყვეტილი.

როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს, სიმართლე უნდა ითქვას, ბორჯომის რეგიონის საკურორტო პოტენციალს პროპაგანდის ნაკლები ყურადღება ეთმობა, ორიოდე ტურისტული საინფორმაციო ცენტრი საკმარისი ნამდვილად არაა ამ დიდი მოცულობის სამუშაოების გადასაწყვეტად.

**ბორჯომის საკურორტო რეგიონში ძირითადად მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტით ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები. ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 4-5 მილიონი ლარი გამოიყოფა, რაც მხოლოდ სარეაბილიტაციო სამუშაოებს თუ ყოფნის და ახალი, მძლავრი, ღირსშესანიშნავი ობიექტების მშენებლობის დაწყება ვერ ხერხდება. ყოველივე ეს კი იმის ბრალია, რომ დღემდე ბორჯომს არა აქვს განვითარების გენერალური გეგმა.** ფაქტია, ქალაქის განვითარება სათანადო გეგმის გარეშე შეუძლებელია.

**ცოტა რამ წარსულიდან:**

– **ბორჯომ-ბაკურიანის** საკურორტო ზონაში მოქმედებდა საკავშირო მნიშვნელობის ორი ტურისტული ბაზა (ბაკურიანსა და ბორჯომში, საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი ბაკურიანში, რესპუბლიკური მნიშვნელობის იყო ტბის ტურისტული ბაზა).

ბორჯომსა და ბაკურიანის ტურბაზებში მაისიდან ოქტომბრის ბოლომდე ისვენებდა 30-40 ათასი ტურისტი, ხოლო ბაკურიანის საერთაშორისო ახალგაზრდულ ბანაკში მთელი წლის მანძილზე 15-20 ათასი ტურისტი ჩამოდიოდა. ზაფხულის სასკოლო არდადეგების პერიოდში ახალდაბაში, წაღვერში, ცემში, ბაკურიანში, ქვაბისხევში არსებულ 10-ზე მეტ პიონერთა ბანაკში ათი ათასობით მოსწავლე იკაჟებდა ორგანიზმს, მხიარულად და შინაარსიანად ატარებდნენ დროს.

**როგორია ამ მხრივ დღევანდელობა?**

გაყიდული და ბოქლომდადებულია ტურისტული ბაზები, გაპარტახებულია თითქმის ყველა პიონერთა ბანაკი.

რაც შეეხება ტურისტულ პოტენციალს, ამ სფეროში ერთადერთ საიმედო ფაქტორს წარმოადგენს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ბორჯომის და ბაკურიანის ტურისტული ცენტრები და ტაქსის მძღოლების ანაბარად მიტოვებული ტურისტები. არავინ იცის, რას უყვებიან ტურისტებს ბორჯომელი და ბაკურიანელი ექსკურსიამძღოლები თუ გიდები, როგორ აცნობენ საქართველოს ისტორიას, კულტურას და ეთნოგრაფიას სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტებს.

დღეს ბორჯომში და ბაკურიანში არც თუ მდიდარი ტურისტები შემოდიან, ისინი ძირითადად კერძო ბინებში და საოჯახო სასტუმროებში შედარებით იაფად ცხოვრობენ, მაგრამ უფრო მეტნი ღამეს ღია ცის ქვეშ – კარვებსა და საძილე ტომრებში ათენებენ.

მართალია რესპუბლიკის მასშტაბით ცნობილია შემოსულ ტურისტთა რაოდენობა, დათვლილია მათ მიერ ქვეყანაში დატოვებული ვალუტაც (შარშან საქართველოს ბიუჯეტს ტურისტებმა ერთი მილიარდი ლარი შემატეს), მაგრამ არავინ იცის, რა თანხით შეავსეს ბორჯომის ბიუჯეტი ჩვენთან შემოსულმა ტურიტებმა.

## ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ღირსეული წარმოჩენისათვის



**რას ვახვედრებთ ტურისტებს ბორჯომსა თუ ბაკურიანში?**

რით შეგვიძლია გავაკვირვოთ, აღვაფრთოვანოთ, რათა მომავალში კიდევ მოუნდეს ჩვენთან ჩამოსვლა, ან შინ დაბრუნებულმა მოუწოდოს მეზობელსა და მეგობარს ბორჯომში იმოგზაუროს.

დღეს ბორჯომში ჩამოსული ტურისტი აღსაფრთოვანებელს და გასაკვირს ბევრს ვერაფერს ნახავს, არადა, ამ თვალსაზრისით, მრავალი სიახლის დანერგვაა შესაძლებელი.

ვეცდები რამდენიმე საკითხი კიდევ ერთხელ გავახმიანო ბორჯომის მუნიციპალიტეტის, კულტურის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის, გარემოს დაცვის სამინისტროს, საპარტნიორო ფონდის და სხვა ზემდგომი ორგანოების შესახსენებლად.

დავიწყებ იმით, რომ აგერ უკვე 25 წელია, ვითხოვთ გოგიას ციხის რესტავრაციისათვის კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მოამზადოს ძეგლის აღდგენის პროექტი, **ბორჯომელებს გვინდა, რომ ძეგლამდე მოეწყოს კეთილმოწყობილი მისასვლელი გზა, რესტავრაცია ჩაუტარდეს ციხეს, რომელიც, შესაძლოა, უყურადღებობით, სულ მალე დაინგრეს კიდეც. აქვე უნდა მოეწყოს ქალაქის ხედის დასათვალიერებლად მოედანი და სხვ.** სამწუხაროდ, პროექტი დღემდე არცაა შედგენილი. ბოლოს საქმეში ჩაერთო ჩვენი თანამემამულე, საქვეყნოდ ცნობილი არქეოლოგი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, ბატონი ვახტანგ ლიჩელი, რომელმაც ჩემთან ერთად ბევრი იწვალა, როგორმე მომზადებულიყო პროექტი, სამწუხაროდ, შედეგს ვერ მივაღწიეთ! **ბოლოს, შევიტყვეთ, რომ, თურმე, გოგიას ციხის რესტავრაციის პროექტი, ხუთი (?) წლის წინათ გაუკეთებიათ, მაგრამ ... ვერ იპოვეს, დეპარტამენტში ისე დაეკარგათ, რომ ახლა არქეოლოგიური ძებნა თვით ამ პროექტის პოვნას ესაჭიროება.**

**არაერთხელ მოვითხოვეთ, – დაჩქარდეს ისტორიული თორის, ნეძვის და კვირიკეწმინდის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა და იქ არსებული ძეგლების რესტავრაცია, პასუხები პათეტიკურია; – გეთანხმებით, ძეგლები შესასწავლია, მაგრამ ჯერ მათი დრო არ დამდგარაო!**

არაერთხელ დაისვა საკითხი 1921 წლის რომანოვების სასახლეებიდან მენშევიკების მიერ წაღებული სიმდიდრეების დაბრუნების თაობაზე. ამ სიმდიდრეებიდან, როგორც საყოფაცხოვრებო ნივთები, ბევრი რამ სტამბოლის ბაზარზე კიდეც გაიყიდა, გაყიდვას გადაურჩა უნიკალური წიგნები და ცნობილი მხატვრების 100-ზე მეტი ფერწერული ტილო.

დღეს ეს ფერწერული ტილოები თბილისში, ხელოვნების მუზეუმის საცავებშია.

წლების მანძილზე ვითხოვთ ამ უნიკალური ტილოების ბაზაზე ბორჯომში სამხატვრო გალერეის, ან სტაციონალური გამოფენის მოწყობას. ამ სამიოდე წლის წინათ თანხმობის წერილიც მივიღეთ ხელოვნების მუზეუმის დირექტორისაგან, რომელიც გვწერდა: **„მზად ვართ, გადმოგცეთ ფერწერული ტილოები, თუ გამოიძებნება შესაფერისი შენობა და გარანტირებული იქნება მისი საიმედო დაცვა“-ო.**

**განა ამ სიმდიდრისთვის ზედგამოჭრილი არაა ყოფილი საკურორტო დარბაზი, რომელსაც დამთვალიერებელი ნამდვილად არ მოაკლდება. სამწუხაროდ, ჩვენი ოცნება დღემდე აუსრულებელია.**

როგორც ცნობილია, ქალაქ გორში, სტალინის მუზეუმი ყველაზე შემოსავლიანია.. **თუ გვინდა მეორე ობიექტი იყოს არანაკლებშემოსავლიანი, გავხსნათ ლიკანში რომანოვების სასახლე, რომელიც დღეს სავალალო დღეშია.**

კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი ბორჯომში ხუთი მუზეუმის გახსნას აანონსებს, მაგრამ კონკრეტულად როდის გაიხსნება ეს მუზეუმები, არავინ იცის. სულ ახლახან, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის აივანი ჩამოინგრა და თანამშრომლები შემთხვევით გადაურჩნენ უბედურებას. არადა, **ასეთი ტემპით ტურიზმის განვითარება-ალმავლობაზე საუბარი შეუძლებელია.**

**დამეთანხმებით, ყველა ტურისტი დიდი ინტერესით დაათვალიერებს ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიან რკინიგზას, უნიკალურ ეიფელის ხიდს და თვალწარმტაც ბუნებას. ფაქტიურად, ხელისგულზე გვიდევს შემოსავლის წყარო, თუ ამ გზას ქართული დისნეილენდის მოსაწყობად გამოვიყენებთ. უმთავრესია, ეს უნიკალური რკინიგზა კულტურის ძეგლად გამოცხადდეს.**

დღეს ეროვნული კულტურის კატეგორიის ძეგლად გამოცხადებულია ქართული ღვინო, ქართული სუფრა, ყველი, ჩურჩხელა და კიდევ ბევრი სხვა რამ. **განა „ბორჯომის“ მინერალურ წყალს ნაკლები წვლილი მიუძღვის საქართველოს სახელის შორს გატანაში? „ბორჯომი“ ხომ დამსახურებულად ითვლება საქართველოს სავიზიტო ბარათად.** თბილისის ცენტრში ერთ-ერთ შენობაზე ათმეტრიანი რეკლამა ვნახე – დიდი ასოებით ეწერა: **– „საქართველო „ბორჯომის“ სამშობლოა“!** მართლაც ასეა „ბორჯომის“ მინწყალი და ქალაქი ბორჯომი საქართველოს სიამაყეა!

**დღეს „ბორჯომი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაში გააქვთ და საკმაოდ პოპულარულია. ბორჯომელთა დიდი სირცხვილია, რომ ჩვენს „უკვდავების წყალს“ დღემდე შესაფერისი, სიმბოლური ძეგლიც კი ვერ დავუდგით!**

ტურისტს ყველაფერი აინტერესებს – ქვეყნის წარსულიც და თანამედროვეობაც, სკულპტურული ძეგლებიც და ქართველი ერის ტრადიციებიც.

სკულპტურული ძეგლები ქალაქების ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სამწუხაროდ, ბორჯომი ამ მხრივ მეტად ღარიბულად გამოიყურება. **ქალაქში ორადორი სკულპტურული ძეგლია და ორივე სახელოვანი კომპოზიტორისაა (ჩაიკოვსკის და ფალიაშვილის), არადა, ჩემი აზრით ბორჯომს დაამშვენებდა შოთა რუსთაველის, აკაკის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა ძეგლები.**

სახელოვანი წარსულის დავიწყება დანაშაულია, მიმაჩნია, – **ბორჯომის ხეობის გმირთა-გმირი ძმების – შალვა და ივანე თორელების** (ახალციხელების) **ძეგლი ნამდვილად უნდა ამშვენებდეს ჩვენს ქალაქს.**

ბორჯომში მრავალი სახელოვანი ადამიანი ისვენებდა, არც მათი გვარ-სახელების ჩამოთვლა და თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა იქნებოდა ურიგო.

**ბორჯომში 100-ზე მეტი ისტორიული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობაა, რომელსაც რესტავრაცია ესაჭიროება. მათი განახლება მეტ სილამაზეს და ესთეტიურობას შესძენს ქალაქს.**

**მიზანშეწონილად მიმაჩნია რესპუბლიკის ხელისუფლებამ მიიღოს კონკრეტული დადგენილება ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო-ტურისტული ზონის განვითარების შესახებ.**

ახლა, როცა მზადდება ბაკურიანის განვითარების გენერალური გეგმა,

– ყველა ასაშენებელი ობიექტი გამოტანილ უნდა იქნას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, თითოეული ობიექტი უნდა პასუხობდეს საერთაშორისო მოთხოვნებს, მისი დიზაინი შეესაბამებოდეს უმაღლეს სტანდარტებს, იკვეთებოდეს ეროვნული არქიტექტურის სტილი და ა.შ.;

– უნდა დაჩქარდეს ბორჯომის განვითარების გენ-გეგმის შედგენა-დამტკიცება;

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ტურისტთა დასათვალიერებელ ნუსხაში შეტანილ იქნას „ბორჯომის“ №1 და №2 ჩამომსხმელი ქარხნები;

– ბორჯომში შეიქმნას ტურისტული კლუბი, რომელიც მოემსახურება რაიონში ტურიზმით დაინტერესებულ ადამიანებს, ასწავლის მოზარდებს ბუნებაში ქცევის წესებს, იზრუნებს ახალი ტურისტული მარშრუტების შესწავლისათვის.

ჩემი ღრმა რწმენით ტურიზმის განვითარების უნიკალური შესაძლებლობები დროულად უნდა ამოქმედდეს, რაც ჩვენი სამშობლოს წინსვლას ნამდვილად შეუწყობს ხელს.

**ვალერიან ლომიძე,**
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი,
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი,
ბორჯომის საპატიო მოქალაქე.

# კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი და მისი გვარის ისტორია



◄ დასაწყისი გვ. 6,7

ამ უკანასკნელს სასწავლებელშიაც სწავლობდა და შემდგომ ამისა, რუსეთის მთავარ-მართებლისაგან გახსნილს სასწავლებელში იქმნა გადაყვანილი. აქ დარჩა რამდენიმე ხანს, შეისწავლა უფრო უკეთ ქართული ენა, საქართველოს ისტორია, რუსული ენა, სხვა-და-სხვა საგნები, ლათინურიც სცოდნია და სომხური და თათრულიც. მამის სიკვდილის დროს იაკობი უკვე ცხოვრების ასპარეზზედ ყოფილა გამოსული, იგი ენერგიით აღვსილი ყოფილა. 1836 წელს იგი უკვე 12 კლასის მოხელედ მოიხსენიება, შემდეგ ეს პირი მოხელეობის ხარისხითაც წინ მიდის. ნელ-ნელა იაკობ ზუბალოვი მაღლის ცნობიერებით იმოსება, სხვა-და-სხვა სამრეწველო საქმით იძენს ქონებას და 1837 წ. ადგენს თბილისში ერთს ახალ სავაჭრო ამხანაგობას, რომელიც თითქმის პირველ სამაგალითო ამხანაგობად ჩაითვლება საქართველოში.

სავაჭრო ამხანაგობამ იაკობის მეთაურობით მთავრობას ნებართვა სთხოვა საქართველოში პირველად შაქრის ქარხნის გახსნაზე. მთავრობამ ეს თხოვნა სანაქებოდ მიიღო, რადგანაც 1830 წლებში რუსეთიდგან გზა ძნელი იყო, საქართველოში შაქარი ძვირად და ძნელად მოდიოდა, რაც იყო, ისიც საქართველოს ერის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა და ერთობ ძვირიც იყო, ასე რომ გირვანქა 30-40 კაპ. იყიდებოდა. ხალხში ჩაისა და ყავის სმა წინ მიდიოდა და შაქრის სიძვირე და ხშირი უშაქრობა-კი ძალიან აწუხებდა ხალხს, სპარსეთიდგან, ინდოეთითგან და ოსმალეთითგანაც შეაჩერეს შაქრის შემოტანა. 1838 წ. ამათ უკვე შაქრის ქარხანა გახსნეს თბილისში. შაქრის გამოყვანაც დაიწყეს და წელიწადში 40 ათასი ფუთი შაქარი გამოჰყვანდათ*. შაქრის ქარხანა პირველად ვერაზედ გახსნეს, მერე ვერაზედ დაკეტეს და კუკიაზე გადმოიტანეს. კუკიის შაქრის ქარხნის სახლი დღესაც არის, კერძო პირს ეკუთვნის, ვერის შენობებში-კი შაქრის ქარხნის დაკეტვის შემდეგ საერო საავადმყოფო გახსნეს, დღეს ამ შენობის ალაგზე სამხედრო სასამართლოს შენობა არის აშენებული.

შაქარი იყო პატარა ზომისა, მოყვითალო ფერი ჰქონდა, ცოტა დუნე კი იყო, მაგრამ ტკბილი, ადვილად იმტვრეოდა, სახელად ამ შაქარს „ქართული შაქარი“ ეწოდა, ნიშნად იმ ქართულის შაქრისა, რომელსაც საქართველოში ჩვენის მეფეების დროსაც აკეთებდნენ. სადაც-კი მიხვიდოდით და იკითხავდით, ყველგან ეს შაქარი „ქართულ შაქრათ“ იწოდებოდა, იგი გირვანქა 15 კაპ. იყიდებოდა და ხალხსაც ძრიელ მოსწონდა, ტკბილი იყო, იაფი და მასთან პატარა თავებად იყიდებოდა. საუბედუროთ ამ შაქრის ქარხანას მომავალში არსებობის საქმე ვერ წაუვიდა კარგათ: გზა გაიხსნა, დრონი იცვალნენ, რუსეთიდგან ჩაი-შაქრის მრავლად იწყეს შემოტანა, უცხოეთიდგან მოსულნი უფრო რუსულ შაქარს ხმარობდნენ, საქართველოს ერიც რუსულ შაქარს შეეწყო, რადგანაც ეს უფრო მაგარი იყო და მაგარი შაქარი უფრო –ცოტა ეხარჯებოდათ, ამიტომ უკანასკნელი „ქართული შაქრის“ ქარხანა დაიხურა. დახურვის შემდეგ სიტყვა „ქართული შაქარი“ ინგლისურს შაქარს შეენაცვლა, რადგანაც ინგლისური შაქარი ძრიელ წააგავს „ქართულ შაქარს“. თვით ეს სახელი „ქართული შაქარი“ საქართველოს ვაჭრებში და ხალხში (თბილისში) 1880 წლამდე იხმარებოდა, დღეს კი ამის ხსენება აღარსად არის დაშთენილი, ვგონებ დღევანდელ ქართველთ სიზმრათაც არ გაახსენდებათ „ქართული შაქრის“ ხსენება.

„ქართული შაქრის“ ქარხნის ამხანაგობის და ი. ზუბალოვის მოქმედება ნელ-ნელა უფრო წინ მიდიოდა, ამათ მთავრობისგან აიღეს სხვა-და-სხვა სავაჭროების წარმოების უფლება, რაის სამაგიეროთაც მთავრობას საიჯარადროდ 120, 115 მან. აძლევდნენ. ასეთი ფულის ძლევა იმ დროის კვალობაზედ ჩვენ ერთობ დიდს საქმედ მიგვაჩნია, დღეს ეს მილიონს უნდა უდრიდეს. ამ საიჯარადრო საქმეთა მრეწველობის ასპარეზზედ ი. ზუბალოვმა საკმარისი მხნეობა გამოიჩინა, აღებმიცემა და მრეწველობა კარგათ წაიყვანა. ამ ამხანაგობის გარეშე, თვითაც იღებდა კერძო „ფოდრატებს“ და ამ „ფოდრატების“ საქმესაც კარგათ ასრულებდა. ამას გარდა კერძოთ ვაჭრობაც ჰქონდა აქა-იქ გამართული და დიდძალს პურს, სიმინდს და ქერს ჰყიდულობდა, რაც ერთობ კარგათ ჰქონდა მოწყობილ-მოხერხებული და მით დიდძალ პურს და ქერსაც ჰყიდდა, ამითაც კაი მხარს აძლევდა ქართლის გლეხ-კაცობას და დიდს დახმარებას უჩენდა, რადგან მათ პურს, სიმინდს და ქერს კაი ფასად ყიდულობდა, რაც სხვა ვაჭრებს ძრიელ ეჯავრებოდათ და ამიტომ ზუბალაშვილებსაც სასტიკათ მტრობდნენ. ეს მტრები გორის ვაჭრები იყვნენ, უკანასკნელ ამაზედ საჩივარიც ატყდა, მათ ბრალს სდებდნენ ქართლში გლეხებისაგან პურს ძრიელ იაფად სყიდვაზე. გორის წვრილმან სომეხ ვაჭრებმა ზუბალაშვილებს ცილის დასწამეს არ აკმარეს, თავიანთ საქმეშიაც ჩარიეს, გლეხებშიაც ხომ გაავრცელეს, რომ „ზუბალაანთ ჩანახი“ ყველაზე დიდი ჩანახიაო, მაგრამ უკანასკნელ ვერაფრით რა გააწყეს და სიმართლე იქნა აღდგენილი, ცილისმწამებელნი ცნობილ იქმნენ, ზუბალაშვილებს ვერავინ რა უყო. გორელი ვაჭრების ხრიკები მარტოდ მათთვის დარჩა, სხვას ვერა ავნორა. ეს რომ მართალია და „ზუბალაანთ ჩანახი“ უბრალოდ არის მოგონილი გორის ჩარჩებისგან ეს იქიდამაც კარგად მტკიცდება, რომ ამ ცილის-წამების შემდეგ არ გავიდა დიდი ხანი, რომ საქართველოში პურის მოსავალმა დიდად იკლო, გლეხკაცობა გაჭირვებაში ვარდებოდა და ამ გაჭირვებაში ზუბალაშვილებს არ დაუვიწყნიათ ქართლის ღარიბნი და დახმარება უძლევიათ იქ, სადაც ეს საჭიროთ დაუნახავთ. 1856 წ. თბილისში, დიდის სიძვირისა გამო, ი.ზუბალაშვილმა 500 მან. შესწირა თბილისის ღარიბთა სასარგებლოდ.**

იაკობ ზუბალაშვილი გარდაიცვალა 1864 წ. შობიდან 72 წლისა, ეს დასაფლავებულია თბილისის კათოლიკების სასაფლაოზედ. საფლავის ქვას ქართული წარწერა აქვს.

ერთი საყურადღებო მხარე კიდევ საზოგადოდ ზუბალაანთ გვარისა და კერძოთ, დღევანდელის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის მამა-პაპისა, ჩვენ, ქართველები, ძველიდგან მარტოდ ღვინის ხმარებას ვიყავით შეჩვეულნი, რასაც ვეწყობოდით და საკვეხათაც ვხმარობდით, მარტოდ მისი მოყვანა და შემუშავება ვიცოდით, მისი განვითარება, მაგრამ ქართლ-კახეთის ერი ღვინოსთან არაყსაც კარგათ ეწყობოდა, აქ ჭაჭის არაყი დიდს ხმარებაში იყო, მთის ხალხშიც ხომ არაყი იყო გავრცელებული და ლუდი (პივა). ქორწილი, ლხინი, ალაპი და ყველა ნადიმი ქართლსა და კახეთში ღვინო და არაყით იცოდნენ. აქეთ ჭაჭა უქმათ არ რჩებოდა, მაშინდელი ჭაჭის არაყი დღევანდელს საუკეთესო კონიაკს უდრიდა. მაშინ ჭაჭის არაყი ძლიერ იაფიც იყო, მთის ხალხში არაყს უფრო პურის, ქერის, სიმინდის, ფეტვის და ხილისაგან ხდიდნენ. იმერეთშიცკი ეს არ იცოდნენ, იმერეთში არაყი ძლიერ მცირედ იხმარებოდა და დიდი ძალი ჭაჭა უბრალოდ იკარგებოდა, მისგან არავინ რას სარგებლობდა. ამ გარემოებას ი.ზუბალაშვილმა საკმარისი ყურადღება მიაქცია, შეადგინა პატარა ამხანაგობა და მთავრობას თხოვნა მისცა იმერეთში არყის ქარხნის გახსნის შესახებ. ასეთ ქარხნის გახსნას მთავრობაც საჭიროებდა და თვით ხალხიც, რადგანაც დროსა და გარემოებას თავისი ნარუქები მოჰქონდა.

იაკობ ზუბალაშვილმა მალე მიიღო ნებართვა. ამ საამხანაგო საქმეში უახლოეს ამხანაგათ გიორგი ზუბალაშვილიც ირიცხებოდა. ამათ ქუთაისის ახლოს გახსნეს არყის ქარხანა და არყის გამოსახდელად გლეხთაგან ჭაჭის შესყიდვაც დაიწყეს. აქამდე თუ გლეხნი ჭაჭას უბრალოდ აპნევდნენ, 1835 წლიდგან, მათ მიეცათ საშუალება, რომ იგი უბრალოდ აღარ ეპნიათ და ფულზედ გაეყიდათ. იმერეთში პირველი მაგალითი იყო, რომ გლეხთა შორის ხმა გაისმა, ი. ზუბალოვი ჭაჭას ყიდულობსო. ჭაჭას იმდენს ყიდულობდნენ, რომ წელიწადში 7200 ვედრა ჭაჭის არაყი გამოჰყვანდათ. ეს რიცხვი იმ დროის კვალათ დიდ რიცხვათ მიგვაჩნია. გარდა ამისა, მან იმერეთის ერსაც ასწავლა არყის კეთების ოსტატობა: სადაც სულ არ იცოდნენ, იქ საკმარისად შეისწავლეს და სადაც იცოდნენ ძველითგანვე მცირედ გამოხდა, იქ უფრო გააუმჯობესეს. საზოგადოთ იმერეთში არყის გამოხდის ხელოვნებამ შესაფერისი სახე მიიღო და მის გასაღებას და აღებ-მიცემასაც ერთი ათად მიემატა ვაჭრობა. მალე იმერთა შორის არყის ვაჭრებიც გაჩნდნენ, უკანასკნელ, რადგანაც არყის გამოხდა და ვაჭრობა საერთოდ გარდაიქცა, ზუბალაშვილებმა თავიანთი ქარხანა დაკეტეს.

ძველთაგან, საქართველოში, წურბლის ჭერას სავაჭრო სახე ჰქონდა მიცემული; ის ტბები, სადაც წურბელა იცოდა, სამეფოსაგან იჯარით იცემოდა, რადგანაც მაშინ წურბელა საქართველოს გარეშე სპარსეთსა და ოსმალეთშიაც დიდი ძალი გაჰქონდათ, იმდენი, რომ მისი საკმარისი ვაჭრობაც იყო გამართული; ვაჭრობდნენ ზოგს ალაგას ქართველი დალაქები და ზოგს ალაგას, კერძოთ, ამისათვის დანიშნული ვაჭრები, რომელთაც ხელოსნები ჰყვანდათ და აქა-იქ ტბებში წურბელას იჭერდნენ. წურბლის იჯარა რუსეთისგანაც იქმნა მიღებული და ერთ დროს წურბლის იჯარა ზუბალაანთ გვარის ერთმა წევრმა (ნ.ს.) 2000 მანეთად აიღო, რაც მაშინ ეს შეუძლებელი იყო სხვათაგან. ამ პირმა წურბლის წარმოების საქმე ფეხზედ დააყენა, მის წარმოებას სპარსეთსა და ოსმალეთს უფრო წარმატების გზა გაუკვლია***. უნდა ვსთქვათ, რომ ყოველთვის და ყველგან, ასეთს საქმეებში, ქართველთ დიდს ხელმძღვანელობას უწევდა ივანე ზუბალოვი, პაპის მამა დღევანდელის სტეფანე ზუბალოვისა და აგრეთვე იაკობ ზუბალოვი. ვინც რა სთქვას და ჩვენს საუბარს სხვა სახით შეხედოს, მე მაინც ამ პირებს შესაფერის პატივით ვუმზერ და ჩემის პატივისცემის საფუძვლათ ვხმარობ მარტოდ იმ საყურადღებო საქმეთა მაგალითებს, რომ საქართველოში შაქრის ქარხანა ზუბალაშვილის მეთაურობით გაიხსნა, შაქარსაც სახელათ „ქართული შაქარი“ ეწოდა. ეს, ბატონებო, ჩვენს გათახსირებულს ცხოვრებაში მეტად დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს. მოკლედ რომ მოგახსენოთ, 1800 წლის შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს დაუკავშირდა, მას შემდეგ ქალაქ თბილისს, ქუთაისს, გორს, ახალციხეს და სხვა ქალაქებშიაც ისე რამე სამრეწველო საქმე არა დამწყობილა-რა, ისე რამე საქმის ქარხანა არ გახსნილა, რომ იქ ზუბალაშვილებს რამე მონაწილეობა არა ჰქონოდათ მიღებული. ჩვენ აქ ყველა წვრილმან საქმეთა მოხსენებით მკითხველს თავს არ მოვაბეზრებთ, თუმცა ისიც-კი უნდა ითქვას, რომ ყოველს მათს წვრილმან საქმეთა და მოქმედებათა ცნობებსაც ერთობ კარგი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ერის ეკონომიურად, ხელოსნურად და ვაჭრობითი აღორძინების ასპარეზზედ. იმ ღირსებას ზუბალაშვილებს ვერავინ წაართმევს და სადაც ერთი და ორი ძველ მოქალაქეთა გვარი და სახელები აიწერება და დაიხატებიან, იქ ზუბალაშვილების გვარის წევრთა მოღვაწეობის ისტორიაც საკმარის ადგილს დაიკავებს. ამას განმარტება არ უნდა.

ამ გვარს რომ ძველთაგანვე რუსეთის მთავრობა იმ პატივისცემით უმზერდა, როგორც ამათ საქართველოს მეფეების დროს უმზერდნენ და როგორის ღირსებითაც თვით იაკობ ზუბალოვი სამეგრელოს მთავარმა რუსეთის მთავრობის წინაშეც წარადგინა, ეს პატივისცემა კარგად სჩანს იმ გარემოებიდამაც, რომ 1855 წელს ერთს ზუბალაშვილს (იოსებს) სხვა-და-სხვა შემთხვევებით დიდი ზარალი მოუვიდა. ამ ზარალის მიზეზი კი 1855-57 წ. ომსაც ეხებოდა, ამიტომ მთავრობამ ზუბალაშვილს ნდობის თვალით შეხედა და მას თვრამეტი ათასი თუმანი აპატია (180.000 მ). ვგონებთ, ამოდენა ფულის პატიება მთავრობისაგან დიდს განძად უნდა ჩაითვალოს რომელიმე ისტორიულის გვარისთვისაც-კი. განა ჩვენ ქართველთ ცხოვრებაში ასეთი მაგალითები აღსანიშნავი არ არის? განა თვით ეს ცნობები არ აჩენენ შესამჩნევ ღირსებას? ზოგიერთები ბძანებენ, რომ ქართველთ შორის სამრეწველო მოძრაობა ისე იყო დაქვეითებული, რომ ქართველთ არც მთავრობა უმზერდა ღირსეულის თვალითო, ქართველებში იგი მარტოდ სოფლის მხვნელ-მთესველს გლეხ-კაცობას ხედავდა, ქალაქში მუშებს, ხელოსნებს და თავად-აზნაურებსო, სხვა არაფერსო. ეს არ გახლავთ მართალი. მთავრობა რომ ქართველთ პატივით უმზერდა, ეს კარგად სჩანს იმ გარემოებიდამაც, რომ მან ბევრი რამ „საფოდრატო“ საქმეები ზუბალაშვილებს მიანდო, ნდობა იმ ზომამდის ავიდა, რომ ივანემ და მისმა სახლიკაცებმა 1810 წლებში, თბილისში ფქვილის და ხორბლის მაღაზიაც გახსნეს. ამას გარდა, ჩვენ ისე რამე სამრეწველო საქმის დაწყობას ვერ ვნახავთ, რომ იქ რომელიმე ზუბალაშვილს მონაწილეობა არ ჰქონდეს მიღებული. მართალია ბევრში ესენი არ იყვნენ უდიდესი პატრონები და მათ თავიანთ ამხანაგებზედ მეტი არა ეკავათ რა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ შაქრის ქარხნის გახსნა, არყის, სხვა-და-სხვა სახის საქონლის შეტანის თუ გატანის და სავაჭრო ამხანაგობის შედგენის მეთაურობა ამათ ეკუთვნისთ, ამათ საკუთრებას შეადგენს.

საუბედუროთ, ჩვენ მარტოდ ჩვენს საკუთარს წარსულზედ ვსჩივით, რომ ჩვენი ძველები ქართველთ მეფეთა, მთავართა და დიდებულთა გარეშე სხვა არაფერს სწერდნენო. უნდა მოგახსენოთ, რომ ესევე ითქმის ჩვენის უახლოეს დროის თანამედროვე ქართველებზედ. საუბედუროთ არც ესენი იპყრობდნენ ყურადღებას შინაგან ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეებს და მის ავკარგიანობის დაკვირვებას. აბა ქართველებში ვინ რას მოიფიქრებდა მრეწველობის, ხელოსნობის და ამის ასპარეზზედ ენერგიულად მომქმედთ პირთა შესახებ რამის დაწერას!... ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ ქართველთ ბევრი რამ ღირსეული ცნობები არ დაგვეკარგებოდა.

### *ქუთაისს დარჩენილი ამბები*

ქუთაისის ქართველთ კათოლიკეებს ძველთაგანვე ხის ეკკლესია აქვნდათ. ქვის ეკკლესიის კეთებას ვერ ახერხებდნენ, რადგანაც იმერეთი ოსმალთაგან დიდს დევნაში იყო. კათოლიკეთ ეკკლესიის საქმე ისეთ მდგომარეობაში იყო მოთავსებული თათრებისაგან, რომ საეკკლესიო ნივთები მღვდელს ღამე ეკკლესიიდგან შინ მიჰქონდა და ინახავდა. ეს შიშიანობა სოლომონ მეფის დროს მთლიანად მოისპო, ოსმალნი დააწყნარა, დააოკა, პირობა ჩამოართვა, რომ მათ იმერეთზედ ჩუმათ თავდასხმა აღარ შეეძლოთ. ვაჭრობაც აყვავდა, ხალხი ფეხზედ დადგა, ყველაფერს სიცოცხლის ნიშნები დაეტყო. ამ დროს მეფე სოლომონის კარზედ დიდათ დაახლოებული იყო ივანე ზუბალაშვილი და მისი ძმები. მეფე მათ დიდს პატივს სცემდა და ესენიც მორჩილებით ემსახურებოდნენ მეფეს. სასახლისთვის სავაჭრო საქონელი სულ ამათ შემოჰქონდათ. 1789 წ. ქუთაისში დაიწყეს ქვითკირის ეკლესიის აგება და იგი მალეც დაამთავრეს. ამ ეკკლესიას 1793 წელს ივანე ზუბალოვმა და მისმა ძმებმა სხვა-და-სხვა ნივთები შემოსწირეს. შესაწირავი კაი ფასის ყოფილა.

ეს ეკკლესია 1800 წლების შემდეგ მრევლისგან ძრიელ მცირეთ აღმოჩნდა, რადგანაც ახალციხიდგან დიდი ძალი კათოლიკობა გადმოდიოდა ქუთაისს სავაჭროდ და ბევრნი უკან აღარც კი ბრუნდებოდნენ; ვითარცა ქართველნი, ესენი სოლომონ მეფის ხელში დუხჭირობით ცხოვრებას რჩეობდნენ, ვიდრე ახალციხეს და სხვა ოსმალოს ქალაქებში კეთილ დღეობას და ცხოვრებას. ასე, რომ 1810 წლამდე, ქუთაისი ახალციხელი კათოლიკეებით მთლად გაივსო, რადგან ეკკლესია უხერხული ჰქონდათ, ერმა გადასწყვიტა ახალის ეკკლესიის აგება. ამ საქმეს ყველამ დიდის პატივით შეხედა და აქაც ზუბალაშვილებმა მონაწილეობა მიიღეს და ეკკლესიის ასაშენებლად საკმარისი ფული შემოიტანეს. ამათი დახმარება ადრე ქუთაისის მოხუცებულთ შორის მრავლათ იცოდნენ.

ეკკლესიის ცნობიდგან სჩანს, რომ ზუბალაშვილებს ქუთაისის ეკკლესიისთვის არც აშენების შემდეგ აურიდებიათ თვალი და შეძლების-და გვარათ ყოველთვის კეთილის თვალით უმზერიათ და დახმარებაც უძლევიათ.

***ზაქარია ჭიჭინაძე,***

*ჟურნალი „მოგზაური“, 1903 წ. N3*

# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის 80 წლის საიუბილეოდ

## ციური ლაფაჩი

ვაგრძელებთ მოგზაურობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ფონდებში და შეგახსენებთ, რომ ქ-ნ ნანა ჯინჭველაძის ქართულ საშუალო სკოლაში გადაყვანასთან დაკავშირებით, 1945 წლის 10 ივლისიდან ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად ინიშნება **სოფიო გრიგოლის ასული სადათიერაშვილი-ორჯონიკიძისა.**

სოფიო ორჯონიკიძე თავის წინამორბედებთან ერთად ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული დირექტორი გახლდათ. მისი ბიოგრაფია ძალიან ჰგავს მუზეუმის ყოფილი დირექტორების ბიოგრაფიებს...

სოფიო გრიგოლის ასული სადათიერაშვილი-ორჯონიკიძისა დაიბადა ქ. ახალციხეში 1918 წელს. მან წარჩინებით დაამთავრა რა ახალციხის ქართული საშუალო სკოლა, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ბრუნდება მშობლიურ ახალციხეში და მუშაობას იწყებს ახალციხის №1 საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

სოფიო ორჯონიკიძის პირად საქმეში შემონახულია ახალციხის ქართული საშუალო სკოლის დირექტორის, ქ-ნ **ნ. ხომერიკის** დახასიათება, სადაც იგი წერს: **,,სოფიო სადათიერაშვილი 1940 წლიდან მუშაობს ახალციხის №1 საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იგი, იმთავითვე არჩეული იქნა სკოლაში არსებულ მასწავლებელთა ალკკ I-დი ორგანიზაციის პირველ მდივნად. უწევს ყოველგვარ დახმარებას მოსწავლეთა კომკავშირულ ორგანიზაციას. არის სკოლის კედლის გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი. საქმისადმი იჩენს სიყვარულს და ხალისიან მუშაობას.**

**1941 წლიდან არის №6 აგიტპუნქტის აგიტატორი, დაკისრებული მოვალეობის მიმართ გრძნობს მაღალ პასუხისმგებლობას.**

**სამამულო ომის დღეებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კომკავშირელ მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის საჩუქრებისა და თბილი ტანსაცმლის შეგროვებაში ფრონტზე გასაგზავნად. არის საკავშირო კ.პ.(ბ) კანდიდატი 1945 წლიდან.“**

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალბატონი სოფიო 1941-1942 წლებში პარალელურად მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1945 წლის 10 ივლისიდან კი დაინიშნა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად და თავის წინამორბედ დირექტორთა შორის ერთ-ერთი წარმატებული და დამსახურებული გახლდათ. იგი 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, სადაც მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი და ღირსეულად აგრძელებდა წინამორბედ კოლეგათა მიერ დაწყებულ საქმიანობას. მიმოწერას აწარმოებდა როგორც ზემდგომ, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა ინსტანციებში და კოლეგებთან. ქალბატონი სოფიო, მთელი მონდომებით იღვწოდა მუზეუმში დაცული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების აღდგენის მიზნით. ამ თვალსაზრით დახმარებისათვის არაერთხელ, ოფიციალურად მიუმართავს ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორისათვის – ქალბატონ ელენე მეტრეველისათვის.

მუზეუმის დირექტორს დიდი სურვილი ჰქონდა, ახალციხის ციხის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლისა, რის გამოც გამუდმებით აგზავნიდა კულტურის სამინისტროში მოთხოვნებს... ბოლოს კულტურის მინისტრის მოადგილე **ვ. თაყაიშვილი** პასუხობს: ,,ახალციხის ციხის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლისათვის საჭირო თანხები რაიონის ხელმძღვანელობამ უნდა გამოყოსო (ვინც ამ საკითხში გარკვეულია, დამეთანხმება, რომ მინისტრის მოადგილის პასუხი მწარე ღიმილის მომგვრელია და ეს, რეალობასთან თანხვედრაში არ მოდის. (ც.ლ.) აღსანიშნავია, რომ ეს და სხვა უამრავი პრინციპული საკითხია დასმული სოფიო ორჯონიკიძის მიერ, რომელთა ერთი ნაწილი დღესაც ,,ძალაში“ რჩება და იმედს ვიტოვებთ, რომ ზოგიერთი მათგანი ახლო მომავალში მაინც დასრულდება.

ზემოაღნიშნულის შემდეგ, კვლავ დავუბრუნდეთ მუზეუმის საფონდო მასალებს, სადაც ვკითხულობთ: ,,ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ყველაზე ხანგრძლივად, თითქმის 30 წელიწადზე მეტი, ედგა სათავეში სოფიო ორჯონიკიძე. მისი ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ბევრი კარგი ღონისძიება განხორციელდა. 1972 წელს მუზეუმი კიროვის ქუჩიდან გადავიდა მესაზღვრეთა ნაწილების მიერ გამოთავისუფლებულ ახალციხის ციხის ტერიტორიაზე. აქ, მას საშუალება მიეცა, ეზრუნა, არა მარტო ექსპონატების შეგროვებაზე და დაუნჯებაზე, არამედ, ფართოდ გაეშალა საექსპოზიციო საქმიანობაც. ამასთანავე, მუზეუმმა მიიღო გაზრდილი საშტატო ერთეულიც. გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, გაფართოვდა მუზეუმის მასშტაბები, საგრძნობლად გაიზარდა დაფინანსებაც – შემდგომი სამეცნიერო კვლევისა და ექსპოზიციისათვის“ განადგურებას



სოფიო ორჯონიკიძე

გადაურჩა მესხეთის დიდი მოღვაწეების – ივანე გვარამაძის (ვინმე მესხის) და პავლე შაჰყულიანის ცხედრები, რომლებიც რაბათის ეკლესიიდან გადასვენებული იქნენ იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ეზოში.

ასევე, მან სპეციალური განყოფილება შექმნა მუზეუმში სოფ. ვალის კოლმეურნეობაზე, სადაც ინახება პირველი კოლმეურნეების სია, განცხადებები და პირველი გარდამავალი დროშა.

აღსანიშნავია აგრეთვე მუზეუმში მოწყობილი გამოფენები, რომელიც მიეძღვნა მეორე მსოფლიო ომის თემას და შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს. ამ პერიოდში მრავალი საგულისხმო საექსპედიციო-სამეცნიერო გასვლები მოეწყო სამცხე-ჯავახეთის სოფლებში, როგორც გეოგრაფიისა და ისტორიის ინსტიტუტებთან, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად. დასახელებული ექსპედიციის ხელმძღვანელები იყვნენ რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები: **ალ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. ბერიძე, ლ. მუსხელიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. მაკალათია, ი. მაისურაძე, ტ. ჩუბინიშვილი** და სხვები.

**ს. ორჯონიკიძე** ღირსეულად აგრძელებდა წინამორბედი კოლეგების მიერ დაწყებულ საქმიანობას და ენერგიულად აწარმოებდა მიმოწერას როგორც რესპუბლიკის გამოჩენილ მკვლევარებთან, ისე სხვადასხვა რაიონის მუზეუმების ხელმძღვანელებთან, რის სამაგალითოდაც წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

*„ქალბატონო სონია! 13, X, 59წ.*

*მოგესალმებით და გისურვებთ კარგად ყოფნას... მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილი, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ. რაც შეეხება ჩვენს გაცნობას, დიდად მოხარული ვიქნები, პირადად ვიცნობდე ადამიანს, რომელიც ასე ერთგულად ემსახურება ჩვენს საყვარელ კუთხეს. პირველსავე შესაძლებლობისთანავე გესტუმრებით და თქვენ თუ მოგიწევთ აქ ჩამობრძანება, აუცილებლად უნდა გვნახოთ.*

*მეც და გივი გურგენიძეც კვლავ ვახსენებთ ამხანაგებს, რომლებსაც არ გამოუგზავნიათ თქვენთვის საჭირო მასალები, რომ გამოგზავნონ, რაც შეიძლება მალე.*

*თქვენს წერილებს, კვლავაც სიამოვნებით და მოწიწებით ვუპასუხებ, მზად ვიქნები გემსახუროთ ჩვენი მხარის წინსვლისა და მუზეუმის საკეთილდღეოდ.*

*პატივისცემით ვალიკო ადვაძე“*. 13. X. 59წ.“

ქალბატონო სონია!

მშობლიური კუთხის ერთგულო მოამაგევ, მისი გადარჩენისთვის დაუცხრომელო მებრძოლო, ახალციხესთან ტერიტორიულად (მხოლოდ ტერიტორიულად) შორს მყოფი ახალციხელებისათვის პატივცემულ ადამიანს, ჩვენი ოჯახის საყვარელო ქალბატონო, მიიღეთ გულჩვილი სალამი და კარგად ყოფნა ჩემგან და თინასგან.

ეს წერილი პირველ რიგში გაზეთ ,,წითელი დროშის“ ფურცლებზე თქვენი წერილების სერიამ დამაწერინა, მისი მკითხველთა მადლობის პასუხად. დაე, ძალიან ხშირად, ახალ-ახალი მგზნებარებით და სიყვარულით კვლავ და კვლავ წაგვეკითხოს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის, კულტურის დამსახურებული მუშაკის, ჩვენი სონიას წერილები მრავალჟამიერ...

*„ქალბატონო სონია! ისევ ძველ ბინაში ბრძანდებით თუ უკვე ,,ციხისუბნელები“ გახდით?..*

*ქალბატონო სონია! ერთი თხოვნა მაქვს. უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს სსრ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ლევან პეტრეს ძე გოკიელს, ცნობილ მათემატიკოსს, შემოდგომაზე დიდ იუბილეს უხდიან. მის უმცროს ძმასთან (არჩილთან) საუბრისას (ისიც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესიით ოღონდ ეკონომისტი) დამიდასტურეს, რომ ჩვენ, ყველა ახალციხელები (რაბათიდან) ვართო.*

*მე, ამ რამდენიმე წლის წინათ ახალციხეში რომ ვიყავი, მათი გვარეულობის შესახებ მუზეუმში მახსოვს თქვენ რამდენიმე წერილობითი საბუთი მაჩვენეთ, თუ არ ვცდები, იგი ეხებოდა საეკლესიო დუქნებს.. რა კარგი იქნება, თუ კი ეს შესაძლებელია, ზოგი რამ გვაცნობო ახალციხელი გოკიელების შესახებ, ამით ამ კუთხისგან მოწყვეტილ ხალხს უკეთ დავიახლოვებთ და მათი ჩვენებური წარმომავლობა დიდ იუბილეს დროსაც ხაზგასმული იქნება ცნობად......იმედი მაქვს ჩვენს თხოვნას გარკვეული რეაგირება მოყვება.. ძალიან გულდაწყვეტილი დავრჩი, რადგან გიორგი ჯინჭვალაძის იუბილეზე წამოსვლა არ მომიხერხდა, მაგრამ მის კარგ დამსახურებისათვის აქ მომუშავე მეცნიერ-მუშაკების სახელით ვარდ-ყვავილებიანი ვრცელი დეპეშა გამოვაგზავნე. ალბათ წაიკითხავდით. მოკითხვა ბატონ ზურაბს: პატივისცემით, გივი გურგენიძე 29/V.71“.*

თბილისი. 1952.3.XI

*„დიდად პატივცემულო ქ-ნო სონია,*

*თქვენი წერილი გადმომცა სარა ბარნაველმა, თქვენი თანამშრომელი კი არ მინახავს, რადგანაც შვებულებაში ვარ და ინსტიტუტში არ დავდივარ. აქამდის ველოდე, მეგონა მნახავდა, მაგრამ არ მოვიდა. მესხეთის ძეგლების შესახებ მე დაწერილი მაქვს სადისერტაციო შრომა, რომელიც ინახება ჩვენი ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ამ შრომით სარგებლობა ყველას შეუძლია, მაგრამ გადაბეჭდვა ტექნიკურად ძალიან ძნელი იქნება; ტექსტი 500 გვერდია, ამის გადაბეჭდვა 1000 მანეთი მაინც დაჯდება. ამის გარდა შრომას ახლავს დიდი ალბომი, ტექსტი რთული გასაგებიც იქნება. მე დავწერე მეორე, უფრო მცირე მოცულობის, მეცნიერულ-პოპულარული შრომა ახალციხისა და ადიგენის რაიონების ძეგლების შესახებ. ჯერ მთლიანად არ დამიმთავრებია. ეს შრომა მუზეუმს უფრო გამოადგებოდა, რადგანაც დისერტაცია ძალიან სპეციალური ხასიათისაა. რაც შეეხება თქვენთვის გადაბეჭდვას, ამის ნებართვა ინსტიტუტის დირექტორისაგან უნდა აიღოთ, იმიტომ რომ ყველა ჩვენი ნაშრომი ინსტიტუტს ეკუთვნის. ეს მეასე ნაშრომი, მე მგონია, მომავალ წელს დაიბეჭდება.*

*თუ თქვენს თანამშრომელს რაიმე ცნობები დაჭირდება, მოვიდეს ყოველნაირად დავეხმარებით. მოკითხვა ჩემი მეუღლისაგან. კარგად ბრძანდებოდეთ. პატივისცემით ვახტანგ ბერიძე“.*

ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო იქნება 1963 წლის 19 ივნისის წერილი, რომელსაც პროფ. **გივი გურგენიძე** მადლიერების მიზნით უგზავნის ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს:

*„სალამი ქ-ნ სონიას!... ჯერ კიდევ არ განელებულა ის კმაყოფილება, რაც მე და ჩემმა კოლეგებმა მანდ პირველი სამეცნიერო სესიის ჩატარების დროს განვიცადეთ. სიხარულის მიზეზი იყო ყველა დამხვედრის გულწრფელობა, მონდომება და სიყვარული. ჩვენი ქვეყნის წარსულის პატივისცემისა და აწმყოს უფრო უკეთესად წარმართვისათვის ცხადია ამ საქმეში დიდი მადლობის ღირსნი არიან ადგილობრივი ხელმძღვანელობა და საკუთრივ მუზეუმის პატარა, მაგრამ მონდომებული კოლექტივი თქვენის ხელმძღვანელობით. ერთხელ კიდევ მიიღეთ ჩვენი კეთილი სურვილები ასეთი სანუკვარი საქმის კარგად დაგვირგვინებისათვის.*

*ქალბატონო სონია, ჩვენი სესიის წარმატება მარტო „ჩვენს კედლებში“ კი არ დავტოვეთ, უნივერსიტეტში და სხვაგანაც გავავრცელეთ (პროფ. გ. ტივაძემ ინანა კიდეც, რატომ არ წავედი მოხსენებითო. შევპირდი, გადავცე თეზისები ცნობისათვის).*

*ახლა შეპირების თანახმად, უნივერსიტეტმა ა/წლის 28/I-დან 6/II-მდე სიამოვნებით მომცა მივლინება თქვენს მუზეუმში, მიზანი, როგორც მანდ მოგახსენეთ, ხელნაწერის ფონდების გაცნობაა და აგიტაცია, რომ ღირსია იგი შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის (ვფიქრობ ამის გარშემო ახალციხის გაზეთშიც და უნივერსიტეტის გაზეთშიც დავბეჭდო წერილები).*

*მაშ ასე. მშვიდობით, მომავალ შეხვედრამდე.*

*მოკითხვა ყველას, ვისაც სამცხე-ჯავახეთის წარმატება ახარებდა და ახარებს. პატივისცემით, გივი გურგენიძე.“*

ბატონ გივი გურგენიძესთანაა დაკავშირებული ის ინფორმაციაც, რომელიც მუზეუმში, ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს, უამბო ქ-ნ სოფიოს. გთავაზობთ ძალზედ შემოკლებულ ინფრომაციას: **„ბატონ გივის პეტერბურგში, 21 წლის წინათ, სამეცნიერო მივლინების ყოფნის დროს, ერმიტაჟში უნახავს ახალციხისა და ახალქალაქის ციხის გასაღებები და ამოუწერია მის შესახებ მონაცემები, რომელიც 21 წლის წინ საკანდიდატო დისერტაციის შავ მასალებში შეუნახავს და ახლა, ერთი კვირის გულდასმით ძებნის შემდეგ ვეღარ უნახავს. ამ ამბით შეწუხებული წერილს უგზავნის მუზეუმის დირექტორს და წერს: „ახლაც თვალწინ მიდგას ეს გასაღებები, რომელთა სიგრძე მეტრის მესამედის ტოლი უნდა იყოს და ქვეშ ეწერება – ეს გასაღები გადაეცა გენერალ პასკევიჩს ახალქალაქისა და ახალციხის აღებისას 1828 თუ 1829 წელს. ქალბატონო სონია, თქვენ შეგიძლიათ მისწეროთ ერმიტაჟის დირექტორს ამ გასაღების ზომისა და პირის შესახებ, შემდეგ სთხოვოთ მისი დაბრუნება ან სანთლისაგან გააკეთებინოთ მათი პირები და იქონიოთ მუზეუმში.... ამ ინფორმაციამ ძალიან დამაფიქრა, როდესაც მუზეუმის არქივთან მისვლა შეგვეძლება, იქნებ მივაგნოთ ამ საკითხის გაგრძელების დოკუმენტებს. თუ არა და, ამ საქმის მოგვარება არც დღეს არის გვიან“** (ც.ლ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მინდა გაზეთის მკითხველ საზოგადოებას მოვახსენო, რომ გამოჩენილი მესხი პროფესორებისა და სამეცნიერო საზოგადოების ზემოაღნიშნული მიზანი 1987 წელს სრულიად განხორციელდა. მუზეუმის ხელნაწერები შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მკვლევარებმა. ხელნაწერი დოკუმენტების შესწავლა-დამუშავებაზე მუშაობდნენ: ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი **ი. აბულაძე, მ. ქავთარია** და **ც. ჭანკიევი**, აღწერილობის რედაქტორია **ელენე მეტრეველი.**

ქალბატონ **სოფიო ორჯონიკიძის** პირად ფონდში, ჩვენი მხარის ერთ-ერთი მოამაგის – დოცენტ ილია მაისურაძის მრავალი წერილი ინახება. მათ შორის გთავაზობთ 1966 წლის 3 ივნისს გამოგზავნილი ბარათის მოკლე შინაარს: *„პატივცემულო სონია! ამჯერად მუზეუმისთვის გიგზავნით მცირე ბროშურას „შევკრიბოთ ტოპონიმიური საუნჯე.“*

*ამავე დროს მინდა გაცნობოთ, რომ ამ დღეებში თქვენსკენ მოემგზავრება პიონერთა სასახლის ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩემი მეგობარი ლ.პაიჭაძე.*

*იმედია თქვენებურ რჩევა-დარიგებას მათთვის არ დაიშურებთ.*

➔

# მესხეთის სიძველეთა საბანე

ექსპედიციის წევრები



*10 ივლისიდან ბორჯომში დასადგურებას ვაპირებ და კავშირურთიერთიობას არ გავწყვეტ ახალციხესთან.*

*თქვენი ილია მაისურაძე 3.VI.1966წ.“.*

ქ-ნ სოფიოს დიდ გულისხმიერებასა და თავისი საქმის სიყვარულზე მიუთითებს, საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის პროფესორის ბატონი რევაზ ისიდორეს ძე კირვალიძის მიერ მიწერილი წერილი, სადაც ვკითხულობთ : ... ძალზე მეუხერხულება, რომ გაწუხებთ, მაგრამ ჩემი ცნობისმოყვარეობა და ინტერესი სოფელ კლდეში აღმოჩენილი ცხოველისადმი იმდენად დიდია, რომ, ვფიქრობ, ეს კადნიერება უნდა მეპატიოს... და, ახლაც, მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა და აუარება საქმეებით გარემოცვისა ჩემი ფიქრები მაინც იმ ძვლების გარშემო ტრიალებს... მე დიდი მადლობელი ვარ. ჩემი ქვეყნის თუ ჩემი გრძნობის სახელით, იმ დიდი სიხარულისა, ინტერესისა და ენთუზიაზმისთვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩემს მიერ შემთხვევით ნაპოვნი თუ აღმოჩენილი ცხოველის მიმართ, ჩემს მეხსიერებაში წარუშლელად აღიბეჭდა ის აღტაცება და სიხარულით გამოწვეული დაბნეულობა, რომელიც თქვენ გამოხატეთ იმ წუთებში. სოფ. კლდეში აღმოჩენილი უცხო ცხოველი ჩემთვის განსაკუთრებით ორი მხრივ არის საინტერესო: ერთი, როგორც საკუთარი ქვეყნის მოყვარული ადამიანისთვის და, მეორეც, როგორც ნიადაგმცოდნეობისთვის. იმ განამარხებული ძვლების ასაკი ჩვენ საშუალებას მოგვცემს ვივარაუდოთ იმ გეოლოგიური პროცესების მიმდინარეობის ტემპი და ხასიათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცხოველის განამარხებიდან დღემდე.

მეტად დავალებული ვიქნები, თუ ბარათის პასუხს შესაძლებლობისდაგვარ მაცნობებთ.

თქვენი მუზეუმისადმი ერთგულებისა და თავდადებული შრომისათვის ღრმა პატივისცემით, რ.კირვალიძე 1.VIII.1960“.

თითქმის ისეთივე პატივისცემითა და მოწიწებით წერს ქ-ნ სოფიოს წერილებს აკად. **გიორგი ჩიტაია**: *„ძვირფასო სოფიო, ათასი სალამი და კეთილი სურვილები... თუ თბილისის უნივერსიტეტი მოგაგონდება, ალბათ ამ თხოვნაზე უარს არ მეტყვი. თქვენთან სამუშაოდ მოდის ჩვენი თანამშრომელი ლიანა ბეროშვილი, ჭირდება მუზეუმის მასალები და იმედია, დაეხმარებით და სხვა მხრითაც რაიონში მუშაობისას ყურადღებას არ მოაკლებთ.*

*თქვენი მხრივ, პატივისმცემელი, გიორგი ჩიტაია“.*

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება შემოგთვაზოთ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთ-ერთი პირველი თანამშრომლის – ბესარიონ ტაბიძის მინაწერი წერილი ქალბატონ სოფიოსადმი – ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ამხ.**სადათიერაშვილს.**

*„პატივცემულო ამხანაგო.*

*დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ თქვენი სახელი არ ვიცი, ამიტომ, მარტო გვარს ვწერ. თუმც თქვენს მიმართ ბევრი სანაქებო სიტყვები მომისმენია... იმედი მაქვს, როგორც ახალციხის მუზეუმის ყოფილ მუშაკს, დახმარებას გამიწევთ.*

*მე დავწერე მონოგრაფია საზოგადო მოღვაწე ა.ს. როინიშვილზე, რომელმაც ილიას დროს დააარსა მუზეუმი და შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას. ა.ს. როინიშვილი, როგორც ქართული ძეგლების დიდი მოყვარული, მესხეთშიც იყო. ხელთა მაქვს მისი წერილის შავი ნაწერი, საიდანაც მტკიცდება, რომ ა.ს. როინიშვილი წერდა „ვინმე მესხს“. გასაკვირი აქ, რა თქმა უნდა, არაფერია – ორივე საზოგადო მოღვაწეს, გლეხობის წრიდან გამოსულებს, განსაკუთრებით ახასიათებდათ ქართული სიძველეებისადმი სიყვარული. „ვინმე მესხის“ არქივი ჩემსობას ჩავიბარეთ მუზეუმში. „ვინმე მესხის“ არქივში ნამდვილად შესაძლებელია იყოს აგრეთვე მისი მიწერილი წერილის ასლი ა.როინიშვილისადმი. ძალიან გთხოვთ დაძებნოთ და მაცნობოთ.*

*ალექსანდრე როინიშვილი გარდაიცვალა 1898 წელს, ოთხი წლის წინ კი მან მესხეთში იმოგზაურა. დარწმუნებული ვარ „ვინმე მესხის“ და კ.გვარამაძის არქივი ეხლა წესრიგში იქნება მოყვანილი.*

*სხვა როგორ მიდის მუზეუმის საქმეები? აქ, სახელმწიფო არქივში (სადაც მე ვმუშაობ) დიდძალი საბუთებია მესხეთის შესახებ. იძენთ თუ არა საბუთებს? პატივისცემით ბესარიონ ბარნაბის ძე ტაბიძე.*

4/IV-1952“.

ახალციხის მხარეთმცოდნების მუზეუმისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან ურთიერთობის კონტაქტებზე მიუთითებს 1948 წლის 19 იანვრის წერილი, რომლის ავტორია ბატონი დავით დავითაშვილი. იგი მუზეუმის დირექტორს უგზავნის წერილს, სადაც აღნიშნავს, რომ – *„რაიონში ძეგლების მცირე პატრონობის გაწევის მიზნით გაღებული გვაქვს 8000 მან. აწყურის და საფარისათვის 12.000 მან. აწყურში, რამდენადაც მახსოვს, ციხეში შესასვლელისთვის, რაღაც ხვრელში უნდა გაძვრეს ადამიანი და, ვგრძნობ შესაძლებელი კია, რომ აღმოსავლეთ (ან სხვა) მხრიდან გზა-ბილიკი გაკეთებულიყო, კედელში კარები ჩამდგარიყო და იქიდან შესასვლელი გამართულიყო.*

*საფარაში, მახსოვს თქვენი ნათქვამი, სამრეკლოს ფართობზე წყალი ჩამოდის და ორმოა გაკეთებული. ცხადია, ადვილად მოსაშორებელი დეფექტებიც იქნება, რომელიც ყოვლად მისახედია.*

*აი ეს ყველაფერი გაითვალისწინეთ, აგვიწერეთ, რომელს რა ესაჭიროება, რა ზომისაა დეფექტები და მათ მოსაშორებლად საჭირო ფიცარი, კრამიტი, აგური თუ რა. ერთი სიტყვით, სადეფექტო ოქმი. ისიც გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა ვიცოდეთ, რა სამშენებლო მასალა საიდან უნდა იქნეს მოტანილი.*

*ასე, ჩემო სოფიკო, გათვალისიწნებული ფულის რაოდენობისათვის მოგვაწოდეთ ცნობები. თქვენი ღრმად პატივცემული, დ. დავითაშვილი.“*

ასეთი და სხვა მრავალი შინაარსის ბარათია დაცული სოფიო ორჯონიკიძის პირად ფონდში. მაგრამ ყველას ერთ საგაზეთო წერილში მოთავსება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი შეუმჩნეველი არ დარჩენია როგორც რაიონის, ისე რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. მას, სხვადასხვა დროს, მიღებული აქვს არაერთი სახელმწიფო ჯილდო. იგი, ასევე, წლების განმავლობაში, მუშაობდა კულტურის უნივერსიტეტის რექტორად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალბატონ სოფიოს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სამხრეთში – ეროვნული სიმდიდრის დაცვის, შესწავლის, პოპულარიზაციისა და, საერთოდ, სამუზეუმო საქმიანობის აღმავლობის საქმეში.

**წესჩვეულებები**

# სიკვდილი და დამარხვა

თუ ავადმყოფი შეწუხდებოდა, მიანებებდნენ თავს, რომ არ გამობრუნდესო და არ იწვალოსო. თუ ავადმყოფი (მომაკვდავი) გამობრუნდესო, სწორამდე იცოცხლებსო, მაგრამ ენა ჩაუვარდება და აზრს კარგამსო. ამბობენ, როდესაც სულს დალევდა მომაკვდავი, მაშინვე ჩააცმევდნენ ტანსაცმელს, ფეხსაცმლები კარგი უნდა ჩაეცმიათ, რომ ეკალს ფეხები არ დაესუსხა, საიქიოს გამგზავრებისას, ასევე წინდებიც. ტანსაცმელს ნათესავი ქალები ჩააცმევდნენ და დააწვენდნენ ისე, რომ თავი აღმოსავლეთისკენ ჰქონოდა. ხელებს გულზე დაუკრავდნენ, ყბებს აუხვევდნენ, ფეხებს თოკით შეუკრავდნენ, თან ჯიბეში დანას ჩაუტოვებდნენ, როდესაც დასჭირდება, ფეხებს გაიხსნისო. თავთან ბალიშს დაუტოვებდნენ, ზედ თეთრ ზეწარს გადააფარებდნენ და სანთლებს (ცალად) აუნთებდნენ. ამას ერქვა გადასვენება:

სოფელში, როდესაც შეიტყობდნენ განსვენებულის გარდაცვალებას, მაშინათვე ყველა სამუშაოს ხელს აუშვებდა და მიდიოდა გარდაცვალებულის ოჯახში.

გადასვენების შემდეგ ჯერ დედა ან ცოლი დაატირებდა, შემდეგ კი სხვა ნათესავ-მეზობლები, მოტირალი ხშირად ასეთი სიტყვებით იწყებდა: მუხანათო (მოღალატე), რათ გვიღალატე, ხო იცი, რო ჩვენ უშენოთ სიცოცხლე არ შეგვეძლო, იქ მყოფნელების თავი რათ არჩიე აქ მყოფნელების თავსაო, გაგვეცი ხმა ამ ფიცრებისა რა მოგეწონაო.

ახალგაზრდაზე: შვილო, მოსულა შენი ცოლები შენს სანახავათ, გაეცი ხმა. შეანძრევს. ქვითინის შემდეგ მომსვლელებს ეუბნება: მოდით, თქვენც უთხარით, იქნებ გაქცეთ ხმა, თქვენ გაგიგონოთ.

მომსვლელი ეუბნებოდა: ხო არაფერი გვიწყენინებია შენთვინ, ხმას რატო არ გვცემ, ასეთი რა გაწყენინეთ, შე ულმერთო, ამოიღე ხმა.

თითქო არავინ გეჯავრებოდით, რათ შვრები ასეო? თან მიმსვლელი თავისაგან მიტანილ სანთელს დაუნთებდა მკვდარს.

დატირებას ტირილს ეძახდნენ, ქალები დაწყევლისას ეუბნებიან: შენ გიტირე, ამა და ამ დღესაო, ეს ხმით ტირილი მოთქმა იყო, ჩვეულებრივ თქმისაგან განსხვავებულია ყოველ ფრაზის ბოლოს ხმა გაგრძელებული, ძირითადად ქალები ტიროდნენ, მამაკაცები ხმამაღალ ტირილში არ ერეოდნენ.

ზოგჯერ სიმღერით ტირილიც იცოდნენ. ამის საუბედურო ნიმუშს ერთი ხალხური ლექსის ნაწყვეტი წარმოადგენს:

„ახვახით ჯდომა სადამდის,
უშენოთ დგომა სადამდის,
იწამე ღმერთი, ხმა გამე,
ესოდენ წყრომა სადამდის“.



მამაკაცები კუბოს შეკვრას შეუდგებოდნენ. შეკრავდნენ კუბოს. მკვდარს შიგ ჩაასვენებდნენ. კუბოს კეთებისას აცლილ ნაფოტს მინდორში გადაჰყრიდნენ, მისი დაწვა არ შეიძლებოდა, ღამე ნათესავები უთევდნენ მკვდარს.

საფლავს ამოჭრიდნენ, ოჯახის მახლობელთაგანს სუფრა გაჰქონდა სასაფლაოზე. საფლავის ამომჭრელებს სასმელს შეასმევდა, პურს აჭმევდა. მესამე დღეს მზე რომ გადავიდოდა, გაასვენებდნენ მკვდარს. მკვდრის გასვენებისას სოფელში ყველა ფეხზე უნდა წამომდგარიყო, თორემ მკვდარი დაქელავსო. აიყვანდნენ სასაფლაოზე. კუბოს დასდგამდნენ, მცირე ხანს კიდევ ატირებდნენ ჭირისუფლებს და ჩაუშვებდნენ მიწაში კუბოს. ყველა თითო მუჭა მიწას მიაყრიდა: მიწა ხარ, მიწად იქეციო, ეტყოდნენ.

ჭირისუფლებს გული რომ გაგრილებოდათ, ვინმე ჩუმად კისერში მიწას ჩააყრიდა, უკან გამობრუნებისას ჭირისუფლებს არ ატირებდნენ, არ ვარგაო...

გადააყრიდნენ მიწას, ზეიდან ქვებს დაადებდნენ საფლავზე და გამობრუნდებოდნენ.

დაბრუნდებოდნენ ოჯახში, ქელეხს გადაუხდიდა ოჯახი, საკლავი ეყოლებოდათ დაკლული, საქელეხო გამომცხვარი პური, სასმელი მომზადებული. დასხამდნენ ხალხს: ყველაფერს ცალებად მოიტანდნენ. პური, მაგალითად, ცალობით უნდა დაეწყოთ მაგიდაზე, ასევე სასმელის ბოთლები და სხვა. მამაო ჩვენოს ეტყოდნენ, თამადობას ვისმეს დააკისრებდნენ. თამადა განსვენებულის საცხონებელს შესვამდა, ღმერთმა გაანათლოს განსვენებული, აქ დამრჩობი უცოცხლოს, იმის დანაკლისი დღე და სიცოცხცლე აქ მყოფნელებს მისცესო. ჩამოატარებდა ამას. შემდეგ ოჯახის უფროსს და სხვა ახლობლებს ადღეგრძელებდა: გული მაგარი მისცეთო ღმერთმა, ეს ჭირვარამი ლხინსა და ქეიფებზე გამოუბრუნოთო.

წვნიან ხორცის საჭმელს, ფლავს მიაყოლებდნენ და დამთავრებისას გამოემშვიდობებოდნენ ოჯახის წევრებს. ზარალი ზარალათ აკმაროს ღმერთმა სოფელსაც და თქვენცაო. უკან დანარჩენი გიცოცხლოთო.

აღსანიშნავია, რომ ჯავახეთში მკვდარზე შეწევნა არ იციან, სოფელში როდესაც მკვდარი იყო, არავინ იმუშავებდაო, არ შეიძლებოდა ტანის გაბანვა ან სარეცხის დარეცხვა.

მკვდრის დამარხვის ღამეს ვინმე რომ დარჩენილიყო განსვენებულის ოჯაში, ერთ კვირამდე არ გაუშვებდნენ, არ ვარგაო. აგრეთვე რაიმე ნივთი, ჭურჭელი ან სხვა რამე რომ დარჩენილიყო დამარხვის დღეს, ერთ კვირამდე მისი იმ ოჯახიდან გატანა არ შეიძლებოდა, არც ოჯახის ნივთებს გაანათხოვრებდნენ ამდენსავე ხანს.

მკვდრის ადგილზე ქვას დატოვებდნენ შვიდამდე, შვიდზე გადააგორებდნენ, სახლის პატარა ბოძს შეუდგამდნენ, თუ ოჯახის უფროსი მოკვდებოდა, სახლს დამარხვის ღამეს ვინც დაგვიდა, შვიდამდე მას უნდა დაეგავა აუცილებლად.

სამზე ნათესავები და მეზობლები განსვენებულის ოჯახს მიუსამძიმრებდნენ (სამძიმარს მიუტანდნენ), საღამოს სუფრებით მივიდოდნენ. მისამძიმრებისას ოჯახის მახლობელი ნათესავები ოჯახის წევრებს „საჩუქრებს“ მიუტანდნენ: საკაბეებს, წინდებს და სხვა სუფრაზე ქადას ან სხვა ნამცხვარს კენტს დატოვებდნენ (3,5 ან 7-ს).ასევე სუფრაზე სხვა დანალაგებს. გაიმართებოდა ოჯახში პურობა. ჭურჭელს რასაც მიიტანდნენ, შვიდამდე უნდა გაჩერებულიყო ოჯახში.

შვიდი რომ შესრულდებოდა, ნათესავებსა და მეზობლებს დაუძახებდა ოჯახი, ან თვითონ მივიდოდნენ, ქალები სასაფლაოზე გადიოდნენ, იქ ტირილს გამართავდნენ, შემდეგ იქიდან დაბრუნებულნი (განსვენებულის ოჯახში) პურობაზე დაესწრებოდნენ. ესეც ქელეხის მსგავსად იმართებოდა. შვიდამდე უფროსი ჭირისუფალი ქალი გარეთ არ გამოდიოდა, შვიდზე სასაფლაოზე რომ გადიოდნენ, მაშინ შეეძლო გამოსულიყო და მის შემდეგ.

მგლოვიარე მამაკაცები პირს არ მოიპარსავდნენ, ოჯახის წევრები და ახლობლები, ნათესავები ორმოცზე, მეზობლები კი მანამდე, ვიდრე ოჯახის უფროსი პირის მოპარსვის ნებას არ დართავდა, პირის მოპარსვის ნებას კი უმეტესად ორი კვირის შემდეგ მაინც დართავდნენ. ქალები კი შავებით შეიმოსებოდნენ, თმას თავშალქვეშ აიკრავდნენ, როდესაც თმას ჩამოიშლიდნენ, ეს მგლოვიარეობიდან გამოსულს ნიშნავდა. ოჯახის წევრთა მგლოვიარეობიდან გამოყვანას ასე ახდენდნენ: ოჯახის რომელიმე ახლობელთაგანს მიჰყავდა თავის სახლში მგლოვიარე ქალი, თავს დაჰბანდა, თმებს ჩამოუშლიდა და ახალ თავშალს (არა შავს) დახურავდა. ძველი შავი თავშალის ნაცვლად.

ოჯახის წევრებს მკვდარი რომ არ მოსჩვენებოდათ, ქელეხის პურიდან ხან ერთ პურს შეინახავდნენ, თუ არ ეჩვენებოდათ მკვდარი ან თუ მკვდრის მოჩვენება ცუდად არ ჰქონოდათ დაცდილი, მაშინ ქელეხის პურს ძაღლს დაუგდებდნენ. თუ ეჩვენებოდათ და არ უნდოდათ მოჩვენებოდათ (სიზმარში თუ ნახულობდნენ), მაშინ შენახულ პურს გაიტანდნენ გარეთ და ზურგს უკან ძაღლს გადაუგდებდნენ ისე, რომ თვითონ არ დაენახათ ძაღლი.

იცოდნენ ორმოცის გადახდაც, ასევე წლისთავის, რასაც ორმოცის გადახდას ან წლისთავის გადახდას ეძახდნენ, იტყოდნენ აგრეთვე ორმოცის პური ვაჭამეთ ან წლის პური ვაჭამეთო. როდესაც კი შესძლებდა ოჯახი, გაათლევინებდა კალატოზს ქვას, დაუძახებდა დანიშნულ დღისთვის ხალხს და ქვას დაადგამდა. ცდილობდნენ, ქვის დადება წლისთავისთვის დაემთხვიათ, რომ ორივეზე ბარე ერთ ხარჯში გამოვიდნენ. თუ გარდაცვალებული სიცოცხლეში რა საქმიანობასაც მისდევდა ან რა უყვარდა, იმის და მიხედვით საფლავის ქვაზე გამოხატულებას აკეთებდნენ. ხშირად ვხვდებით საფლავის ქვაზე გუთნეულის გამოხატულებას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გარდაცვლილი მეგუთნე ყოფილა, მშვილდის, ხმალხანჯლის, ვერძისა და ცხვრით საფლავზე (და სხვა). ზოგიერთ საფლავის ქვაზე მთელი სცენაა გამოხატული. ტაბაწყურის სასაფლაოს ქვაზე ასეთი სურათი გვხვდება: ქვაზე ამოჭრილ მამაკაცს სადავით ცხენი უჭირავს, თან ხელს ართმევს ქალს. ქალის უკან ბავშვი დგას, რომელიც კაცისკენ მიისწრაფვის, ამ ქვის შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: – ტაბაწყურელი კაცი ჯარში ყოფილა წასული, სახლში ცოლი და ერთი ქალიშვილი ყოლებია. გვიან დაბრუნებულა ჯარიდან კაცი. ოჯახს იმდენად გახარებია, რომ ქალი სიხარულისაგან მომკვდარა. კაცსაც თავი მოუკლავს. შემდეგ ერთად დაუმარხავთ და ზედ ეს საფლავის ქვა დაუდიათ.

ჯავახეთის ძველ სასაფლაოზე განსაკუთრებით ხშირია ვერძის, ცხენისა და აკვნის მატურებიანი ქვები.

სასაფლაოს ქვაზე ხშირად გვხვდება წარწერები, ამ წარწერებში გარდაცვალებულის სანაქებო თვისებები და გულმოკლული ახლობლების ჩივილი ისმის. ზოგჯერ ასეთი წარწერები ლექსად არის ზედ წარწერილი და ხშირად მთელ პოემას შეადგენს. ტაბაწყურის იმავე სასაფლაოზე ასეთი წარწერა გვხვდება სასაფლაოს მთელ ძეგლზე გაკეთებული:

მეცა მქონდა დრო ნეტარი,
ტოლ-სწორების საქებარი,
ჩუდრობაში მე განთქმული,
სახელოვანი ვაჭარი.
მტრის წინაშე ვით შურდული,
თოფ-იარაღში გამართული,
მტერსა მტრულად ვუხვდებოდი,
მოყვარეს ვით თაიგული.
ვერ მაკრთობდა ღამე ბნელი,
უდაბური მინდორ-ველი,
მკლავი მქონდა საიმედო
და მარჯვენა ღვთის...
(არ იკითხება. ჩამწ.).
სწავლაც მქონდა შესაფერი,
ენით მჭევრი – სიტყვიერი,
პატივისცემით მიხსენებდა
ნაცნობი თუ უცხო ერი.
ღარიბის შველა არ მზარობდა,
დროზე ქეიფიც მიყვარდა,
მაგრამ რა ვქნა, მე სიცოცხლე
უდროოდა ჩამიმწარდა.
მტრად გამიხდა ჩემი ხელი,
ეს ოხერი ლევერველი,
იმის ბრუნვა-შინჯვაშია,
მევე გავხდი ჩემი მკვლელი.
სამი დღე ძლივ გავიტანე,
თუმც ჰაქიმნიც მოვიხმარე,
მაგრამ ვერაფერი მარგეს,
ნათელ დღესა გავეყარე.
დამრჩა ცოლი, ორი შვილი,
და სამი ძმა, ღვიძლი, ტკბილი,
ღმერთო, დიდხანს ადღეგრძელე,
მიანიჭე მათ კეთილი.
ნორჩი – ოცდაათი წლისა,
მამშვენებელი სოფლისა,
შენდობით და გევედრებით,
მდებარე მონა უფლისა.
ამბარცუმ ალექსანდრეს ძე
სანდაძე, გარდავიცვალე
1898 წელსა
ოქტომბრის 17-სა.

ჩაიწერა **გიორგი ზედგინიძემ** 1948 წელს

## მდიდარი გლეხი

ერთ სოფელში ერთი მდიდარი გლეხი ცხოვრობდა. სოფელში დადიოდა ჭორი, რომ ეს გლეხი სტუმრებს სცემდა.

ერთ დღეს მეფესთან მივიდნენ მომჩივნები და მიღება სთხოვეს. მეფემ მიიღო ისინი და ჰკითხა მოსვლის მიზეზი. ხალხმა მეფეს შესჩივლა, – იმ გლეხთან რომ მივდივართ, ჯერ პურს გვაჭმევს, პატივს გვცემს, მერე გვცემს და გარეთ გამოგვრეკავსო.

გაუკვირდა მეფეს, მომჩივნები სახლში გაუშვა და გადაწყვიტა თავისი ამალით თავად სტუმრებოდა.

გლეხის სახლთან რომ მივიდნენ, გლეხი სიხარულით გამოეგება საპატიო სტუმარს. სანამ სასმელ-საჭმელს მოამზადებდნენ, გლეხი, მეფე და მისი ამალა, ერდოზე ავიდნენ და საუბარი გააბეს, თან გადი-გამოდიან. ბოლოს, როდესაც სადილი გამზადდა და სუფრა გაიშალა, გლეხმა მიიწვია სტუმრები. რა აღარ იყო მაგიდაზე. კარგად იქეიფეს და გაერთნენ. ბოლოს მეფემ გადაწყვიტა, სახლში წასულიყო.

გაცილებისას გლეხს ჰკითხა: – ერთი შეკითხვა მაქვს შენთანაო: – ბრძანეო, – უთხრა გლეხმა.

– მომჩივნები იყვნენ ჩემთან და გიჩივლეს, – როცა ამ კაცთან სტუმრად მივდივართ, ჯერ კარგად გაგვიმასპინძლდება, მერე გვცემს და სახლიდან გვყრისო. მართლა ეგრეაო?

– კიო, – უპასუხა გლეხმა.

– აბა, მე რატომ არ მცემეო?

– შენ იმიტომ არ გცემე, რომ მოხვედი, ჯერ იმუშავე, მერე სუფრასთან რომ მიგიწვიე, არ გითქვამს: – მობრძანდი, დაბრძანდიო. იმათ კი იმიტომ ვცემ, ჩემს სახლში მე მეპატიჟებიან – მობრძანდი და მიირთვიო!

– როგორ მამუშავე, მე ხომ არაფერი არ გამიკეთებიაო? – უთხრა გაკვირვებულმა მეფემ.

– როგორ არაო, – უთხრა გლეხმა, – ერდოზე მიწა ახალი დაყრილი მქონდა და თქვენ ზედ რომ დადიოდით, დაიტკეპნაო.

*მთქმელი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲑᲘᲭᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲙᲐᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ,*
*სოფელი ნაქალაქევი, ასპინძის რაიონი. ჩაიწერა*
*ᲔᲗᲔᲠ ᲯᲕᲐᲠᲘᲫᲔᲛ 2017 წელს*

## დედაჩემისგან გამიგონია

იტყოდნენ ხოლმეო, დედასგან გამიგია, შევინგროვოდით როკეთში, გაქცევების მერეო ბიძაშვილობა, მაშინ მოხუცები იყვნენო, ამომდნენო, რომ იეხლა რო წურბლი ტბა გვაქ, მე არ ვიცოდი, დადეშს ტბა თუ აქვს, პატარა ტბა, ხნემდა კაციო, ჯილღა ება, წყვილი კამეჩი ებაო, დაცხაო. დაყარა კამეჩებიო და თვითონაც წამოწვა, დაისვენაო. ადგა და აღარც ხარი იყო და აღარც ჯილღაო. მერეო, ეძებესო და აწყვიტის ტბაზე დაყრილი კამეჩი და ჯილღაო, წურბლის ტბაში ამოვიდაო. ესეც მომისმენია, გამიგონიაო. როგორ ამოვიდა, რა იყო, რანაირათ იყო, ერთი ის იყო, კამეჩი არ დაიხრჩობა წყალში, თუ უკნიდან წყალი არ შევიდა, კამეჩი ზღვაში გავა. წარღვნა რო იყოო, ნოემ ნავში ყველა ცხოველი შეიყვანა, კამეჩი დიდი იყო და ვერ დასტია. კამეჩმა უკან სდია. რო წარყვნა მოვიდა, კამეჩი ყვირის, მოუსმინეთ, –ნუუეე, რა ხმაზე ჰყვირის. სდია და უყვრიაო, – ნუუეე! გადარჩა კამეჩი, არ გადაშენდა. დღესაც არსებობს. ესეც გამიგონია, რომ იცურა ამ კიდობანმა, მწყერ ხომ იმაზეა გაჩერებული, არარატის მთაზე ხო ნახეს, არ არის ტყუილი, ჰოდა, რო ის ქნა, თითონ გაჩერდა ეს კიდობანი. ადგა და შავი ყვავი გაუშვა, მანამდე შავი ყვავი გიეშვა, ნოეს ამ ოხერ თაგვმა კიდობანი გაუხვრიტა და წყალი შევიდა და... არიქა, უნდა დაიხრჩოს, ამხელა იწვალა, ამხელა სულდგმული გადაარჩინა და, რა ქნას, ვერაფრით ვერ გაამაგრა. მერე უსახელომ უთხრა – გველმა, მე გაგიმაგრებო, ნოეო, მაგასაო. დიეხვა, დიეხვა და გაამაგრა და დაწყნარდა ქვეყანა. ჩადგა წყალი. გამოვიდა და უთხრა, ხო გაგიმაგრე, ყველანი ხო გადაგირჩინეო, ხოლოთაო, მე მინდაო, ადამიანის შვილის სისხლით გავძღეო. უთხრა რო, რაგორ ვქნა, კაცო, გველი ადამიანის შვილის სისხლით რო გაძღეს, მოკვდებაო. მერე ადგა, ე გველი დაკლა და შეუბერა და ფერფლი გაიფანტა და წყვდიად (წყლად) იქეცო, ძირ რაც დარჩა, შენც ტილად იქეცო და რანა გამოსწვიოო. იმ გველის იმიტომ გვეშინია. მერე როდესაც დამწყნარდა, გაუშვა შავი ყვავი, – ერთი გადიო, მოგვიტანე ამბავიო. გამოვიდა ყვავი, დაავიწყდა ყველაფერი ყვავს. მერე გამოვიდა ნოეი და გაუშვა მტრედი. უთხრა, ეო, შენ ნა წახვიდეო. წავიდა, დაათვალიერა, ყვავს ფეხებზე ჰკიდია, ზის, ლეშს სჭამს, ქვეყანა ხევ-ღელე გახდა. მივიდა, უთხრა, რო, ნოეო, აღარაფერი არსებობს, თქვენ გარდაო, სამჯერ ცას პირი მოვბანე, აღარაფერი იქნებაო და ყვავი დამჯდარა და ლეშს სჭამსო. დამწყნარებულა ქვეყანა. დამდგარა წყალიო. გამოვიდა ნოე, გაუშვა ყველანი.

ჩემ დედამ შეჰკითხა აჭარელსა, იმას შვილოო, მამაშენსაო, ყურანი აქვსო. ბოლოს რას სწერიაო, რა იქნებაო, ბოლო რა არისო? – ახ, დედაჯანო, სეოი (მთქმელის ძმა. რედ.) მაშინ ფოსტის ნაჩალნიკი იყო და გამოდიოდა სეოსთან და ფული რამე რო გაჰქონდა, დედაჯანო, ჩვენ ყურანში წერიაო, ეს ქვეყანაო, ჯერ წავა ასეო, წავა ჯერ ისეო, წინათაო, წყალმა მოსპო ქვეყანაო, ახლა ცეცხლი მოსპენსო. ცეცხლს ველარაფერი გაუძლებსო. ხოლოთაო, სანამ ცეცხლი მოსპონსო, ცეცხლინა ისე მოვიდესო, ეს ქვეყანა დარჩება მუსულმანებსო. მუსულმანი დიდხანს ვერ იარსებამსო, ორმოცი წელინა იარსებოსო, ქვეყანა რო გადარჩესო. ქართველსა და სხვა ერსა ეს ქვეყანა დარჩება, ან საუკუნე ვერ იარსებანსო. იმათ მერეო ნაცარზე მოშენდება ისეთი მოსახლეობაო, ორმოც ადამიანს, მგზავრს, ქათმის კვერცხი როა, იმის ძალა არ ექნება, რო გადააგოროსო. მხოლოდ ადამიანის შვილის გამოსახულება ექნებაო, – მამაჩემის ბოლო ყურანში ეს წერიაო.

***მთქმელი ᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ, სოფ. ნაქალაქევი, ასპინძის რაიონი, 86 წლის, ჩაიწერა ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ 2016 წელს***

## სვალის სახელწოდებაზე

(ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ)

ამ სოფლის სახელწოდებაზე და დაარსებაზე შემდეგი ზეპირგადმოცემაა ხალხში დარჩენილი: „ერთხელ, ძალიან ძველ დროს, ერთს იმერელს აბასთუმნის გზით აქეთკენ ჩამოუვლია, გამოუტოპავს ფოცხოვის წყალი (მდინარე) და დაუნახავს ერთი ტაძარი; მისულა, დაუთვალიერებია ეს ტაძარი, ძალიან მოსწონებია და დაბრუნების დროს ერთი მუჭა ცერცვი მიუპნევია და უთქვამს: „ეს შენ მოგავალეო“.

რამდენიმე თვის შემდეგ ამ იმერელს ისევ აქეთ გამოუვლია და უნახავს, რომ მის-მიერ ტაძართან მოპნეული ცერცვი ამოსულიყო და ძალიანაც გაზრდილიყო. იმერელს მოსწონებია ეს ადგილები და გადმოსახლებულა აქ საცხოვრებლად. როცა ეს ცერცვი მოუთიბავს, უთქვამს: „ვალი მივიღეო“. ამიტომაც ამ სოფელს ჯერ ვალი რქმევია და შემდეგ ვალე დარქმევია.

*ᲑᲐᲒᲠᲐᲢ ᲑᲔᲗᲐᲜᲔᲚᲘ*
*ჟურნალი „მოგზაური“, 1902 წ. გვ. 334*

## ლეგენდა სიკვდილზე

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ, მაშინ მოხდა, როცა ამქვეყნად გოლიათი ადამიანები გალაღებულად და უდარდელად ცხოვრობდნენ.

ისინი ძლიერნი და მამაცნი ყოფილან, არ სცოდნიათ, რა არის სიკვდილი, ამიტომაცცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა – ქალამნად. აშენებდნენ უზარმაზარ ციხეებს, თხრიდნენ გამოქვაბულებს, გაჰყავდათ არხები. სწორედ მათ გამოუკვეთიათ ამ კლდეებში ფია და გელსუნდა, ბერისხევი და ჭაჭკარი, აუგიათ ყორღანები, ტერასები, უშენებიათ ბაღები, ვენახები.

ეს ხერთვისის ციხეც მათ აღუმართავთ ამ მიუდგომელ კლდეზე ორი მდინარის – არტაანისა და ფარავნის წყლის შესართავთან.

ერთ დღეს, ვარძიის მხრიდან, ლოდები მოჰქონდა თურმე გოლიათებს იღლიებში ამოჩრილი, ხოლო ამ უზარმაზარ ლოდს, მდინარის ნაპირს რომ გდია, ფეხით მიაგორებდნენ კლდის ძირის გასამაგრებლად.

ამ კლდის ძირას, ორი კაცი შემოჰყრიათ გოლიათებს, ჩვეულებრივი ადამიანები, ისეთივენი, როგორიც ჩვენ ვართ.

– სად მიდიხართო? – უკითხავთ უკვდავ გოლიათებს.

– იქ, მაღლა, ნიალის ველზე ძმები ცხოვრობენო, ჩვენი, – უთქვამთ შემხვედრულებს.

– უფროსი ძმა მომკვდარა, ანუ ღმერთს წაუყვანია თავისთან, სამოთხეში. მივდივართ, რათა გავაცილოთ უკანასკნელ გზაზე.

– რა არისო, სიკვდილი? – შეჰკითხვიან გოლიათნი.

– სიკვდილი, სიკვდილია! მაშინ მოვა, როცა მაღლა ღმერთი ინებებს. ასე რომ, არავინ არისო ამქვეყნად უკვდავი.

– ამქვეყნად მხოლოდ ჩვენ ვართო, უკვდავნი, – დაუკვეხნიათ გოლიათებს. წამომდგარან ფეხზე და, ჰოი, საოცრებავ, – ვერც ლოდები ამოუჩრიათ იღლიებში და ვერც აი ის ლოდი გაუგორებიათ წინანდებურად ფეხით.

– აი აქ, გზის ნაპირას აგდია ეს უზარმაზარი ლოდი დღემდე. აი ქვებიც, მათ მიერ იღლიებში ამოჩრილი, შუაგულ მტკვარში რომ ჰყრია.

როგორც ამბობენ, სიკვდილის ხსენებაზე ძალა გამოცლიათ გოლიათებს, უცაბედად დაბერებულან და აქვე, სადღაც, დაულევიათ სული.

შემდგომში ეს ხერთვისის ციხეც ჩვეულებრივ ადამიანებს აუშენებიათ ამ კლდეზე, ასე ლამაზად რომ გადმოგვყურებს დღემდე თავზე...

*ჩაწერილია 1957 წელს ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ მიერ ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშენში მცხოვრებ 68 წლის ᲜᲐᲢᲐ ᲮᲝᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.*


გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ᲚᲘᲐᲜᲐ ᲛᲐᲜᲭᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcook: ლიტერატურული მესხეთი

ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ 1998 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ № 19/ 4-17



გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს



კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ავთანდილ ბერიძე
ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე
ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ Შ.Პ.Ს. “ᲡᲐᲐᲠᲘᲡ” ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32



რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com